# ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. თებერვალი, №2 (54), ფასი 3 ლარი

მამა დავითი: ქართველებს იმდენი განსაცდელი გვაქვს, რომ აუცილებლად ვცხოვრობებით! 28

## რა აკავშირებს პეტრე პირველს დავით აღმაშენებელთან

სხვაობა – 600 წელი 4

## პაატა ბურჭულაძე – 60

„პაატა ბურჭულაძე მეორე შალიაპინია, როგორი ძალა და უბადლო ტალანტია, ვგონებ, დღევანდელ მსოფლიოში არ მოიძებნება მომღერალი, 23 რომელიც მას შეედრება, დღეს ის ერთადერთია და განუმეორებელი“.

## XX საუკუნის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი – ბორის პაიჭაძე

31

„ჩვენს დროში იგი არანაკლებ დიდებას მოიმკიდა, ვიდრე დი სტეფანო ან პელე“

# სარჩევი


პარალელები
**დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი** 4

სამამულო ომი და საქართველო
**სახალხო მეურნეობის გარდაქმნა სომარ ყაიდაზე, საქართველოში ევაკუირებული წარმოება-დაწესებულებანი და მოსახლეობა** 13

მართალი ისტორია
**ლევან დოლიძე: სტალინის სამხედრო გენიამ გაანადგურა უბოროტესი ძალა — ფაშიზმი** 19

ვეტერანი
**ასე ვიცავდით სტალინგრადს** 22

ხელოვანი და ქველმოქმედი
**პაატა ბურჭულაძე — ერთადერთი და განუმეორებელი** 23

ჩვენი ფოსტა
**სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი მოსავალი გარანტირებულია** 25

რელიგია
**საქართველო — ჯვარცმა ქრისტესთვის** 27

ინტერვიუ
**მამა დავითი: რაც უფრო მეტად დაუახლოვდება იმ «ფასეულობებს» ჩვენი ქვეყანა, რომლებიც ევროპიდან და ამერიკიდან მოდის, მით მეტად დაშორდება ქრისტეს** 28

სპორტი
**XX საუკუნის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი — ბორის პაიჭაძე** 31

თვალსაზრისი
**ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა** 36

ხელოვნება
**ეკლესიათა მოამაგენი** 41

სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევა
**ანზორ თოთაძე: რას ფიქრობენ ახალგაზრდები** 43



გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“
**სარედაქციო კოლეგია**
**პასუხისმგებელი რედაქტორი** დარეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)
ი-892

# დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი

## სხვაობა — 600 წელი

**საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი სახელგანთქმული მეფე ჰყოლია. ამ დიდებულ მეფეთა შორისაც აღმატებული სიყვარულით იმოსება სახელი დავით აღმაშენებლისა, რომლის შესახებ XI საუკუნეშივე სამართლიანად წერდა მემატიანე: „ვერავინ ძუელთა და ახალთა მეფეთა ემსგავსაო“. არც მანამდე და არც მას შემდეგ! — მხოლოდ ეს შეგვიძლია, დავუმატოთ მემატიანის სიტყვებს დიდი მწუხარებით. უბადლო მებრძოლი, მთავარსარდალი და მწიგნობარი, რაც უმთავრესია, მართლმადიდებელი ქრისტიანი და ერის მოჭირნახულე — აი, მოკლე დახასიათება მეფე დავითისა, რომელიც ერმა უფრო ფრთიანად ერთ სიტყვაში ჩატია „აღმაშენებლის“ ზედწოდებით.**
**ქვემოთ გთავაზობთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის საინტერესო ნაშრომს „რა აკავშირებს პეტრე პირველს დავით აღმაშენებელთან (სხვაობა — 600 წელი)“.**

„როგორც ერთი, ისე მეორე მეფის პოლიტიკა განაპირობებდა მოსახლეობის დიდ დაძაბვას. მთელი გარდაქმნები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, თუ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში, დიდგორისა და პოლტავის გამარჯვებებიც ხალხთა მასების კისერზე გადადიოდა.

გარდაქმნებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველო წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ცნობილ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოდ აქცია, პეტრე პირველისამ კი რუსეთი — ევროპის უდიდეს იმპერიად.

600 წელი... 600 არის ციფრი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ხიდად დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის“, — სწორედ ამ 600-მა გადააწყვეტინა, ერთი შეხედვით უჩვეულო, ნარკვევის დაწერა ცნობილ მეცნიერს.

ორი ისტორიული მოღვაწე — დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი: XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო და XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი. 600 წელი აშორებს ერთ მეფეს მეორე მეფისაგან, ერთ ეპოქას მეორე ეპოქისაგან. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ მეტად საინტერესოდ ემსგავსება ერთმანეთს ორი ძველი ხალხის ისტორიაში. **უმთავრესი ის არის, რომ სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია საქართველომ, ხოლო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა განსაკუთრებულ სიძლიერეს;** ერთიცა და მეორე სახელმწიფოც სწორედ ზემოხსენებულ მეფეთა მოღვაწეობის დროს იქცნენ ცენტრალიზებულ ქვეყნებად. ძლიერი იყო სამეფო ხელისუფლებაც, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება შუა საუკუნეებში (განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში) პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი გვაუწყებს: „...და უწოდა მაგას მეფობაი, მამული და ახლად მოგებული ღუაწლი ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“.

ასევე ფართოა რუსეთის საზღვრები XVIII საუკუნის პირველ მეოთხეებში. აშკარად ჩანს ქვეყნის სიძლიერე პეტრე პირველის ერთ სიგნალში: „Божиею поспешествующею милостию мы, пресвятлейший да державнейший великий государь, царь и великий князь Петр Алексеевич, всея Великия и Малыя и белыя России, самодержец московский, киевский, владимирский, новгородский, царь казанский, царь астраханский, царь сибирский, государь псковский да великий князь смоленский, тверский, югорский, пермский...“ და სხვ.

სწორედ პეტრე პირველის დროს დამკვიდრდა რუსეთი ბალტიის ნაპირებზე და მოიპოვა უმოკლესი სავაჭრო გზა ევროპასთან.

აი, ყოველივე ამისთვის, არსებითი მსგავსებისათვის მიმოვიხილავთ დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის 600-წლოვანი ინტერვალის მქონე მოღვაწეობას.

* * *

**„დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“** — დავით აღმაშენებლის სამეფო ტიტული (ზედწერილი დავითის მონეტაზე, წარწერა მის ოქროს ჯვარზე).

**„Божиею милостию мы, Петр Первый царь и самодержец всероссийский, и прочая, и прочая, и чая“ —** პეტრე პირველის სამეფო ტიტული.

ამთავითვე მოვიტანთ რამდენი-

მე ქრონოლოგიურ ფაქტს. **დავით აღმაშენებელი დაიბადა 1072/3 წელს, 600 წლის შემდეგ 1672 წლის 30 მაისს დაიბადა პეტრე პირველი**. XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი მეფედ იწოდებოდა და ნომინალურად სახელმწიფოს თანამმართველის უფლებები ჰქონდა. **600 წლის შემდეგ** 1682 წლიდან პეტრე პირველიც ნომინალურად შეუდგა ქვეყნის მართვას. **1089 წელს დავით აღმაშენებელი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა. 600 წლის შემდეგ 1689 წელს პეტრე პირველი რუსეთის ფაქტობრივი ერთმმართველი შეიქნა. დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. 600 წლის შემდეგ 1725 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა პეტრე პირველი**.

ახლა კი მეტად საინტერესო დამთხვევებს მიღმა უფრო ღრმად გადავიხედოთ საქართველოსა და რუსეთის წარსულში.

## ქვეყნის მდგომარეობა ნომინალური მეფობა

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი მიზეზიც თურქული მოდგმის ტომების — სელჩუკების გამოჩენა იყო. სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წწ.) არაერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები მხნედ ებრძოდნენ მომხდურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეკიდებინათ. სელჩუკთა შემოსევები დიდ ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს. საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი იყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები XI საუკუნის 80-იან წლებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „მოოხრდა ქვეყანანი და ტყედ გარდაიქცა; ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი დაემკვიდრნეს მას შინა; და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდართა ქვეყანისათა“. ასეთი უბედურება საქართველოს არასოდეს ენახა. სელჩუკები არსებითად განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობლებისაგან (ბიზანტია, არაბეთი). ისინი მომთაბარეები იყვნენ და ამიტომ დაპყრობილ ადგილებზე სახლდებოდნენ. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, მას საფუძველს (მიწას) აცლიდა და ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად დიდი მოძალებისა, საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა კისერზე — გიორგი II (1072-1089 წწ.) სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკს იხდიდა, თანაც მეფე სულთანს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. მშვიდობიანობა მაინც არ ჩანდა — მომთაბარე თურქების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად მატულობდა.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი ჩანს მეფის თანამმართველად. დავით გარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილ 1085 წლის მინაწერში იგი უკვე მეფედ და სევასტოსად იხსენიება: „დაესრულა საწელიწადოი საწინასწარმეტყველოი წესსა, ზედა ბერძულ-

სა, ახალთარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლო. მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წმიდა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის, სალოცველად ღვთითგვრგვნოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა". ბუნებრივია, ქვეყანას განაგებდა მეფეთა-მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად სამეფოს მართვის ნომინალური უფლებები მის მცირეწლოვან შვილსაც ჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ **მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული — გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი — შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი**.

* * *

რა მდგომარეობაა XVII საუკუნის რუსეთში? რუსეთი უცხოელ ინტერვენტთა თავდასხმის ობიექტადაა ქცეული. მას არ გააჩნია არც მოსახერხებელი საზღვაო ნავსადგურები, არც განვითარებული მრეწველობა, არც გაწვრთნილი არმია და ფლოტი. რუსეთის სახელმწიფო ძალზე ნელა ვითარდებოდა. 60-70-იან წლებში რუსეთს აშკარა საფრთხე შეექმნა თურქეთის მხრიდან. ამ უკანასკნელმა მას შემდეგ, რაც მარჯვენა ნაპირის უკრაინის გეტმანი დოროშენკო თურქეთის მხარეზე გადავიდა, პრეტენზია განაცხადა მთელს უკრაინაზე. ერთი სიტყვით, რუსეთს სჭირდებოდა ქმედითი ღონისძიებების გატარება თურქეთის წინააღმდეგ, საერთოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება...

... 1672 წლის 30 მაისს კრემლის ტაძართა ზარებმა მოსახლეობას უფლისწულის დაბადება აუწყა. ეს უფლისწული პეტრე გახლდათ, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის შვილი. პეტრე 42 წლის ალექსი მიხეილის ძეს შეეძინა 21 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინასთან ქორწინების შემდეგ. ვაჟის შეძენა სასიხარულო იყო მეფისათვის იმიტომაც, რომ პირველ ცოლთან — მარია ილიას ასულ მილოსლავსკაიასთან შეძენილი ხუთი ვაჟიდან — სამი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, თევდორე და ივანე კი ავადმყოფები იყვნენ. პეტრეს დაბადება ზარზეიმით აღინიშნა. ოთხი წლისაც არ იყო იგი, რომ ალექსი მიხეილის ძე გარდაიცვალა და მისი ადგილი 1676 წელს თევდორემ დაიკავა. უფრო სწორად, იგი ბოიარებმა ხელით გამოიტანეს და მეფედ გამოაცხადეს. 1682 წელს თევდორე ისე გარდაიცვალა, რომ შთამომავლობა არ დაუტოვებია. ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ივანე ან პეტრე. ერთსაც და მეორესაც თავიანთი მომხრეები ჰყავდათ. ივანეს მხარს უჭერდნენ ალექსი მიხეილის ძის პირველი ცოლის ნათესავები, რომელთაც სათავეში ედგა ბოიარი ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკი. ამ დაჯგუფებაში დიდ როლს თამაშობდა მეფის ასული სოფიო — ენერგიული და ძალაუფლებისმოყვარე ქალი, რომელიც თვითონ ოცნებობდა სამეფო გვირგვინზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, როგორც უფროსს, ივანეს ეკუთვნოდა ტახტი, პატრიარქის წინადადებით მეფედ პეტრე გამოაცხადეს და რეგენტად დედამისი ნატალია ნარიშკინა დაუნიშნეს.

სასახლის კარზე საქმის ვითარება იმგვარად წავიდა, რომ სტრელეცთა მოთხოვნით სახელმწიფოს მართვა ორივე ძმას — პეტრეს და ივანეს დაეკისრათ, მათივე დაჟინებით, ძმების მცირეწლოვანების პერიოდში სახელმწიფოს ფაქტობრივი გამგებელი მეფის ასული სოფიო გახდა. ამდენად, 1682 წლიდან 7 წლის მანძილზე პეტრე მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა რუსეთის მეფედ.

## გამეფება

XI ს-ის 70-80-იან წლებში ძლიერდებიან მეფის მოწინააღმდეგე ძალები — აღინიშნება საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლები. საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითების გზას ადგა. ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას დაერთო სტიქიური უბედურებანი — მთელი წლის განმავლობაში დიდი მიწისძვრები ყოფილა და მრავალი ადამიანიც უმსხვერპლია. ყოველივე ამან საქართველოს მოსახლეობაში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი II ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს („ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა").

ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ჩანს, გარკვეული ზემოქმედების შედეგად, მოხდა ცვლილება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II 1089 წელს გადადგა სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დაიკავა დავით გიორგის ძემ, ისტორიაში აღმაშენებლად წოდებულმა...

მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად თექვსმეტი წლის დავითს — სელჩუკებისაგან აკლებული და განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები: „მოოხრებული იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა".

ქვეყნის მოსაღონიერებლად გადამჭრელი ზომების მიღება იყო საჭირო.

* * *

როგორ მიდიოდა პეტრეს ცხოვრება 7 წლის მანძილზე — მისი ნომინალური მმართველობის დროს? იგი დედასთან — დედოფალ ნატალიასთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვის მახლობლად სოფლებში — ვორობიოვოში, კოლომენსკოესა და პრეობრაჟენსკოეში. სასახლის კარზე პეტრეს, ისე, როგორც მის ძმას ივანეს,

მხოლოდ დეკორატიული როლი ჰქონდა განკუთვნილი: ისინი ესწრებოდნენ სხვადასხვა ზეიმებს, ელჩების მიღებას, მონაწილეობდნენ საეკლესიო ცერემონიალებში. ძმებისათვის ორადგილიანი სამეფო ტახტი დაამზადეს. ქვეყანას ფაქტობრივად სოფიო განაგებდა.

პეტრეს 17 წელიც არ შესრულებოდა, რომ დედამისმა მისი დაქორწინება გადაწყვიტა. ნატალია ნარიშკინას ვარაუდით, ქორწინების შემდგომ სრულწლოვან და სრულფასოვან მეფეს მისი დის მეურვეობა აღარ დასჭირდებოდა და პრეობრაჟენსკოედან კრემლის პალატებში გადასახლდებოდა.

დედამ თვითონ შეურჩია შვილს საცოლე ევდოკია ლოპუხინა, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით მეტად ლამაზი ყოფილა.

ურთიერთობა პრეობრაჟენსკოეში მყოფ პეტრესა და კრემლს დაპატრონებულ სოფიოს შორის თანდათან მწვავდებოდა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, როცა ოფიციალურ აქტებში დაიწყეს სოფიოს მოხსენიება („благоверной царевны и великой княжны Софьи Алексеевны“). სოფიო აშკარად ამზადებდა სასახლის გადატრიალებას იმ მიზნით, რომ პეტრესათვის მეფობის უფლებები აეყარა. 1689 წლის 7 აგვისტოს ღამით პეტრე იძულებული გახდა, დაეტოვებინა პრეობრაჟენსკოე და სერგი სამების მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. პეტრეს გაქცევამ განგაში გამოიწვია მოსკოვში. სოფიო ამაოდ შეეცადა შერიგებას ძმასთან. ვერც პატრიარქის მოციქულობამ მოაგვარა საქმე. ეს უკანასკნელი პეტრეს დიდ პატივს სცემდა და მასთან დარჩა. სოფიოს მომხრეები გაიფანტნენ, პეტრეს ირგვლივ კი თავი მოიყარეს მისმა ერთგულმა ჯარებმა. პეტრე და მისი მომხრეები მდგომარეობის ბატონ-პატრონები შეიქნენ. მეფე მოსკოვისაკენ გამოემართა. მას მიწაზე გართხმული ეგებებოდნენ ერთ დროს სოფიოს მომხრე სტრელეცები და შეწყალებას სთხოვდნენ. პეტრემ ადრიანად გამოუგზავნა წერილი ივანეს სოფიოს ხელისუფლებიდან ჩამოცილების შესახებ: „Срамно, государь, при нашем совершенном возрасте тому зазорному лицу государством владеть мимо нас“.

ამგვარად, **პეტრე 1689 წელს 17 წლის ასაკში ქვეყნის ფაქტობრივი ერთმმართველი გახდა.**

## გარეგნობა, ხასიათი

ორივე პიროვნებას, დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს, თანამედროვენი აღგვიწერენ, როგორც ახოვანი აგებულებისა და კეთილი შესახედაობის მამაკაცებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი წერის ობიექტს მთელი სისრულით აღწერს, წარმოგვიდგენს, როგორც დიდი ფიზიკური ძალის მქონე ძლიერ პიროვნებას, ძლიერს ხასიათითაც. დავით იყო „შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწედელს მჭმუნვარებითა, მადლიერი ხედვითა, საზარელი ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა...“ ასევე საინტერესოა გელათის ფრესკა დავითის პორტრეტით: ახოვან მამაკაცს, „უმშვენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა“, ხელში ტაძრის მაკეტი უჭირავს. ამგვარად ჰყავთ ნარმოსახული დავითი თანამედროვეებს.

პეტრე პირველის აღნაგობის შესახებ ცნობები უხვად არის დაცული თანამედროვეთა (მათ შორის უცხოელთა) მოგონებებში. ჯერ კიდევ სრულიად ყრმა პეტრე აღწერა შვედეთის საელჩოს მდივანმა 1683 წლის ერთ-ერთი მიღების დროს: „Лицо у него открытое, красивое, молодая кровь играла в нем, как только обращались к нему с речью“.

11 წლის პეტრე თავისი სიმაღლითა და განვითარებით 16 წლის ჭაბუკის შთაბეჭდილებას ტოვებდა...

**როგორც ერთი მეფე, ისე მეორე შრომასა და ბრძოლაში პირად მაგალითებს იძლეოდნენ.** როცა დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს მეფის საქველმოქმედო საქმიანობაზე, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი გლახაკებს უწყალობებდა ხოლმე „თვსთა ხელითა“ ნამოღვაწარს: „და ამას — აღნიშნავს ისტორიკოსი — არათუ ხელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ხელთა თვსთა ნადირებულისა. რომელთაგანი თვსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა“.

რაც შეეხება პეტრე პირველს, მისთვის ხელსაქმე და ხელოსნობა ბავშვობის წლებიდან იყო დიდი გატაცება. კალატოზობა, დურგლობა, მჭედლობა — პეტრეს ძალზე იტაცებდა ეს დარგები. უკვე სრულწლოვან მეფეს კარგად სცოდნია 12 სახის ხელობა. განსაკუთრებით კარგად ეხერხებოდა ცულით მუშაობა და სახარატო საქმე. პეტრე ამაყობდა კიდეც თავისი შრომით; ...სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ შრომისადმი, დიდმა ფიზიკურმა ძალამ და სიმტკიცემ, ამასთან, როგორც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, ისე XIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში შექმნილმა საშინაო მდგომარეობამ და საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა ერთ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის, ხოლო მეორე შემთხვევაში პეტრე პირველის მოღვაწეობის ხასიათი.

## პირველი ღონისძიებები

**პირველი პერიოდები დავით აღმაშენებლისა თუ პეტრე პირველის მეფობისა, აღსავსე იყო შინაპოლიტიკური ბრძოლებით.** საქართველო XI-XII საუკუნეების მიჯნამდე, ისე როგორც ექვსი საუკუნის შემდეგდროინდელი რუ-

სეთი, შინაპოლიტიკური ბრძოლების ასპარეზსს წარმოადგენდა.

## რა სახის იყო დავით აღმაშენებლის პირველი ღონისძიებები?

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას კარგად ჰქონდა აწონ-დაწონილი XI საუკუნის დასასრულის საქართველოს მდგომარეობა და ითვალისწინებდა კიდეც იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას წინ ეღობებოდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა უნდა მოშენებულიყო და მეფეს გაბნეული და დაქსაქსული ქვეშევრდომები შემოეკრიბა. დავით აღმაშენებელმაც ამით დაიწყო: შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა მათი მხარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. **საქართველოს სამეფო კარმა თავი მოუყარა ერთგულ მხედართა რაზმებს და თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს. მეფემ წვრილ-წვრილი გამარჯვებების წყალობით სელჩუკები თანდათან აჰყარა ქართლიდან.** ამით კი ქართველ ხალხში გარდუვალი გამარჯვებისა და საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა; მტრის შიშით მთაში გახიზნულ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის საშუალება მიეცა. ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას, ქალაქები აღორძინების გზას დაადგა.

საქართველოს სამეფო კარმა XI საუკუნის ბოლოს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა მეფისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვარიან ფეოდალებს.

დავით აღმაშენებელმა შეიპყრო 1193 წელს სამეფო კარის წინააღმდეგ გამოსული კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ამ უკანასკნელმა ცოდვები მოინანია და მეფემაც გაათავისუფლა იგი. თანაც ფეოდალის ყველა ძველი უფლება შეუცვლელად ცნო. როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა — „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა“. საქართველოს მეფე როცა დარწმუნებულა, რომ ლიპარიტის მორჯულება არ შეიძლებოდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, კვლავ შეუპყრია და ორი წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გაუძევებია, სადაც გარდაცვლილა კიდეც ეს ქედმაღალი ფეოდალი. ამ აქტის შემდეგ კლდეკარის საერისთავომ კიდევ რამდენიმე ხანს იარსება; სათავეში მას ლიპარიტის ძე რატი ედგა. ვერც რატი ლიპარიტის ძემ გამოიჩინა თავი სიკეთითა და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით. ისიც, მისი წინაპრების მსგავსად, სამეფო ხელისუფლებისა და ერთიანი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა. „კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი“. — ასეთი მწარე სიტყვებით „ამკობს“ ისტორიკოსი კლდეკარის უკანასკნელ ერისთავს. ბუნებრივია, როცა საქართველოს მეფე კვლავ ორგულობა იხილა, ბაღვაშთა გვარიდან მომდინარე, მას ისღა დარჩენოდა, უკიდურესი ზომისათვის მიემართა. ეს უკიდურესი ზომა საერისთავოს გაუქმება იყო. 1103 წელს დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო გააუქმა და საქართველოს სამეფო შემოუერთა. 1099 წელს საქართველოს მეფემ სელჩუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა და ამით სრული დამოუკიდებლობა აღიდგინა.

1104 წელს დავით აღმაშენებელმა ადგილობრივ დიდებულთა აქტიური მხარდაჭერის წყალობით კახეთი და ჰერეთი შემოიერთა.

საქართელოს მეფის ასეთი მოქმედება ვერაფრად ეპიტნავა სულთანს, რადგან ჰერეთ-კახეთი მისი მოხარკე იყო და ამ ქვეყნის დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა სასულთნოსთვის. სუსტდებოდა თურქების პოზიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სულთნის დიდმოხელე, განძის ათაბაგი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოემართა დავით აღმაშენებელთან შესაბრძოლებლად და მის ჰერეთ-კახეთიდან გასადევნად. დავით აღმაშენებელი მომზადებული დაუხვდა მტერს. ბრძოლა გაიმართა ერწუხში (ახლანდელ საინგილოში) 1104 წელს და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა („ერწუხს ქმნა წყობანი დიდნი ხმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“), ისტორიკოსი აღტაცებით აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში: „არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვსთა, ანუ შორით უზახებდა... არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა“.

დავით აღმაშენებელმა დაიმორჩილა მოწინააღმდეგე ფეოდალები — ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეები. ძაგანი დავითს სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მისთვის ყველა პატივი აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა „ნაქონი მისა-მიმართ თვსებული და მღვიმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი“ მისთვის დაუტოვებია სიკვდილამდე. ძაგანის გარდაცვალების შემდეგ კი მისი შთამომავლობა კარგავდა ყოველგვარ უფლებას ზემოაღნიშნულ ქონებაზე.

ამგვარად, დიდგვარიანი ფეოდალების აღვირახსნილობის ალაგმვით, სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტით, ჰერეთ-კახეთის შემოერთებით დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ამიერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შეეძლო ფართო მასშტაბის ღონისძიებების ქმედითი გატარება — ეკონომიკური ხასიათისა იქნებოდა თუ პოლიტიკურისა.

* * *

**ავიდა თუ არა სამეფო ტახტზე, პეტრე პირველს მოუხდა ოპოზიციურ ძალებთან შებრძოლება. იგი სრულიად განსხვავდებოდა მისი წინამორბედი მეფეებისაგან. სიახლე ყველა საქმეში, ბრძო-**

**ლა რუსეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის, — აი, რა იყო პეტრე პირველის საზრუნავი. თავგამოდებული ბრძოლა იმისათვის, რომ რუსეთს ჰქონოდა ზღვაზე გასასვლელი, პეტრესთვის პირველ მოთხოვნილებად გადაიქცა.**

ევროპის ბევრ ქვეყანაში იმოგზაურა რუსეთის მეფემ, ეცნობოდა გემთმშენებლობასა თუ სხვა საკითხებს. იგი დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა სამშობლოში და ძლიერმა მეფემ მორჩილი თაყვანისცემის გუნებაზე დააყენა ბოიარები. საოცარი ფაქტი მოხდა მეფის რეზიდენციაში — პრეობრაჟენსკოეში, როცა ბოიარები პეტრეს სანახავად მოვიდნენ, რათა მისალმებოდნენ ახლად დაბრუნებულ მეფეს, ამ უკანასკნელმა მაკრატელი მოითხოვა და საკუთარი ხელით მოჰკვეცა ბოიარებს წვერი. პირველი მსხვერპლი ბოიარი შეინი გახდა. წვერს შეელია თავადი რომოდანოვსკიც. შემდგომში უკვე ამ მოვალეობას მეფის მასხარა ასრულებდა.

პეტრემ წვერის მოკვეცა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა — მოითხოვა, მთელს მოსახლეობას გაეპარსა წვერი. წვერის ტარების უფლება მხოლოდ გარკვეული თანხის გადახდის გზით შეიძლებოდა. მდიდარ ვაჭრებს წვერი წელიწადში 100 მანეთი უჯდებოდათ, აზნაურობასა და ჩინოვნიკებს — 60 მანეთი, სხვა მოქალაქეები 30 მანეთს იხდიდნენ. გლეხები ქალაქში ყოველი შესვლა-გამოსვლისას თითო კაპიკს იხდიდნენ.

პეტრე პირველმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მისი მოწინააღმდეგე სტრელეცების მოძებნა-დასჯას. სტრელეცები ჯერ კიდევ პეტრეს საზღვარგარეთ ყოფნის დროს აჯანყდნენ. სტრელეცთა მიზანი იყო პეტრეს მოკვლა და სოფიოს გამეფება, მაგრამ ისინი მწარედ დამარცხდნენ მეფის ერთგული ლაშქრის მიერ, აჯანყების მოთავეები დაისაჯნენ. ...პეტრე პირველმა თვითონ აიღო ხელთ გამოძიების ხელმძღვანელობა, თუმცა მისთვის ნათელი იყო, რომ „Смерти они достойны и за одну провинность, что забунтовали и бились против Большого дома“.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ სოფიო ალექსის ასული გარკვეულად იყო დაკავშირებული აჯანყებასთან. პეტრემ თვითონ დაჰკითხა ცხრა წლის უნახავი და, მაგრამ ამ აქტმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან უშუალო მამხილებელი საბუთი არ არსებობდა. ძიება ფორმალური ხასიათისა იყო. იგი არც კი დამთავრებულა, ისე დაიწყო სტრელეცთა დასჯა. მათ გადაუწყვიტეს სიკვდილი, როგორც „ქურდებს და მოღალატეებს, ფიცის გამტეხებსა და მოჯანყეებს“. საგულისხმოა, რომ სტრელეცთა სიკვდილით დასჯას თვით პეტრე პირველი ესწრებოდა, სამეფო კარის მაღალ მოხელეებთან და უცხოელ დიპლომატებთან ერთად. მეფის ძლიერი პიროვნება მთელი სიმკვეთრით წარმოისახა თანამედროვეთა წინაშე. პეტრე პირველმა მორჩილების გუნებაზე მოიყვანა აქა-იქ ჯერ კიდევ არსებული მოწინააღმდეგენი და შემდეგ დიდ რეფორმატორულ საქმიანობას შეუდგა.

## რეფორმატორული საქმიანობა

**დავით აღმაშენებელმა სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გატარებული პირველი ღონისძიებების შემდეგ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმების განხორციელება და-**

**იწყო.** დღის წესრიგში იდგა საქართველოს ეკლესიის საკითხი; ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის, აგრეთვე, სასულიერო პირების თავგასულობისა და თვით ეკლესიის სახელმწიფოსთან დაპირისპირების გამო, აუცილებელი იყო ღონისძიებების გატარება სასულიერო სფეროშიც. შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. განსაკუთრებით გაიზარდა და გაძლიერდა იგი XI საუკუნეში, როცა მის ხელში დიდძალმა მამულებმა მოიყარა თავი. უფრო მეტიც, ეკლესიამ შეუვალობა მოიპოვა და სახელმწიფოში ერთგვარ სახელმწიფოდ იქცა.

XI საუკუნის 60-იან წლებში გიორგი მთაწმინდელმა სცადა, ეკლესია სწორ გზაზე დაეყენებინა, მაგრამ ეკლესიაში არსებული უწესობანი მაინც ვერ მოსპო. საქართველოს სამეფოს წინაშე დასახული იყო ამოცანა — ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით შებრძოლებოდა რეაქციულ სასულიერო არისტოკრატიას. პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა, **1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრება იყო — „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი“. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავით აღმაშენებელი კრებას დასწრებია, მაგრამ იგი აქ ყოფილა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“.**

კრებამ დავით აღმაშენებლის მომხრეთა ხაზი გაატარა: განკვეთა უღირსი სამღვდელო პირები, მათ ნაცვლად ღირსეულები (დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ერთგულები) შეარჩია; განაწესა სასულიერო თანამდებობის დამკავებელთა წლოვანება, დაადგინა ხელდასხმის წესი, აკრძალა გვირგვინის კურთხევა „ჩვილთა ქალ-ყრმათა“, აგრეთვე, ზოგი უწესობა, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა საერო და სასულიერო პირთა შორის.

როგორც ირკვევა, პირველი ღონისძიებების გატარების შემდეგ ეკლესია-მონასტრები დავით აღმაშენებელს მკაცრ პირობებში ჰყოლია ჩაყენებული. საერთოდ, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში მთელი ეს დიდი საქმიანობა მიმართული იყო სახელმწიფოზე ეკლესიის საზიანო გავლენის წინააღმდეგ. ამიერიდან დიდი ფეოდალები მღვდელმთავრების სახით ძლიერ მოკავშირეებს კარგავდნენ.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებას — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის შემოღებას.

მწიგნობარუხუცესი მონაზონი იყო და მიწისმფლობელობისაგან შორს იდგა. სხვა დიდი ფეოდალებისაგან განსხვავებით, ვერ გამოიჩენდა „ხელის“ სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას. მწიგნობართუხუცესი მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ იყო ასეთი ხელისუფლების გაძლიერების თავგამოდებული მომხრე.

დავით აღმაშენებელმა სწორედ მწიგნობართუხუცესის თანამდებობა შეაერთა ჭყონდიდელობასთან. მეფის ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი, ამავე დროს, საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის, ჭყონდიდელობის, მატარებელიც გახდა. საქართველოს მეფეს მის მიერ შექმნილი ახალი ხელის მეოხებით შეეძლო, ფართოდ ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. სავარაუდოა, რომ ეს თანამდებობა რუის-ურბნისის კრების მომდევნო პერიოდში — 1104-05 წწ. დაარსდა.

...დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება სამხედრო რეფორმის გატარებაც. მას ჯარში მკაცრი სამხედრო დისციპლინა შემოუღია. მეფემ ყურადღება მიაქცია ლაშქრის კარგად გაწვრთნის საქმეს, ლაშქრის მოქმედების სისწრაფისათვის გაამრავლა მხედრობა, ცხენოსანი რაზმები. ბრძოლის დროს ლაშქრის ხელმძღვანელობა ახალ ტაქტიკასა და სტრატეგიულ გეგმებს მიმართავდა. დავით აღმაშენებლის მიერ ორგანიზებული ქართული ლაშქრის წყალობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვიტა. სამხედრო რეფორმის შემდგომი ეტაპი იყო 1118-20 წწ. ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში და მათ ბაზაზე მუდმივი ლაშქრის გაძლიერება. დავით აღმაშენებლის დროინდელი ლაშქარი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართველთა ლაშქარი, „მონა სპა“ (მეფის თანმხლები ლაშქარი), ყივჩაყთა ლაშქარი, „როქის სპა“ (დაქირავებული ლაშქარი).

დავით აღმაშენებელმა ფულის კურსის განმტკიცების მიზნით გაატარა დიდმნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, მოაწესრიგა სამონეტო საქმე. რეფორმები გატარდა სამართლის დარგშიც, დაიხვეწა და გაუმჯობესდა მისი წარმოება. გარდამქმნელი მოღვაწეობა კულტურის სფეროსაც შეეხო.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმები მასშტაბური იყო და ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა.

* * *

მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი იყო პეტრე პირველის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. საგულისხმოა, რომ რუსეთში XVIII საუკუნე ახლებურად დაიწყო, ახალი 1700 წელი იდღესასწაულეს არა 1 სექტემბერს, არამედ 1 იანვარს. ახალი წლის მესამე დღეს პეტრემ ბრძანება გამოსცა, რომლითაც რუსული ჩაცმულობა იცვლებოდა — ძველებური გრძელი კაბა მოკლე „უნგრულმა კაფტანმა“ შეცვალა.

ბრძანებულებები საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოიცემოდა. მათი ერთი ნაწილი მუდმივმოქმედი იყო და „გენერალური დანიშნულება“ ჰქონდა, ზოგიერთი კი მოკლევადიანი იყო. **პეტრეს მიერ**

**გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის წყალობით შეიცვალა სახელმწიფო დაწესებულებები — რუსეთში აბსოლუტური მონარქია დამკვიდრდა.**

თუკი წინათ მეფე ბოიართა სათათბიროსთან ერთად მართავდა ქვეყანას, ახლა ეს ინსტიტუტი მოძველებულად გამოჩნდა და მის ნაცვლად დაარსდა ბიუროკრატიული დაწესებულებები, რომლებიც სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ მეფეს. 1721 წელს სენატმა პეტრე პირველს იმპერატორის ტიტული მიანიჭა. მეფის უფლებათა განუსაზღვრელობა ნათლად ჩანს სამხედრო წესდებაში, სადაც აღნიშნულია, რომ „его величество есть самовластный монарх, который никому на свете о своих делах ответу дать не должен, но силу и власть имеет свое государства да земли, яко христианский государь, по своей воли и благомнению управлять“.

მონარქის აბსოლუტური უფლებიანობა საგანგებოდაა აღნიშნული სასულიერო რეგლამენტში: „Император всероссийский есть монарх самодержавный и неограниченный. Повиноваться его верховной власти не токомо за страх, но и за совесть, сам бог повелевает“.

**პეტრე პირველმა შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომელიც პირმშოობაზე იყო დამყარებული.** ამიერიდან ტახტის მემკვიდრის შერჩევა იმპერატორზე იყო დამოკიდებული (ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმაც 1125 წლის საანდერძო განკარგულებაში, წინააღმდეგ არსებული ტრადიციისა, შესაძლებლად დაუშვა უმცროსი შვილის გამეფება).

**დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში სასამართლო რეფორმის გატარებას,** რომლითაც მთავრობა შეეცადა, ბურჟუაზიული იუსტიციისათვის დამახასიათებელი წესრიგი დაემყარებინა — ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ხელისუფლება გაეცალკევებინა სასამართლოსაგან.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმების გატარებას. ფართო მასშტაბით წარმოებულმა გემთმშენებლობამ რუსეთის არმიას მეტად მნიშვნელოვანი სიძლიერე შემატა. ჯარში გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა პირველხარისხოვანი სამხედრო არმია და საზღვაო ფლოტი. მეფის ხელისუფლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ მრეწველობის ზრდა და ვაჭრობის განვითარება უზრუნველყო. ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოდ იქცა. **რუსეთმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ — დიდმა გარდაქმნებმა დააჩქარა ქვეყნის „ევროპიზაცია“.**

## აღმავლობის გზაზე

XII საუკუნის პირველ მეოთხედში მასშტაბური სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. XII საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო თანამიმდევრული ბრძოლა ქალაქების შემოსაერთებლად. ჯერ სამშვილდე აიღეს (1110 წ.), 1115 წელს ქართველებმა სელჩუკებს რუსთავიც გამოჰგლიჯეს ხელიდან, 1117 წელს — გიში, 1118 წელს — ლორე.

საქართველოს სამეფო მთელი გულისყურით ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის — თბილისის შემოსაერთებლად. ეს ბრძოლა მოხდა 1121 წელს დიდგორთან და, როგორც ცნობილია, ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა. მუსლიმურმა კოალიციამ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ამ გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1122 წელს თბილისი საქართველოს ერთიან სამეფოს დაუბრუნდა. დავით აღმაშენებელმა ბრძოლის მასშტაბები გაზარდა, რაც არსებითი მნიშვნელობის იყო, როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნებისათვის. ქართველთა და შირვანელთა ერთობლივმა ბრძოლამ უზრუნველყო შირვანის დამოუკიდებლობა სელჩუკი დამპყრობლებისაგან. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა შირვანი საქართველოს შემოუერთა. დავით აღმაშენებელმა ისარგებლა სომხეთის ჩრდილო რაიონებში გაჩაღებული განმათავისუფლებელი ბრძოლით და მტერს ხელიდან აგმოსტაცა სომხეთის ციხეები: გაგნი, ტერუნაკანი, ქავაზნი, ნორაბერდი, მინასგომნი და ქალინჯაქარი. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ანისიც აიღო.

ამგვარად, XII საუკუნის პირველ მეოთხედში თითქმის მთელი ამიერკავკასია საქართველოს გარშემო გაერთიანდა.

გაერთიანებული და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს წინსვლა მის კულტურაში გამოიხატა. დავით აღმაშენებელი თვითონ ფრიად განსწავლული ადამიანი იყო და ერის განათლებასა და დაწინაურებაზეც ფიქრობდა.

დავითმა 1106 წელს „ადგილსა ყოველად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა“ ააგო ტაძარი „ამაღლებული ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა“, განთქმული თავის „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა“, გელათში დაფუძნდა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა — გელათის აკადემია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს მოიხსენიებს „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესა მისსა“.

გელათის აკადემია, როგორც ვარაუდობენ, დაარსებულია 1106-1110 წლებში. იგი განვითარებული შუა საუკუნეების პირველი აკადემიაა, რომელიც შეიქმნა რეალური ინტელექტუალური მოთხოვნილების ნიადაგზე და გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს. დაახლოებით ამ პერიოდში მოვიდნენ გელათში სამოღვაწეოდ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

...დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში განათლება და კულტურა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამის სიმაღლეზე იდგა.

* * *

დიდი გარდაქმნები ახალ ამოცანებს აყენებდა რუსეთის სახელმწიფოს წინაშე. პირველი დიდი საკითხი — ბრძოლა პოლონეთთან რუსეთისა და უკრაინის მიწებისათვის ნაწილობრივ გადაწყდა ანდრუსოვოს ხელშეკრულებით (1667 წ.) და „საუკუნო ზავით“ (1686 წ.); მეორე მნიშვნელოვანი საკითხი — სამხრეთ რუსეთის მიწების დაბრუნება და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ასევე მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა რუსეთისათვის აზოვის შეერთებით (კონსტანტინოპოლის 1700 წლის ხელშეკრულება); მესამე დიდი საკითხი — შვედების მიერ რუსეთისგან მიტაცებული მიწებისა და ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება იყო. ამ უკანასკნელი პრობლემის გადაჭრა განსაზღვრავდა XVIII საუკუნის პირველი ათწლეულის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს.

რუსეთის მოკავშირეებად გამოვიდნენ დანია, პოლონეთი და პრუსია; ეს ქვეყნები შვედეთის დამპყრობლური პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ. შეიქმნა ანტიშვედური კოალიცია. თურქეთთან ზავის დადების შემდეგ (1700 წ.) პეტრე პირველმა ბრძანება გასცა, რუსეთის ჯარს მახვილი ჩრდილოეთისაკენ მიემართა. 1700 წლის 16 სექტემბრიდან 19 ნოემბრამდე რუსეთის 34 ათასიანი არმია წარუმატებლად ცდილობდა ნარვის აღებას. აქ რუსებმა მარცხი განიცადეს და დიდი გაკვეთილი მიიღეს. ისტორიოგრაფიაში ოფიციალურადაა აღიარებული, რომ ნარვასთან მარცხი — ეს იყო გზა გამარჯვებისაკენ.

1702 წლიდან გარდატეხა დაიწყო ჩრდილოეთის ომში. პეტრემ პირველი დამარცხებები აგემა შვედეთს. ამასთან, იგი ამაგრებდა რუსეთის ქალაქებს. რუსეთის არმია ისე გაძლიერდა, რომ მრისხანე ძალად იქცა. 1708 წლისათვის იგი 135 ათას მებრძოლს ითვლიდა. ეს იყო კარგად გაწვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი, მტკიცე დისციპლინის მქონე შეიარაღებული არმია. **პეტრე პირველმა დიდი გამარჯვება მოიპოვა პოლტავასთან 1709 წელს.** კარლოს XII-მ მძიმე მარცხი განიცადა. შვედებმა ათი ათასამდე მეომარი დაკარგეს, სამი ათასამდე ტყვედ ჩავარდა. პეტრე პირველმა ზეიმით აღნიშნა გამარჯვება, სადილად შვედი ტყვე გენერლებიც მოიწვია და შესვა სამხედრო საქმეში თავისი მასწავლებლების სადღეგრძელო. როცა ჰკითხეს, თუ ვინ იყვნენ ეს მასწავლებლები, პეტრემ უპასუხა: „თქვენ, ბატონო შვედებო!“

პოლტავის გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. პოლიტიკური თვალსაზრისითაც განუმეორებელი იყო იგი. რუსეთის ავტორიტეტი განუსაზღვრელად გაიზარდა საერთაშორისო მასშტაბით. პეტრე პირველმა ახალ-ახალი წარმატებები ჩაწერა რუსეთის მატიანეში.

პეტრე პირველის საგარეო პოლიტიკა ისტორიულად პროგრესული ხასიათისა იყო. გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, განმტკიცდა რუსეთის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან. შეიქმნა დამატებითი წანამძღვრები ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

**პეტრე პირველმა დიდი ყურადღება დაუთმო განათლების საქმეს, ყოველმხრივ ახალისებდა მეცნიერების განვითარებას. 1701 წელს გამოვიდა მეფის ბრძანება, რომლის ძალითაც შეიქმნა სანავიგაციო სკოლა.** ამის შემდეგ საარტილერიო და საინჟინრო სკოლებიც დაარსდა. სპეციალისტთა მომზადების დაჩქარების მიზნით პეტრე ახალგაზრდა რუს აზნაურებს გზავნიდა საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად. საგულისხმოა, რომ უკან დაბრუნებულთ თვითონ მეფე უტარებდა გამოცდას, თუ რამდენად აითვისეს ესა თუ ის საქმე.

ამ დროს მეცნიერება, ბუნებრივია, პრაქტიკული მოთხოვნილების შესაბამისად ვითარდებოდა. **პეტრე პირველის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის აკადემიის შექმნა.** 1724 წელს სენატმა საგანგებოდ განიხილა აკადემიის დებულება. აკადემია გაიხსნა 1725 წელს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცნიერების პრპაგანდასაც, რისთვისაც საგანგებო დაწესებულებებიც შეიქმნა. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად და კულტურულად მაღალ დონეზე იდგა.

* * *

კიდევ ერთი დამთხვევა... **როცა კვლავ საკრალური ციფრი 600 ურევია საქმეში: 1125 წლის იანვარში გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი, 1725 წლის იანვარში კი — პეტრე პირველი.**

საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებელმა სიკვდილის წინ დატოვა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მეფედ დემეტრე მტკიცდებოდა, ასევე ნაწილდებოდა მთელი მისი ქონება. ეს მომაკვდავი თვითმპყრობელი მეფის ნება იყო:

„ხოლო დრაჰკანი, კოსტანტი ცუატას და ჩემნი ლალნი და თუალ-მარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადა შემინირავს. ხოლო დუკატი და პოტინაქი ატენისა საჭურჭლისა იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა...“

პეტრე პირველმა, იგრძნო თუ არა სიკვდილის მოახლოება, მოითხოვა ქაღალდი, რომელზეც რამდენიმე გაურკვეველი სტრიქონი დაწერა. ამ სტრიქონებში გამოირჩა მხოლოდ ორი სიტყვა: „Отдайте все“...

სიკვდილის წინ ქონების გაცემა, ეტყობა, დიდი ადამიანების ხვედრი იყო.

# სახალხო მეურნეობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე, საქართველოში ევაკუირებული წარმოება-დაწესებულებანი და მოსახლეობა

**წლეულს 70 წელი სრულდება მეორე მსოფლიო ომის, ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტის კაცობრიობის ისტორიაში, დაწყებიდან; ომისა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. მასში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო — დედამიწის მოსახლეობის 80%. ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე; შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იქნა 110 მლნ კაცი... დიდი სამამულო ომი წმიდათაწმიდა იყო თითოეული საბჭოთა ჯარისკაცისთვის. სსრ კავშირმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში. მისი წყალობით ამ ომში საბოლოოდ განადგურდა ფაშიზმი. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ქვეყნის მთავრობა სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნას შეუდგა.**

ომმა მოითხოვა მრეწველობის სტრუქტურის ძირეული შეცვლა, კადრების მომზადება-გადამზადება, ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების გამოძებნა და სხვა რთული საკითხების გადაწყვეტა. ომის პირველსავე წელს გაიზარდა საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და საჭირო ნედლეულის მიწოდება სამხედრო მრეწველობისათვის. **უკვე 1941 წლის ბოლოსათვის რაჭის და ცანის სამთო-მეტალურგიულმა კომბინატებმა ორმაგად გაადიდეს თეთრი დარიშხანის მიწოდება თავდაცვითი მრეწველობისათვის. გაიზარდა მოლიბდენის, ვოლფრამის, სურმის მოპოვება.** თავდაცვითი მრეწველობისათვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ნედლეულს წარმოადგენდა მოლიბდენი, რომელიც მოიპოვებოდა ს. კარობში (ონის რაიონი), სადაც შეიქმნა კომბინატი, რომელიც აწარმოებდა მოლიბდენის კოცენტრატს. გაფართოვდა გუმბრინის ამოღება.

ომის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მინერალს — ანდეზიტს, რამდენადაც იგი გამოიყენებოდა ქიმიური და საბრძოლო მასალების წარმოებაში. მაგრამ ყაზბეგისა და ბორჯომის რაიონებში არსებული საბადოები იმის გამო, რომ დამზადებული ანდეზიტის გამოტანა გაძნელებული იყო, კონსერვირებული იქნა 1944 წლის ბოლომდე. **ახალციხის აქატის საწარმომ 1941 წლის განმავლობაში საავიაციო, საარტილერიო, სატანკო და ხელსაწყოთმშენებელ და სხვა სამხედრო ქარხნებს მიაწოდა 40 ტონა აქატი.**

რთული მდგომარეობა შეიქნა ომის დაწყების შემდეგ ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში, ამოღებული მადნის ექსპორტის შეწყვეტის გამო. ამიტომ 1941 წლის ნოემბერში ნაწილი მაღაროებისა კონსერვირებული იქნა. 1942 წ. მანგანუმის 8 მაღაროდან მუშაობდა მხოლოდ სამი, შემცირდა მუშახელი, რომლის ნაწილი გადაყვანილ იქნა ქვანახშირის მრეწველობაში. 1943 წლიდან განახლდა მადნის ამოღება.

1942 წლიდან, როდესაც ამიერკავკასია, ფაქტობრივად, მოწყვეტილი აღმოჩნდა ქვეყნის დანარჩენი ნაწილისაგან, ქვანახშირის მოპოვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების ჯარების, შავი ზღვის ფლოტისა და ამიერკავკასიის რკინიგზისათვის სათბობის მიწოდების საქმეში, მაგრამ, თუ ომის პირველ ხანებში ქვანახშირის მოპოვება შემცირდა მასალების შემოტანის შეწყვეტისა და სხვა სიძნელეების გამო, 1943 წლიდან მდგომარეობა გამოსწორდა. მეშახტეთა თავდადებული შრომის წყალობით გადიდდა ქვანახშირის მოპოვება არა მარტო ტყიბულში, არამედ ტყვარჩელშიც, სადაც უშუალოდ მეშახტეთა ძალისხმევით აშენდა საკოქსე ღუმელი და დაიწყო სამრეწველო კოქსის გამოშვება. ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტები გაერთიანდა ერთ კომბინატში. ახალციხის მურა ნახშირის საბადოს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

1942 წლის აპრილში აკარმარასა და კვეზანის ბაზაზე ტყვარჩელი გამოცხადდა ქალაქად.

**ცვლილებები მოხდა საქართველოს ნავთობის მოპოვებაში. 1942-43 წლებში მისი მოპოვება გადიდდა და ახალი ნავთობის საძიებო სამუშაოებიც მიმდინარეობდა.** ბათუმისა და, აგრეთვე, მირზაანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები შეიარაღებულ ძალებს აწვდიდნენ თხევად საწვავს.

ომის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის პროდუქციას, მაგრამ 1942 წლის ზაფხულისათვის ამ ქარხანაში რთული მდგომარეობა შეიქმნა. მთელი რიგი ძირითადი მასალების მიუღებლობამ აიძულა საწარმო, გამოეძებნა დეფიციტური მასალების შემცვლელი ადგილობრივი მასალები. ქარხანაში აითვისეს საჯავშნე ფოლადისათვის მეტად საჭირო ელექტროლიზური მანგანუმის წარმოების ახალი გაუმჯობესებული მეთოდი. ომის წლებში გაფართოვდა ფეროსილიციუმის, სილიკო-მანგანუმის, ფერომოლიბდენისა და სხვა შენადნობების წარმოება მაღალარისხოვანი ფოლადის საწარმოებლად. 1943 წლიდან გაიზარდა ამ პროდუქციის გამოშვება.

**სამხედრო პროდუქციის წარმოების აუცილებლობამ საჭირო გახადა საქართველოს სამრეწველო საწარმოთა დაჯგუფება და კოოპერირება მათი პროფილის და საწარმოო შესაძლებლობისდაკვალად, კერძოდ, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების „პპშ“ წარმოება დაევალა თბილისის ჩარხსაშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებს, სატელეგრაფო აპარატურის ქარხანას, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას, საელმავლო და საორთქლმავლო დეპოებს, ელექტროტექნიკურ ქარხანას და სხვა საწარმოებს. 1942 წლის დამლევისათვის ჩარხსაშენებელმა ქარხანამ სამხედრო უწყებას გადასცა დიდი რაოდენობით ნაღმსატყორცნ „კატიუშას“ დანადგარის ძირითადი ნაწილები და რეაქტიული ჭურვების დეტალები.**

თბილისის ავტოშემკეთებელმა ქარანამ კაპიტალურად შეაკეთა ასობით ტანკი და ტანკის მოტორი, ავტომანქანების და ტრაქტორების დეფიციტური სათადარიგო ნაწილები და დეტალები.

თბილისის მექანიკური ქარხანა სამხედრო-საზღვაო ფლოტს აწვდიდა ცეცხლმტყორცნებს; თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა „ცენტროლიტი“ ომის წლებში ამზადებდა ტანკებისა და ტრატორების სათადარიგო ნაწილებს. ასევე საბრძოლო მასალებს. მანქანათმშენებელ და შემკეთებელ ქარხნებში მზადდებოდა ტანკების სათადარიგო ნაწილები, საარტილერიო ჭურვები, ნაღმები, რეაქტიული ნაღმტყორცნის „კატიუშას“ დეტალები და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები.

**თბილისის სპილენძ-საგლინავმა ქარხანამ სამხედრო მრეწველობას მიაწოდა 700 ტონაზე მეტი წითელი სპილენძი.**

კარობის მოლიბდენის კომბინატმა 1944 წ. 1942 წელთან შედარებით გამოიმუშავა თითქმის 2-ჯერ მეტი მოლიბდენის კონცენტრატი. კასპის ცემენტის და ქუთაისის ლითოფონის ქარხნები და სხვა ქიმიური საწარმოები, შემკეთებელი სახელოსნოები ამზადებდნენ ნაღმის ამფეთქებლებს, ასაფეთქებელ მასალებს.

თბილისის მშენებარე საავიაციო ქარხანამ, რომელმაც თავის ბაზაზე მიიღო ტაგანროგიდან ევაკუირებული დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა თავისი მუშა-მოსამსახურეებით, უკვე 1941 წლის ნოემბერში გამოუშვა რამდენიმე ავიაგამანადგურებელი. 1942 წლის დამდეგიდან კი გადავიდა „იაკ-1“-ის „ლაგგ“-ის მარკის თვითმფრინავების გამოშვებაზე. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით, თბილისის საავიაციო ქარხანას დაევალა 1944 წლის მარტიდან დაეწყო ახალი თვითმფრინავის „იაკ-3“-ის გამოშვება ადრე გამოშვებული „ლაგგ-3“-ის ნაცვლად, რამაც გამოიწვია თვითმფრინავთა რიცხვის რამდენადმე შემცირება.

**ფოთის, ბათუმისა და სოხუმის გემთშემკეთებელი საწარმოები ხომალდებისა და გემების შეკეთებასთან ერთად აწარმოებდნენ დიდძალ საბრძოლო მასალასაც.**

საქართველოს მრეწველობა დიდი რაოდენობით აწარმოებდა ქიმიურ და საინჟინრო აღჭურვილობის საგნებს, აგრეთვე, კავშირგაბმულობის საშუალებებს (სატელეფონო კოჭებს, მაღალი ძაბვის იზოლირებულ მავთულებს, რადიოგადამცემებს და ა. შ.).

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში მოეწყო თბილისის ინსტრუმენტული ქარხანა, რომელსაც დაეკისრა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების მწარმოებელი ქარხნის ფუნქციები.

საქართველოს მრეწველობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე დამთავრდა 1942 წლის მეორე ნახევრისთვის, მაგრამ ფრონტის მოახლოებამ 1942 წლის ზაფხულში დამატებითი სიძნელეები შეუქმნა როგორც მძიმე ინდუსტრიის პროფილის სამრეწველო საწარმოებს, ასევე საფეიქრო, მსუბუქი, კვების მრეწველობის საწარმოებსაც.

ამ დარგების საწარმოების თავისებურებას მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის მხრივ წარმოადგენდა ისიც, რომ მათში დასაქმებული იყო ძირითადად ქალთა კონტინგენტი, რომელსაც არ ეხებოდა სამხედრო მობილიზაცია და ამიტომ მუშახელი შენარჩუნებული იყო, თუმცა სიძნელეები (ნედლეულის და მასალების, ენერგიის წყაროების უკმარისობა) ამ სფეროშიც საკმაო იყო.

თბილისის მაუდ-კამვოლის, აბრეშუმ-საქსოვი და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა ომის პირველ თვეებში აითვისეს არმიისათვის საპარაშუტე ქსოვილის, საფარაჯე, ბამბის და შალის ქსოვილების გამოშვება. **1942 წ. ამ საწარმოებმა დაამზადეს 80 ათასი მეტრი სპეციალური ქსოვილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი ალპინისტური რაზმების**

**მეომართა ტანსაცმლისათვის. სამკერვალო ფაბრიკებმა 1942 წლის განმავლობაში სამხედრო უწყებას გადასცა 418 ათასზე მეტი ფარაჯა, 398 შარვალი და დაბამბული შარვალი, მილიონი წყვილი საარმიო ფეხსაცმელი, 3 მლნ მან. ღირებულების ცხენის ამუნიცია, თეთრეული, ხელთათმანები, ჩანთები და სხვ.**

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებიც და სარეწაო კოოპერაციის არტელები და სახელოსნოები აწარმოებდნენ ჯარისკაცთათვის საჭირო პროდუქციას — ყურებიან ქუდეს, ფეხსაცმელს, ქამრებს, ტრიკოტაჟის წვივსახვევებს, აგრეთვე, კარდალებს, ვედროებს, სალაშქრო და საპალნე სამზარეულოებს და სხვ.

დიდ სიძნელეებს განიცდიდა კვების მრეწველობა, განსაკუთრებით კავკასიისათვის ბრძოლების პერიოდში, როდესაც თითქმის მთლიანად შეწყდა ფქვილის და შაქრის შემოტანა და საქართველოს მოუხდა შინარესურსებით დაკმაყოფილება. ამან გამოიწვია პურის მიწოდების ნორმის შემცირება. 1943 წლიდან კი, როდესაც ფრონტი საქართველოს საზღვრებს დასცილდა, სამხედრო ორგანიზაციებისა და ჯარისათვის კვების პროდუქტების მიწოდების ხვედრითი წილი შემცირდა. საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობა პროდუქციის უდიდეს ნაწილს უგზავნიდა არმიასა და ფლოტს. საკონსერვო მრეწველობაც ვერ მარაგდებოდა მასალებით. ამიტომ გამოიძებნა მასალები და მოწყობილობანი, მოეწყო მინის ტარის და კასრების წარმოება ქუთაისში.

**ომის წლებში არ შეწყვეტილა ზოგიერთი ჩაის ფაბრიკის მოდერნიზაცია და მშენებლობა. ჩაის ფაბრიკების რიცხვი გაიზარდა 40-მდე.**

ქობულეთის ტუნგოს, ბათუმისა და ზუგდიდის კოფეინის, გაგრის, თელავის, ყვარლის, მარნეულის ეთერზეთოვანმა და ქიმიურ-ფარმაცევტულმა ქარხნებმა სამხედრო უწყებას დიდი რაოდენობით გადასცეს ქაფურის ზეთი, ტუნგოს ზეთი და სხვა მედიკამენტები და პრეპარატები.

**უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოში არ შეწყვეტილა კაპიტალური მშენებლობა. 1944 წლის იანვარში თბილისის რაიონში მწყობრში ჩადგა ახალი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა. იმავე წელს ქუთაისში დაიწყო სათმო-საშახტო მოწყობილობათა ქარხნის „სამთოელის", ბორჯომის რაიონის ს. ჩითახევის 18 ათასი კვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდ. მტკვარზე, ქვანახშირის ახალი შახტების მშენებლობა და არსებული შახტების რეკონსტრუქცია.**

1945 წლის დამდეგს განახლდა ხრამის და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

1941 წ. თბილისის მახლობლად შუა საუკუნეებში უცხოელ დამპყრობთა შემოსევების შედეგად იავარქმნილი რუსთავის უკაცრიელ ფართობზე დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

ომის წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 200-ზე მეტი მსხვილი, საშუალო და წვრილი საწარმო და დამოუკიდებელი საამქრო. გრძელდებოდა სატრანსპორტო მშენებლობაც.

1942 წ. სამოქალაქო მომსახურებისათვის გაიხსნა ამიერკავკასიის რკინიგზის ზღვის მაგისტრალი, მთლიანად კი იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1945 წ. იმავე წელს დამთავრდა ბორჯომი-ვალეს (ახალციხის) სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. გაყვანის პროცესში იყო კაჭრეთ-მირზაანის რკინიგზის შტო. გაჰყავდათ მაიაკოვსკი (ბაღდათი) — საირმე — დიდმაღალას, ჩოხატაური — ბახმაროს გზატკეცილები; წარმოებდა საქართველოს სამხედრო გზის, შავი ზღვისპირეთის გზატკეცილის, თბილისი-რუსთავი-წითელი ხიდის გზატკეცილებისა და სხვათა რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება.

**ასეთი ფართომასშტაბიანი კაპიტალური მშენებლობის განხორციელება საქართველოში, ისევე როგორც სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში ომის უმძიმეს პირობებში შესაძლებელი იყო მხოლოდ ცენტრალიზებული დაფინანსების, უმკაცრესი საფინანსო დისციპლინისა და კონტროლის პირობებში.**

ობიექტური პირობებით გამოწვეული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, საქართველოს მრეწველობამ, მასში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა თავდადებული შრომის წყალობით მთლიანად გაართვა თავი საომარ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეს.

დაძაბული მუშაობა მოუხდათ

რესპუბლიკის ტრანსპორტის საწარმოებს ომის პირველსავე წელს და განსაკუთებით კავკასიის დაცვის პერიოდში. 1942 წ. ფრონტის საქართველოს საზღვრებთან მოახლოების პირობებში ამიერკავკასიის რკინიგზა წარმოადგენდა სამხრეთის მიმართულებით ერთადერთ მსხვილ მაგისტრალს, რომელიც ახორციელებდა დიდძალი ევაკუირებული მოსახლეობის გადაადგილებას, სხვადასხვა ტვირთის მიღება-გაგზავნას, მოქმედი არმიისათვის რეზერვების, იარაღის, საბრძოლო მასალის, სურსათის, ტანსაცმლის და სხვა მატერიალური საშუალებების მიწოდებას, ზურგში დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების გადაყვანას და მწყობრიდან გამოსული საბრძოლო ტექნიკის გადატანას და ა.შ.

1943 წლის მეორე ნახევრიდან ქართველი რკინიგზელები ნაწილობრივ განთავისუფლდნენ ჯარის ოპერატიული გადაყვანა-გადმოყვანისგან, მაგრამ მათი სამუშაოს მოცულობა არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გადიდდა სტრატეგიული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, საწვავის, სურსათის სარესპუბლიკათაშორისო გადაზიდვები, აგრეთვე, ლენდ-ლიზით მიღებული ტვირთის გადატანა.

საქართველოს რკინიგზელები გამოდიოდნენ შრომითი თაოსნობების ინიციატორებად. ამის დასტურია ის, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ქართველ მემანქანეებს ნ. გელაძეს, მ. წიკლაურს, შ. კოხრეიძეს და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროს გ. კიკნაძეს პირველებს საქართველოში მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში შავი ზღვის ფლოტს თავისი ბაზები აღარ გააჩნდა. გერმანელების ოკუპაციას გადაურჩა საქართველოს ნავსადგურები ფოთი, ბათუმი და სოხუმი, რომლებიც ემსახურებოდნენ შავი ზღვის ფლოტის და აზოვის ფლოტილიის გემებს. ამ ნავსადგურებიდან გადიოდნენ საჯარისო შენაერთები და ტვირთი ალყაში მოქცეული ოდესისა და სევასტოპოლის, ქერჩის გარნიზონებისათვის. **მარტო კავკასიის დაცვის პერიოდში საქართველოს ნავსადგურებიდან ზღვით იქნა გადაყვანილი 213 ათასზე მეტი კაცი და გადატანილ იქნა 260 ათასამდე ტონა სამხედრო ტვირთი.**

მიუხედავად საავტომობილო პარკის მნიშვნელოვანი შემცირებისა (5 ათასი ავტომანქანა პირველსავე დღეებში გადაეცათ ჯარებს), საავტომობილო ტრანსპორტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხედრო უწყების დასახმარებლად. მათ გადაჰყავდათ გამანადგურებელი ბატალიონები საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად, გადაჰქონდათ ტვირთები, მომსახურებას უწევდნენ მოსახლეობას.

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია ომის წლებში ასრულებდა როგორც სახალხო-სამეურნეო ამოცანებს, ასევე დახმარებას უწევდა მოქმედ არმიასაც კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში. მას გადაჰყავდა საჯარისო შენაერთების პირადი შემადგენლობა, აგრეთვე, საჭურველი და საბრძოლო მასალები კავკასიის უღელტეხილებსა და ფრონტის ძნელად მისადგომ უბნებზე.

რამდენადმე შეიცვალა ომის პირობებში კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის ხასიათი. საომარ ყაიდაზე გარდაქმნას ხელი შეუწყო ფრონტსა და ზურგს შორის სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის რეგულირებამ.

**ომის წლებში შეიქმნა ათობით საველე საფოსტო სადგური, აშენდა კავშირგაბმულობის დამატებითი ხაზები, სატრანსლაციო კვანძები და სხვ.**

**რთული ამოცანები დაუსახა ომმა სოფლის მეურნეობას. ომში იქნა მობილიზებული სოფლის ყველაზე შრომისუნარიანი მოსახლეობა, ფრონტს გადაეცა დიდი რაოდენობით ავტომანქანები, ტრაქტორები, ცოცხალი გამწევი ძალა. სამხედრო ყაიდაზე გადაყვანის მთელი სიმძიმე დააწვათ მოხუცებს, ქალებს და მოზარდებს, რომლებმაც ომის პირველი წლიდანვე წარმატებით გაართვეს თავი მოსავლის აღებასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.** ამაში სოფლებს დიდ დახმარებას უწევდა ქალაქის მოსახლეობა, სტუდენტები და მოსწავლეებიც კი. 1942 წ. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობდა 100 ათასი მოსწავლე და სტუდენტი, აგრეთვე, 7 ათასი მასწავლებელი, რომლებმაც 1942 წ. გამოიმუშავეს 6 მლნ შრომადღე.

საომარ ყაიდაზე მუშაობა გულისხმობდა ადრეარსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაქსიმალურ გადიდებას. **რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომის წლებში სახელმწიფოს ჩააბარეს 115 მლნ-მდე ფუთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული. ქვეყნის თავდაცვის ფონდში საქართველოს გლეხობამ შეიტანა 58,8 ათასი ფუთი, ხოლო ფაშისტთა ოკუპაციისაგან დაზარალებულთა ფონდში 13,2 ათასი ფუთი მარცვლეული.**

მარცვლეული და პარკოსანი კულტურების გაფართოებასთან ერთად 1942 წ. გადიდდა ტუნგოს ნარგავების, შაქრის ჭარხლის და მზესუმზირის ფართობები, იმის შედეგად, რომ ათვისებულ იქნა ყამირი და ნასვენი მიწები. 1941 წლის დამლევისათვის ნათესი ფართობი გაიზარდა 30 ათასი ჰექტარით, 1942 წ. კი აითვისეს 53 ათას ჰექტარზე მეტი სათესი ფართობი. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მბრძანებლური სისტემა, რომელიც კიდე უფრო გაძლიერდა ომის დროს, უარყოფით გავლენას ახდენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, ერთი მხრივ, ცენტრალიზაცია დაეხმარა კოლმეურნეობებს ომიანობის პირობებს შეჰგუებოდნენ, მოეხდინათ სოფლის მატერიალური და შრომითი რესურსების სრული მობილიზაცია, ხოლო მე-



ორე მხრივ, კოლმეურნეობები მოკლებულნი იყვნენ დამოუკიდებლობას, გლეხობას აკლდა მატერიალური სტიმულები, მაგრამ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძალების უდიდესი დაძაბვით შესძლეს ქვეყნის მომარაგება სურსათის აუცილებელი მინიმუმით.

ომის წლებში რამდენადმე გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 1945 წ. რესპუბლიკაში ითვლებოდა 78 საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკური აღჭურვილობა და მათ მიერ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა. ცვლილებები მოხდა მეცხოველეობაშიც. 1941-42 წლებში შემცირდა პირუტყვის რაოდენობა განსაზოგადოებულ სექტორში, კავკასიის დაცვის პერიოდში საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს დიდძალი ევაკუირებული პირუტყვი, რომელიც ნამატთან ერთად დაუბრუნდა განთავისუფლებულ რაიონებს. **1946 წლის იანვრისათვის საქართველოში იყო თითქმის 1,5 მილიონამდე მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 2 მილიონზე მეტი ცხვარი და თხა, 473,5 ათასი ღორი და 84 ათასი ცხენი.**

**რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნამ მოკლე ვადაში შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის შედარებით სტაბილიზაციას ომის წლებში.**

ომიანობის პირობებმა მკვეთრად გააუარესა მუშა-მოსამსახურეთა, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა, რადგან იგი ვეღარ მარაგდებოდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლით, რის გამოც 1941 წლის ივლისიდან შემოღებულ იქნა მოსახლეობის ნორმირებული მომარაგება სურსათით და პირველადი საჭიროების საგნებით.

ომის წლებში მუშა-მოსამსახურეთ გამოეყოთ მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის განვითარებისათვის. ომის დასაწყისში შემცირდა რესპუბლიკაში სტაციონალურ სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობა მიუხედავად ექიმებისა (1945 წლისათვის მათი რიცხვი შეადგენდა 5,1 ათასს) და საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხვის (9,7 ათასი) ზრდისა. მაგრამ გადიდდა სადღეღამისო ბავშვთა ბაგების, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების, ბავშვთა პოლიკლინიკებისა და საავადმყოფოების რაოდენობა. 1943-1945 წლებში ფრონტელთა და ომის ინვალიდთა 144 ათასზე მეტი ბავშვი გაიგზავნა ბავშვთა სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ბანაკებსა და გამაჯანსაღებელ მოედნებზე.

ფულის კურსის გაუფასურების გათვალისწინებით გაიზარდა მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი. 1943 წლიდან ეწყობოდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის „დახმარების კვირეულები“.

**მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, ზურგში მომუშავე მუშა-მოსამსახურენი თავდადებით შრომობდნენ ფრონტის დასახმარებლად, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამარჯვება.**

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების შემდეგ, ფაშისტური გერმანიის ჯარებთან საბჭოთა არმიის პირველი წარუმატებელი შეტაკების გამო უკანდახევის პირობებში, საჭიროდ იქნა მიჩნეული ფრონტისპირა ზონიდან მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების ევაკუაცია ზურგის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში. 1941 წლის ივლისიდან უკრაინიდან, ცენტრალური რუსეთის რაიონებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველომ მიიღო დიდი რაოდენობის მოსახლეობა, რომელთა ნაწილი ადგილზე დაბინავდა, ხოლო ნაწილი ბაქოს გავლით შუა აზიის რესპუბლიკებში გაიგზავნა.

ევაკუაციის რთული საქმის გაძღოლისათვის 1941 წლის 25 სექტემბერს შეიქმნა სსრ კავშირის **საევაკუაციო კომიტეტი**, რომელმაც 1941 წლის ივლისიდან განახორციელა 150 საფეიქრო საწარმოს, კვების მრეწველობის 200 საწარმოს და მთელი რიგი მსხვილი ინდუსტრიული ქარხნების ევაკუაცია.

1941 წლის 4 დეკემბრიდან საქართველომ მიიღო 15 ათასი ევაკუირებული მახაჩყალიდან. ისინი განაწილდნენ რესპუბლიკის რაიონებში. მარტო კალინინის ოლქიდან თბილისმა მიიღო 7484 კაცი. მიუხედავად იმისა, რომ საერთო საევაკუაციო გეგმით არ იყო გათვალისწინებული საავიაციო მრეწველობის საწარმოთა ევაკუაცია

საქართველოში, იგი მაინც განხორციელდა თბილისისა და ქუთაისის მშენებარე საავიაციო ქარხნების სახით ბაზის არსებობის გამო.

საქართველოში ევაკუირებულ საწარმოთა შორის ყველაზე მსხვილ საწარმოს წარმოადგენდა ტაგანროგის საავიაციო ქარხანა, მასზე ადრე თბილისმა მიიღო სიმფეროპოლის ავიამშენებელი ქარხანა. აქვე იქნა გადმოტანილი ომის დაწყებასთან დაკავშირებით დაკონსერვებული ქუთაისის საავიაციო ქარხნის მოწყობილობაც, 1941 წ. აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა 15 საწარმოო კორპუსი, გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი, გზატკეცილი, აშენდა საქარხნო აეროდრომი. ქარხანასთან განთავსდა ტაგანროგის ევაკუირებული საავიაციო ტექნიკუმიც, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ერთად ამზადებდა კვალიფიციურ კადრებს საავიაციო ქარხნისათვის.

თბილისის საავიაციო ქარხანამ უკვე 1941 წლის შემოდგომაზე დაიწყო ავიაგამანადგურებლების გამოშვება, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ბრძოლებში კავკასიის დაცვისათვის. ქარხანა უშვებდა, აგრეთვე, დამატებით შპაგინის ავტომატების ლულებსაც.

**1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქ. ფოთში იქნა ევაკუირებული სევასტოპოლის საარტილერიო-სარემონტო ქარხანა, იმავე წლის დეკემბერში კი — სევასტოპოლის გემთმშენებელი ქარხანა ფოთში, სადაც შეიქმნა მისი ფილიალი. 1942 წლის აგვისტოში ბათუმში განლაგდა ტუაფსის გემთმშენებელი ქარხანა.**

1942 წელს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ მიიღო ნოვოროსიისკისა და ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელი, როსტოვის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი და ტიხორეცკის მანქანათმშენებელი „კრასნი მოლოტის“ ქარხნები. იმავე წელს თბილისმა ელექტროდეპოს ბაზაზე მიიღო როსტოვის ელექტროტექნიკური ქარხანა. აღნიშნული საწარმოები უშვებდნენ სხვადასხვა ყალიბის ნაღმებს და საარტილერიო ყუმბარებს. ამასთანავე, ეწეოდნენ დაზიანებული ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთებას.

1943 წლის მარტში ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელი ქარხანა რეევაკუირებულ იქნა, მაგრამ მისი მოწყობილობის ნაწილი თბილისში დარჩა. ასევე ევაკუირებული ფეოდოსიის არაყ-ლიქიორის ქარხნის მოწყობილობა გადაეცა „სამტრესტს“.

1942 წლის ივლისში თბილისის მაუდის ფაბრიკამ მიიღო მოსკოვის ოლქის მაუდის ფაბრიკა „ოქტომბერი“, საქართველოში ევაკუირებული იყო, აგრეთვე, ავეჯის ფაბრიკები როსტოვიდან და ჩისტიაკოვიდან, რომელთა მოწყობილობა გადაეცა თბილისის საავიაციო ქარხანას, ხოლო ოდესის კონვერტების ფაბრიკის მოწყობილობა — სახელმწიფო გამომცემლობას.

**ომის წლებში საქართველოში ევაკუირებულმა საწარმოებმა, განსაკუთრებით კი საავიაციო და გემთმშენებელმა ქარხნებმა ხელი შეუწყვეს საქართველოში თავდაცვითი მრეწველობის შექმნას, რომელიც მას ომამდე არ ჰქონდა.** სამრეწველო საწარმოთა ევაკუაცია, რომელიც ძირითადად მიმდინარეობდა 1944 წელს და 1945 წლის პირველ ნახევარში, ომის შემდეგაც გრძელდებოდა.

ამას გარდა, 1941 წლის დეკემბერში საქართველოში იქნა ევაკუირებული კრასნოდარის მხარიდან და სხვა ტერიტორიიდან 19 საბავშვო სახლი 800 აღსაზრდელით, რომელთა ნაწილი თბილისის ახლოს კოჯორში იქნა განთავსებული. არსებულმა საბავშვო სახლებმა კი მიიღეს 584 უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი. რესპუბლიკის მოსახლეობის გულმოწყალეობის გამოხატულებას მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ იშვილეს 320 და პატრონაჟზე აიყვანეს 2340 ბავშვი.

ამრიგად, საქართველოში ევაკუირებული მოსახლეობის რაოდენობა, ევაკუირებულ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთა გარდა, 35 ათასს კაცს აჭარბებდა. ამ მოსახლეობამ დროებით მექანიკურად შეავსო საქართველოს მოსახლეობა. მაგრამ ფაშისტური ჯარების მიერ ოკუპირებული რაიონების განთავისუფლების შემდეგ ევაკუირებულნი დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ საცხოვრისს, მხოლოდ მათი მცირე რაოდენობა დარჩა და დამკვიდრდა საქართველოში.

სამრეწველო საწარმოების გარდა საქართველოში ევაკუირებულ იქნა სასწავლო და კულტურის დაწესებულებანი, კერძოდ, როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი 600 სტუდენტისა და 150 პროფესორ-მასწავლებლის შემადგენლობით. 1942 წლის მაისში ლენინგრადიდან თბილისმა მიიღო კალინინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით; მ. ბონჩ-ბრუევიჩის სახელობის ინჟინერთა კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი; აგრეთვე, ფიზკულტურის ინსტიტუტი, ოთხი სახელოსნო სასწავლებელი და როსტოვიდან ერთი ასეთი სასწავლებელი.

1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისში იქნა ევაკუირებული კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრები, რომლებიც შეიკედლა ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა, ხოლო იალტის კინოსტუდია — თბილისის კინოსტუდიამ. ომის წლებში განაგრძეს თავიანთი მოღვაწეობა მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან თბილისში ევაკუირებულმა თეატრის, კინოს, მუსიკალური კულტურისა და სახვითი ხელოვნების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის განვითარებისათვის კულტურულ მონაპოვართა გამდიდრების თვალსაზრისით.

**მ. ნათმელაძე,**
**ა. დაუშვილი,**
**საქართველოს უახლესი ისტორია, თბ. 2004 წ.**

## ლევან დოლიძე:

# სტალინის სამხედრო გენიამ გაანადგურა უბოროტესი ძალა — ფაშიზმი

**სტალინი, როგორც მსოფლიო ისტორიის ფენომენი, სამუდამოდ დამკვიდრდა უკვდავთა კოჰორტაში. ყოველწლიურად მსოფლიოში ჩნდება ათობით კინო და ტელეფილმი, გამოიცემა ასობით წიგნი, იბეჭდება ათასობით წერილი, რომლებიც ეძღვნება ქართველი სოსო ჯუღაშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას.**
**ჩვენი სტუმარია, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქართველი გენერალიტეტის მემატიანე, სტალინის ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი, ღირსების ორდენოსანი ლევან დოლიძე.**

**— ბატონო ლევან, ე.წ. თავისუფალი სამყარო ყოველწლიურად მილიარდებს ხარჯავს, რათა როგორმე მიჩქმალოს სტალინის დამსახურება კაცობრიობის წინაშე; კერძოდ, „დემოკრატიული“ მასმედიის საშუალებით, დასავლეთი ცდილობს, მსოფლიო საზოგადოებას მოახვიოს აზრი, თითქოს ფაშიზმის დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ინგლისმა და ამერიკამ. მართლა ასე იყო?**

— **„მე ყოველ დილას ვლოცულობ, რომ სტალინს არაფერი მოუვიდეს, რომ ის იყოს ჯანმრთელად, რადგან მხოლოდ მას შეუძლია მსოფლიოს გადარჩენა!“** — ეს სიტყვები ეკუთვნის ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს, სერ უინსტონ სპენსერ ლეონარდ ჩერჩილს. მან ეს საჯაროდ განაცხადა 1943 წელს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი მეორე ფრონტი! ხოლო, იმ ტრაგედიამ, რომელიც დატრიალდა მოკავშირეების თავზე არდენებში, ყველას თვალნათლივ დაანახვა, რომ ანგლო-ამერიკელები ჰიტლერის დამმარცხებლები არ იყვნენ!

**— კონკრეტულად, რა მოხდა?**

— 1944 წლის დეკემბერში, როდესაც საბჭოთა ჯარები ბერლინიდან, სულ რაღაც, 500 კილომეტრში იდგნენ, გერმანელებმა არდენებში (საფრანგეთი) მძლავრად შეუტიეს ინგლისელებს და ამერიკელებს და თითქმის ლამანშამდე სდიეს. ჩვენი დასავლელი მოკავშირეები სამხედრო კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ — დაღუპულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა რაოდენობამ 90 ათასს გადააჭარბა!.. სტალინი პატიოსანი მოკავშირე აღმოჩნდა. ჩერჩილის თხოვნისთანავე, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს ფართომასშტაბიანი შეტევა, რამაც ფაშისტური მთავარსარდლობა აიძულა, დასავლეთის ფრონტიდან მოეხსნა მრავალი დივიზია და გადაესროლა აღმოსავლეთ ფრონტზე. საბჭოთა კავშირმა თავისი დასავლელი მოკავშირეები სრული განადგურებისგან იხსნა! ოთხი თვის შემდეგ კი ჩვენმა ჯარებმა ბერლინი აიღეს!

**— ანუ ჩერჩილი ტყუილად როდი ლოცულობდა სტალინის ჯანმრთელობაზე!**

— რა თქმა უნდა! ყველასთვის ცნობილია ჩერჩილის გამოსვლა ლორდთა პალატაში 1959 წლის 21 დეკემბერს. მან ქება-დიდება არ მოაკლო სტალინს და ობიექტურად, გადაჭარბების გარეშე შეაფასა სტალინის მოღვაწეობა. ჰერცოგ მალბოროების ჩამომავალს — უინსტონ ჩერჩილს არ სჭირდებოდა მლიქვნელობა, რადგან სტალინი უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო მის მიერ შექმნილ ზესახელმწიფოში მოღალატე ხრუშჩოვის „მოწოდებით“ მიმდინარეობდა ანტისტალინური ისტერია!..

**— ხრუშჩოვი ახსენეთ და, როგორც მსმენია, თქვენ გქონდათ „ბედნიერება“ მისი ცოცხლად ხილვისა. რა შთაბეჭდილება დატოვა მან თქვენზე?**

— ის პირწავარდნილი ქართველთმოძულე იყო. ჯერ კიდევ 1956 წელს ხრუშჩოვმა გადაწყვიტა სტალინის სახელის დასამარება. ერთადერთი, რაც მან შეძლო, იყო ის, რომ 1961 წელს, ღამით, ქურდულად გამოიტანა მავზოლეუმიდან სტალინის კუბო და კრემლის კედელთან დაასაფლავა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხრუშჩოვმა და მისმა დამქაშებმა ისტორიაში საკუთარი სახელები დაასამარეს!

არაფრის მაქნისი პოლიტიკოსი, უნიჭო ორგანიზატორი და მდაბიო ადამიანი — ხრუშჩოვი 50-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში ვნახე, მაშინდელ „ქარიშხალას“ სტადიონზე. უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე იგი გალეშილი მთვრალი წარსდგა. ჯერ კიდევ XX ყრილობის ჩატარებამდე ათი წლით ადრე, 1946 წელს პირველად ჩავიდა ბერლინში, სადაც ხრუშჩოვს არ შერცხვა და მოყვა, თუ როგორ მოხვდა მის მელოტ თავს სტალინის ჩიბუხი.

**— როგორ აღწერა ეს ხრუშჩოვმა?**

— საბჭოთა ჯარების მიერ კიევის დატოვების შემდეგ, ხრუშჩოვი ჩაფრინდა მოსკოვში და სტალინთან გამოცხადდა. **„სტალინი ცივად შემხვდა, — ყვებოდა ხრუშჩოვი, — და მკითხა: სად არიან უკრაინის სხვა ხელმძღვანელი მუშაკებიო. მე ავუხსენი, რომ ბევრი დარჩა იატაკქვეშეთში, დანარჩენები კი, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, იღებენ მონაწილეობას თავდაცვის ღონისძიებებში-მეთქი. სტალინი დიდხანს დადიოდა ჩაფიქრებული კაბინეტში და მერე თქვა: კიევი ჩააბარე გერმანელებს, თავად კი მოსკოვში გაქუსლე. სამჯერ იყავი წყეულიო და ჩიბუხი თავში ჩამარტყა“.**

და, აი, ასეთ ადამიანს, რომელმაც მალენკოვის, მოლოტოვისა და კაგანოვიჩის მდუმარე ხელშეწყობით, სტალინის სიკვდილისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ, ძალაუფლება ხელთ იგდო, მოჯამაგირედ ეახლა გიორგი ჟუკოვი! რატომ? გიორგი კონსტანტინეს ძეს ძალიან უნდოდა, გამხდარიყო თავდაცვის მინისტრი!

**— ბატონო ლევან, გიორგი ჟუკოვზე ბევრი რამაა დაწერილი, კარგიც და ცუდიც. თქვენი აზრით, რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს ადამიანი?**

— აი, უკვე, რამდენიმე წელიწადია, რაც მოსკოვის ცენტრში დგას მარშალ ჟუკოვის, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „გამარჯვების მარშლის“ ძეგლი. მოჭრილია და „დარიგებულია“ მისი სახელობის ორდენი და მედალიც. ამასთან დაკავშირებით, მკითხველს შევახსენებ, რომ 1940 წლის ივნისიდან ჟუკოვი მეთაურობდა კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარებს, ხოლო 1941 წლის იანვარში დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ. მას და თავდაცვის სახალხო კომისარს — ტიმოშენკოს უშუალოდ ევალებოდათ წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის უზრუნველყოფა! მაგრამ ისეთი ბრძოლისუნარიანობა აღმოაჩნდა ჯარს, რომ ომის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში ასიათასობით წითელარმიელი ტყვედ ჩავარდა! რა თქმა უნდა, იყო ღალატიც, როდესაც ჯარების ნაწილები უბრძოლველად დებდნენ იარაღს!.. ასე რომ, სტალინი იძულებული გახდა, ეტვირთა უმაღლესი მთავარსარდლობა.

**— რუსულ პრესაში ომის თემაზე გამოცემულ წიგნებში არცთუ ისე იშვიათად, ჩნდება ეპიზოდები, სადაც ჟუკოვი სტალინს ხან ხმას ჩააკმედინებს, ხან ედავება, ხანაც ეუხეშება. პირადად ჩემში ეს ღიმილს იწვევს, მაგრამ თქვენ თუ გჯერათ ასეთი „ჟუკოვისა“?**

— ჟუკოვის ფიგურის უზომოდ გაზვიადებაში შესამჩნევი წვლილი შეიტანა რეჟისორმა იური ოზეროვმა. გახსოვთ, ალბათ, მისი ფილმები: „განთავისუფლება“, „თავისუფლების ჯარისკაცები“ და ა. შ. ამ „დიად“ საქმეს თავი „შესწირეს“, აგრეთვე, მწერალმა ალექსანდრე ჩაკოვსკიმ და სხვებმაც. რა თქმა უნდა, ეს იყო პარტნომენკლატურის იდეოლოგიური დაკვეთა, იდეოლოგიას კი მაგ დროს ხელმძღვანელობდა კიდევ ერთი ქართველთმოძულე — ავადხსენებული სუსლოვი, რომელიც, თავის დროზე, ქვემძრომობდა სტალინის წინაშე... არც ჟუკოვისთვის იყო ლაქიური მანერები უცხო ხილი. ამასთან დაკავშირებით, აი, რას იხსენებს გენერალ-მაიორი ვარლამ ქაქუჩაია, ადამიანი, რომელიც იცავდა სტალინს თეირანისა და იალტის კონფერენციებზე: „ჟუკოვი ომის შემდეგ დასახლდა დიდ მშვენიერ ცალკე სახლში ბაბელსბერგში — პოტსდამის სააგარაკო რაიონში, ბერლინის მახლობლად. გარკვეული დროის შემდეგ მესტუმრა გენერალ-პოლკოვნიკი სეროვი და შემომთავაზა, მივსულიყავით ჟუკოვთან. დამპირდა: ნახავ ისეთ რამეს, სიზმარშიც რომ არ დაგესიზმრებაო. როდესაც ქვედა სართულში შევედით, ჩვენ აღმოვჩნდით ჟუკოვის გვერდით. გიორგი კონსტანტინეს ძე პოზირებდა ორი გერმანელი მოქანდაკის წინაშე, რომლებიც მონდომებით კვეთდნენ გრანიტიდან მის ბიუსტს. ჟუკოვს ეუხერხულა ორი დაუპატიჟებელი სტუმრის ვიზიტი და იძულებული გახდა, შესვენება გამოეცხადებინა. გერმანელები გავიდნენ გვერდით ოთახში. მასპინძელმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, როცა გაისმა სამთავრობო ტელეფონის ზარი. ჟუკოვმა სწრაფად აიღო ყურმილი და გაიჭიმა, როგორც რიგითი ჯარისკაცი გენერლის წინაშე: „გისმენთ, ამხანაგო სტალინ“. სეროვი და მე ძალიან ახლოს ვიდექით ჟუკოვთან და კარგად გვესმოდა სტალინის სიტყვები: „სადამდე დაეშვით, ამხანაგო ჟუკოვ! თქვენ პოზირებთ ფაშისტების მოქანდაკეების წინაშე, რომლებიც უახლოეს წარსულში კვეთდნენ ნაცისტების ფელდმარშლების და გენერლების ბიუსტებს, ახლა კი ისინი თქვენ შეცვალეთ... რატომ დაკარგეთ თავმდაბლობის გრძნობა და პასუხისმგებლობა საბჭოთა ხალხის წინაშე, რომელიც თავის ნახევრადმშიერ ბავშვებს ზღუდავს, გიგზავნით თქვენ ყოველგვარ სურსათ-სანოვაგეს საბჭოთა არმიის და გერმანელი ხალხის რჩენისთვის!.. ახლავე შეწყვიტეთ ეს სისულელე და შეასრულეთ თქვენი პირდაპირი მოვალეობები!..“ სტალინთან საუბრის დროს ჟუკოვი მხოლოდ იმეორებდა: „შევცდი, ამხანაგო სტალინ“, „დამნაშავე ვარ, ამხანაგო სტალინ“, „ყველაფერი გავიგე, ამხანაგო სტალინ“, „ეს აღარ განმეორდება, ამხანაგო სტალინ“ და ა.შ.“

მართლაც, ბევრი რამ ჰქონდა ჟუკოვს სასწავლი სტალინისგან, მათ შორის, თავმდაბლობაც. მარშან რუსულ ტელეარხზე რუბრიკით: „დარტყმა ხელისუფლებით“ უჩვენეს გადაცემა — „სტალინი ჟუკოვის წინააღმდეგ. სატროფეო საქმე“. მკითხველს შევახსენებ, რომ რიგით ჯარისკაცს აძლევდნენ უფლებას, გერმანიიდან შინ გაეგზავნა ამანათი, რომლის წონა შეზღუდული იყო 8 კილოგრამამდე. ჟუკოვმა კი მოახერხა და გერმანელი ხალხის კუთვნილი სიმდიდრე ვაგონებით გაზიდა. 1946 წელს საგამოძიებო ჯგუფმა შეადგინა ჟუკოვის მიერ ნაძარცვის გრძელი სია. რა არ იყო იქ: ანტიკვარული ავეჯი, სამუზეუმო გობელენები და ფერწერა, ფაიფური, ქურქები, ხალიჩები, საათები, ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობები და ა. შ. ეს სიმდიდრე დაფასოებული იყო არა მარტო ჟუკოვის სახლში და აგარაკზე, არამედ მისი მოსამსახურე ქალის სახლშიც. მარშლის „ნადავლს“ ინახავდა, აგრეთვე, ცნობილი მომღერალი ნინა რუსლანოვა, გენერალ-ლეიტენანტი ტელეგინი და სხვები. ამ საქმეზე დააპატიმრეს 140 გენერალი!

...როდესაც გარდაიცვალა სტალინი, დიდხანს ეძებდნენ მიცვალებულისთვის შესაფერის ფეხსაცმელს, მაგრამ გაცვეთილი ჩექმების მეტი ვერაფერი იპოვეს. ბელადის პირადი ქონების აღწერამ მხოლოდ ფურცლის ნახევარი გვერდი შეავსო. სტალინის საძინებელში ნახეს შემნახველი სალაროს წიგნაკი, რომელშიც ირიცხებოდა 900 მანეთი (დღევანდელი კურსით — 90 ლარი). აი, სტალინის მთელი სიმდიდრე! კაცისა, რომლის სამხედრო გენიამ გაანადგურა უბოროტესი ძალა — ფაშიზმი, რომელიც აკონტროლებდა დედამიწის მოსახლეობის 70% და რომელმაც დატოვა ზესახელმწიფო ყველაზე დიდი ოქროს მარაგით!

ბრეჟნევის პერიოდში ჟუკოვმა გამოსცა თავისი მემუარები — „მოგონებები და ფიქრები“, რომელსაც 1968 წელს არმიის გენერალმა შტემენკომ უკიდურესად ტენდენციური უწოდა...

**— არადა, ბატონო ლევან, ცნობილია, რომ ჟუკოვმა სთხოვა შტემენკოს, ყოფილიყო ამ წიგნის რედაქტორი.**

— ვიცი! და კატეგორიული უარი მიიღო, რადგან, შტემენკომ აღნიშნა, რომ მემუარების ავტორმა — ჟუკოვმა მიიწერა გამარჯვებები იმ საბრძოლო ოპერაციებში, რომლებშიც საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა! სამაგიეროდ, შტემენკომ ძალზე შეაქო მარშალ როკოსოვსკის მემუარები — „ჯარისკაცული ვალი“. მან კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს „ბრწყინვალე მხედართმთავარი“ უწოდა, რომელსაც, ჟუკოვისგან განსხვავებით, თითოეული ჯარისკაცის სიცოცხლე ადარდებდა! სხვათა შორის, **თავის მარშლებიდან სტალინი განსაკუთრებით გამოყოფდა როკოსოვსკის, რომელსაც ხან „ჩემს ბაგრატიონს“ და ხან „წითელ სუვოროვს“ უწოდებდა. კონსტანტინე როკოსოვსკი ჭეშმარიტად იყო „გამარჯვების მარშალი“, ხოლო იოსებ სტალინი — „გამარჯვების გენერალისიმუსი“. მარშალი როკოსოვსკი, როგორც პიროვნებაც, აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე! როდესაც ხრუშჩოვმა მას სთხოვა სტალინის გაკრიტიკება, კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ პირდაპირ ახალა ნიკიტას: „არა, ამხანაგო ხრუშჩოვ, ჩემთვის სტალინი წმინდანია!“**

აქვე მინდა, ვთქვა, რომ დღემდე არაა ჯეროვნად შეფასებული გრანდიოზული ბრძოლა კავკასიისთვის. ვიწრო წრეში ჰიტლერი დაჟინებით იმეორებდა: **„კავკასიის გარეშე, ბაქოს ნავთობის გარეშე ჩვენ ომს ვერ მოვიგებთ!“.** 1942 წლის ზაფხულში შეიქმნა კრიტიკული ვითარება. თბილისსა და ბაქოში იყო პანიკა. თურქეთის მილიონიანი ჯარი მოუთმენლად ელოდა გერმანელების შეჭრას ამიერკავკასიაში. არაა ცნობილი, როგორ მოიქცეოდა იაპონია, თუ საბჭოთა კავშირი ნავთობის გარეშე დარჩებოდა. და, აი, ამ გადამწყვეტ დროს, ერთადერთს, ვისაც შეეძლო კავკასიაში ვითარების გამოსწორება, გახლდათ ბერია! 1942 წლის 17 აგვისტოს, ღამის 12 საათზე სტალინმა გამოიძახა ლავრენტი პავლეს ძე: **„კავკასიაში მდგომარეობა ძალზე სერიოზულია, თითქმის კატასტროფული... ომის ბედი კავკასიაში წყდება. დილის 5 საათზე გაემგზავრებით თბილისში ჩემი პირადი თვითმფრინავით და ჩემი მფრინავით...“**

ბერიამ თითქმის შეუძლებელი შეძლო! მან გადაარჩინა კავკასია და, როგორ ხმამაღლაც უნდა ჟღერდეს, ომის ბედი გადაწყვიტა!

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. აღარაა ის ქვეყანა, რომელსაც სიცოცხლე შესწირა ორმა დიდმა ქართველმა — იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ... მაგრამ ვიმედოვნოთ, რომ 2015 წლის 9 მაისს, დიდი გამარჯვების 70 წლისთავზე, სამართლიანობა იზეიმებს და ცოცხლად დარჩენილ ვეტერანებს გორში, თავის ადგილას დახვდება სტალინის დიადი ძეგლი, რომელიც ხრუშჩოვისა და გებელსის სულიერი მემკვიდრის, აშშ-ის მარიონეტის, პირსისხლიანი სააკაშვილის ბრძანებით, 2010 წლის 25 ივნისის ღამეს ქურდულად გაიტაცეს... მაგ ცოდვიან დღეს მე გამახსენდა ის დრო, როდესაც ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი აღნიშნავდა მშრომელთა ბელადის, დიდი სტალინის დაბადებიდან 100 წლისთავს. ზღვა ხალხი შეიკრიბა. მთელი ტრასა გორამდე მანქანებით იყო გადაჭედილი. ვიღაცა ძველ „ზაპოროჟეცზე“ წინ წაწევას ცდილობდა. მილიცია მას არ უშვებდა. უცებ „ზაპოროჟეცის“ კარი გაიღო და მანქანიდან მიწაზე ძლივს ჩამოვიდა უფეხო ინვალიდი, რომლის მკერდი ორდენებით იყო დამშვენებული. გაბრაზებულმა წამოიძახა: ომის დროს მე ტანკის ქვეშ ვვარდებოდი სტალინის სახელით, ახლა კი მის ძეგლამდე ხოხვით მივალო!..

იყო ასეთიც!..

**ესაუბრა გიორგი კორძაძე**

# ასე ვიცავდით სტალინგრადს

**1942 წლის შემოდგომაზე ფრონტიდან ზურგში დანაკარგების შესავსებად გადასული 62-ე არმია კუნძულ სახალინიდან, ნახოდკიდან და ვლადივოსტოკიდან გადმოსროლილი სამხედრო ნაწილებით დაკომპლექტდა. ჩვენი, მესაზღვრეთა ნაწილი, 62-ე არმიის 61-ე პოლკის შჩორსის სახელობის 45-ე დივიზიაში ჩარიცხეს. სწორედ შჩორსის მეუღლემ და მისმა ქალიშვილმა გამოგვაცილეს კუიბიშევიდან ფრონტზე გამგზავრებისას და გამარჯვება გვისურვეს...**

1942 წლის ნოემბერში სტალინგრადის მისადგომებთან დავბანაკდით. მდინარე ვოლგა გაყინული იყო, სტალინგრადი — ცეცხლის ალში გახვეული. მოგვცეს სურსათი, საბრძოლო იარაღი, ჩაგვსვეს კატერებში და მიმართულება სტალინგრადისკენ ავიღეთ. იმხანად რუსულად ძლივს ვლაპარაკობდი... დაბინდდა, ფაშისტების თვითმფრინავები ჩვენს თავზე დაფრინავდნენ და ბომბებს ყრიდნენ, საარტილერიო ზალპებისგან ცას თითქოს ცეცხლი ეკიდა. მდინარეზე გადასვლისას ჯარისკაცებით დატვირთული კატერი რამდენიმეჯერ ამოყირავდა და ჯარისკაცები წყალში ჩავცვივდით. ოთხი-ხუთი საათის შემდეგ, როგორც იქნა, ვოლგის მარცხენა ნაპირს მივაღწიეთ. ყველაფერი იწვოდა, ტერიტორია ცეცხლის ალში იყო გახვეული. გაყინულ-გათოშილებმა ვინ სად შევაფარეთ თავი და ვინ — სად. არ ვიცოდით, ჩვენი ნაწილები რომელ პოზიციაზე იყვნენ განლაგებულნი... **როცა გათენდა, რაც დავინახე, იმის აღწერა შეუძლებელია — ჩემ ირგვლივ ტერიტორია ისე იყო მოფენილი სამხედროებისა და მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვების, გვამებით, რომ ფეხის დადგმა შეუძლებელი იყო.**

მოვხვდი მესამე ბატალიონში, რომელსაც მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი შარიკოვი. მე, სერჟანტს, მომცეს სნაიპერის შაშხანა და ორი თვის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლით ვიცავდი სტალინგრადს გერმანელი დამპყრობელებისგან. ღამღამობით შევიპარებოდი ფრონტისპირა ზონაში და ვანადგურებდი მტარვალებს. იმხანად პრესაში ჩემზე ორი წერილი გამოაქვეყნეს, როგორც კარგ სნაიპერზე — რამდენიმე ათეული მტრის სიშორიდან ფაშისტი სნაიპერები მწყობიდან გამოვიყვანე. გაზეთი წინა ხაზზე მომიტანეს, მაგრამ იქ რა ეწერა, არ წამიკითხავს... გავიდა თითქმის ორი თვე და ვოლგის ნაპირიდან ორი კილომეტრითაც კი ვერ წავიწიეთ წინ. **მე და ჩემი ნაწილი სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე ვიბრძოდით... დადგა 1943 წლის იანვარი. მტერი ისე ახლოს იყო, რომ მათი ლაპარაკიც კი მესმოდა. 14 იანვარს, ალიონზე, ჩემს სათვალთვალო ადგილას ხოხვით მივძვრებოდი, როდესაც გერმანელი ფაშისტი შევნიშნე, მანაც დამინახა... შაშხანიდან ვესროლე, გერმანელმა კი ხელყუმბარა მტყორცნა... ფაშისტი ადგილზევე გათავდა, მე კი ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მედპუნქტამდე გაჭირვებით მივაღწიე.** აღმომიჩინეს დახმარება, მაგრამ ჰოსპიტალში გადაყვანა გახდა საჭირო. დაჭრილი საღამომდე ველოდი, როდის წამიყვადნენ ჰოსპიტალში. როცა დაბინდდა, დამაკრეს ციგაზე, ერთმა მოხალისე გოგონამ, ტანიას ეძახდნენ, ციგის თოკს ხელი მოჰკიდა და ვოლგის ნაპირისკენ წამიყვანა. ამ გოგონამ საშინელ ყინვაში, სროლებში, თვითმფრინავების გრუხუნში, დანგრეულ და ცეცხლმოკიდებულ ადგილებში მთელი ღამე თითქმის 7-8 კილომეტრი მატარა და მიმიყვანა იქ, სადაც კატერს უნდა გადავეყვანე მეორე ნაპირზე. იქ უამრავი დაჭრილი იყო, მძიმედ დაჭრილები ვეღარ უძლებდნენ ტკივილს და იხოცებოდნენ... კატერმა გადაგვიყვანა მეორე მხარეს, სადაც დაგვხვდა სატვირთო მანქანა და როგორც იქნა, მიმიყვანეს საველე ჰოსპიტალში. გამიკეთეს ოპერაცია და რკინის ნამსხვრევები გამაყუჩებლის გარეშე ამოიღეს... ამის შემდეგ კიდევ ბევრი ბრძოლა და გაჭირვება გადავიტანე. ორჯერ დავიჭერი.

**გავათავისუფლეთ ბელარუსი, უკრაინა, პოლონეთი, რუმინეთი, ბესარაბია და 1945 წლის 9 მაისს ომი დავასრულე ბერლინში მტრის სრული განადგურებით. 1947 წელს კი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი საქართველოში დავბრუნდი.**

**ტარასი იჩქიტიძე,**
**ნაძალადევის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე**

# პაატა ბურჭულაძე — ერთადერთი და განუმეორებელი

**საქართველოს სახალხო არტისტი, გერმანიისა და ქალაქ ათენის საპატიო არტისტი, არაერთი საერთაშორისო პრემიისა და ჯილდოს მფლობელი, მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრების სოლისტი, ლეგენდარული ადამიანი, რომელმაც მრავალ ოჯახს თავშესაფარი მისცა, პაატა ბურჭულაძე 60 წლის გახდა. „შთამბეჭდავი და ფანტასტიკური" — ასე შეაფასეს მსოფლიოში აღიარებული ქართველი ბანის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი მისმა თაყვანისმცემლებმა. ღონისძიება თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა, რომელშიც ქართველი და უცხოელი საოპერო ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში ფრანგი კინოვარსკვლავი ალენ დელონი ჩამოვიდა.**

პაატა ბურჭულაძე დაიბადა 1955 წლის 12 თებერვალს თბილისში. 1978 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი (დ. ხელაშვილის კლასი), პარალელურად — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1978-1980 წლებში სტაჟირება გაიარა იტალიაში, მილანის თეატრ „ლა სკალაში", 1981 წლიდან თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი იყო. ამავე წელს მოიპოვა პირველი ჯილდო მუსიკალურ კონკურსში Voci Verdiane, (ბუსეტო, იტალია). 1982 ოქროს მედლით გაიმარჯვა მოსკოვის ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსში. ამავე წელს ჩაიკოვსკისა და „ვერდის ხმების" ლაურეატი ლონდონის სამეფო თეატრ „კოვენტ გარდენის" სცენაზე პირველად გამოჩნდა (ვერდის ოპერაში „აიდა") ლეგენდარული ლუჩანო პავაროტისა და კატია რიჩარელის გვერდით. ლუჩანოს გამონათქვამი მაშინ დაიბეჭდა გაზეთში „Совершенно секретно" (1992 წელი) — **„ეჭვი არ მეპარება, რომ ის შევა საოპერო ხელოვნების ისტორიაში, როგორც ყველა დროის გამოჩენილი მომღერალი".**

1984 წლიდან კი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის კონსერვატორიაში. 1987 წელს გახდა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე.

1985 გაიმარჯვა ლუჩანო პავაროტის კონკურსში (ფილადელფია, აშშ). 1985 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრიაში. 1986 წელს ვენაში შეიქმნა ბურჭულაძის სახელობის კლუბი, რომელიც აერთიანებს მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

ამ მნიშვნელოვან კონკურსებში წარმატებების შემდეგ შეძლო ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სცენებზე წარმატებული გზის გაგრძელება.

1986წელს მიენიჭა მარია კალასის სახელობის კონკურსის პირველი პრემია.

1986 წლის 17 მარტს ქალაქ ვენის მერიის მიერ ოფიციალურად დამტკიცდა პაატა ბურჭულაძის თაყვანისმცემელთა ფანკლუბი. ფანკლუბის შექმნის იდეა ეკუთვნოდა მაყურებელთა ჯგუფს, რომელთაც გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს ვერდის ოპერა „ლუიზა მილერის" პრემიერის შემდეგ.

1987 წელს მიენიჭა ფილადელფიის საპატიო მოქალაქის წოდება და გადაეცა ქალაქის სიმბოლური გასაღები „თავისუფლების ზარი".

1987 წელსვე მსოფლიოში ცნობილმა დირიჟორმა ჰერბერტ ფონ კარაიანმა ბურჭულაძე მიიწვია ზალცბურგში მოცარტის „რეკვიემში" მონაწილეობის მისაღებად. რეკვიემის შემდეგ კარაიანმა აღნიშნა: **„პაატა ბურჭულაძე მეორე შალიაპინია, როგორი ძალა და უბადლო ტალანტია, ვგონებ, დღევანდელ მსოფლიოში არ მოიძებნება მომღერალი, რომელიც მას შეედრება, დღეს ის ერთადერთია და განუმეორებელი".**

1998 წლის 12 თებერვალს რუსეთის პიროვნების პალატამ, რუსეთის პატრიარქის, ალექსი II ლოცვა-კურთხევით, რუსული ოპერებისა და ნანარმოებების საუკეთესო შესრულებისთვის **პაატა ბურჭულაძეს თავადის წოდება მიანიჭა,** ცერემონიალი გაიმართა ვენის მართლმადიდებლურ ეკლესიაში; 2003 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი, 2001 წელს — თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

მომღერალი, რომელიც შესულია თანამედროვე საოპერო ხელოვნების თითქმის ყველა ენციკ-

ლოპედიურ გამოცემაში, ადამიანის უპირველეს მოვალეობად ქველმოქმედებას მიიჩნევს.

2004 წელს პაატა ბურჭულაძის ინიციატივით საქართველოში დაარსდა უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი „იავნანა“ მოწოდებით „ერთად გადავარჩინოთ მომავალი“. დაარსების პირველივე დღიდან „იავნანა“ ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის საიმედო თავშესაფრი გახდა. ფონდის ეგიდით არაერთი საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. პაატა ბურჭულაძის წინადადებას საქველმოქმედო გალაკონცერტში მონაწილეობის შესახებ მსოფლიო საოპერო ვარსკვლავები პირველი შეთავაზებისთანავე თანხმდებიან. მიღებული შემოსავალი სრულად ხმარდება მზრუნველობამოკლებულ პატარებს.

**2006 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, პაატა ბურჭულაძეს გაწეული ქველმოქმედებისთვის გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება მიანიჭა.**

2010 წლის 3 დეკემბერს მას მიენიჭა გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩის წოდება.

პაატა ბურჭულაძეს შესრულებული აქვს შემდეგი პარტიები: ტარიელი (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), მაკარი (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), მარკიზი (გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“), მეფისტოფელი (ა. ბოიტოს „მეფისტოფელი“), მეფისტოფელი (შ. გუნოს „ფაუსტი“), მექე რენე (ჩაიკოვსკის „იოლანტა“), ბორისი, დოსიფეი (შ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“, „ხოვანშჩინა“), ლეპორელო (მოცარტის „დონ ჟუანი“), დონ ბაზილიო (ჯ. როსინის „სეველიელი დალაქი“); შესრულებული აქვს ბევრი როლი ჯ. ვერდის ოპერებში; ასრულებს მუსორგსკის, რახმანოვის და სხვათა რომანსებს.

მოღვაწეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თანამშრომლობს მსოფლიოს უდიდეს დირიჟორებთან (ჰერბერტ ფონ კარაიანი, კ. აბადო, ლ. მააზელი, ზ. გეტა, რ. მუტი, კ.მ. ჯულენი).

**პაატა ბურჭულაძე მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, როგორიცაა საერთაშორისო კონკურსი „ვერდის ხმები“ (1981, იტალია, II პრემია), ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი (1982, მოსკოვი, I პრემია). ფილადელფიის ლუჩიანო პავაროტის საერთაშორისო კონკურსი (1985), მარია კალასის სახელობის საერთაშორისო კონკურსი (1986, მაინის ფრანკფურტი, I პრემია). 1991 წელს მიენიჭა ზ. ფალიაშვილის პრემია, 1992 წელს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. არის, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო (1982) და ი. გოგებაშვილის სახელობის (1991) პრემიების ლაურეატი.**

# სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი მოსავალი გარანტირებულია

**ჩვენმა ჟურნალმა („ისტორიული მემკვიდრეობა“ 2013 წ. №8) გამოაქვეყნა ბატონ არმაზ სანებლიძის ინტერვიუ უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ევგენი უშვერიძესთან. მასში საუბარი იყო მეცნიერის მიერ დამუშავებულ, ხორბლისა და სოკოს ტანდემში მოყვანის ახალ უნიკალურ მეთოდზე. ხორბლისა და სოკოს შეწყვილების იდეა, მეცნიერის აზრით, იმიტომ შეირჩა, რომ ეს ორი კულტურა გამოიმუშავებს ერთმანეთისთვის სასიცოცხლო ჟანგბადსა და ნახშირორჟანგს. გარდა ამისა, გენიალური მიგნებაა, აგრეთვე, ხორბლის ბაზალტის ძაფით მოქსოვილ მატერიაზე თესვა, რომელი მატერიიდანაც ხორბალი იღებს მისთვის საჭირო საკვებ ნივთიერებათა უმრავლესობას. ერთი სიტყვით, პროექტში იმდენი სიახლეა და გამოგონებაა თავმოყრილი, ისეთ შედეგებზეა საუბარი, კაცს თავი ზღაპარში გგონია.**

ევგენი უშვერიძე

ბატონ ე. უშვერიძეს თავისი მრავალწლიანი კვლევებით მიგნებული აქვს ხორბლის კვების ორიგინალური ტექნოლოგიისთვის. იგი ორგანულ საკვებს თავიდანვე აწვდის ნათესს მიწისა და სოკოს ნარჩენების მისებური თანაფარდობის ნარევით. არაორგანული საკვები კი მის მიერ შექმნილ მატერიაშია ჩაქსოვილი, ხოლო აზოტის მიწოდება მცენარეზე, პირდაპირ ჰაერიდან ხდება. აზოტფიქსაცია, რომელიც დღემდე პარკოსანი კულტურების პრივილეგია იყო, ბატონი ე. უშვერიძის მიგნების შემდეგ ხორბალმაც შეძლო, არაა გამორიცხული, რომ ეს სხვა კულტურებმაც შეძლონ.

**აკადემიკოს ე. უშვერიძის გამოგონებით, 9-სართულიან შენობაში, ერთმანეთზე დადგმულ 4-სართულიან კომპლექსში წელიწადში საჰექტარო მოსავალი 3500 ტონას გადააჭარბებს, თუ სართულების დამატებით საჰექტარო მოსავლის გაზრდას შევეცდებით, ყოველი 2 სართულის დამატებით, ჰექტარ მოდულზე მოსავალი 900 ტონით გაიზრდება.** იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ე. უშვერიძე გამოიყენებს პროფესორ რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილ ბიოენერგოაქტივატორს, მაშინ:

1. მინიმუმ ორჯერ შემცირდება თესვის ნორმა; 2. ე. უშვერიძის მეთოდით, ხორბლის ძირითადი ღეროს გადაჭრით მიღებულ ბარტყობას დაემატება ბიორაგით გაზრდილი ბარტყობა, ეს კი თესვის ნორმის შემცირებით გაზრდილი მოსავალია (ესეც კიდევ ერთი სიახლე).

და კიდევ ერთი სარგებელი, რომლის შესახებაც ბატონ ევგენი უშვერიძეს არსად უხსენებია: **თუ მეწველ ძროხას რაციონში არანაკლებ 200 გრამ სოკოს ფქვილს საჭმელთან ერთად მივაწვდით, მისი წველადობა საგრძნობლად მოიმატებს და, რაც მთავარია, რძის ცხიმიანობა 20%-ით გაიზრდება და რძე ისეთი სეპტიკური იქნება, რომ კიბოს დამარცხების ერთ-ერთი უებარი საშუალება გახდება.**

პირველი კითხვა, რომელიც პროექტის გაცნობის შემდეგ გებადება, ისაა, რომ რამდენადაა მზად ჩვენი ხელისუფლება და მსოფლიო, სწორად გაერკვეს ასეთი პროექტების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაში და ჩააყენოს ის ხალხის სამსახურში. მე აქ ტყუილად არ მიხსენებია პროექტის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. დღეს, როცა მსოფლიოში სახნავ-სათესი სავარგულები კატასტროფულად მცირდება, ბატონი ევგენის გამოგონებას შეუძლია ყოველი კვადრატული მეტრი მიწის მქკ გააათმაგოს, პროექტს ერთნაირი წარმატებით შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, აგრეთვე, მოგვცეს არამარტო ხორბლისა და სოკოს უხვი მოსავალი, არამედ ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის და, რაც მთავარია, პროექტი საშუალებას იძლევა მოვიწიოთ ეკოლოგიურად სუფთა მოსავალი.

ბატონ არმაზ სანებლიძის დახმარებით, მე შევხვდი ბატონ **ე. უშვერიძეს. აღმოჩნდა, რომ მისი, როგორც მეცნიერის, ინტე-**

რვასართულიანი კომპლექსის გეგმა

**რესეები მხოლოდ ხორგლისა და სოკოს მოყვანის ახალი მეთოდის ძიებით არ შემოიფარგლება. იგი მაღალ მეცნიერულ დონეზე ფლობს ბაზალტის ქვასთან დაკავშირებულ მრავალ სიახლეს, რომელთა შორის მისი გამოგონებებიცაა.** ბაზალტი მომავლის ნედლეულია, მისგან ბევრ სხვა პროდუქციასთან ერთად ამზადებენ არმატურას და სხვადასხვა დიამეტრის მილებს, რომელთა სამსახურის ვადა, პლასტმასისა და მეტალის მილებისგან განსხვავებით, საუკუნეებით განისაზღვრება, ამიტომ ბაზალტის ნაკეთობები მსოფლიო ბაზარზე ძალიან ძვირად ფასობს. სწორედ ბაზალტის ნაკეთობებია ის პროდუქცია, რომლის რეალიზება მსოფლიო ბაზარზე არ გაჭირდება მისი დეფიციტის გამო. ქვეყანას, რომელსაც ასობით მილიონი კუბური მეტრი ბაზალტის ქვის მარაგი აქვს და ჰყავს ამ საქმის ისეთი სპეციალისტი, როგორიც ბატონი ევგენი უშვერიძეა, ვალებში არ უნდა იხრჩობოდეს. ამ საქმეში დღეს ჩადებული ორი ათეული მილიონი, რომელიც მავანთა დაუმსახურებელ პრემირებას ხმარდება, ხვალ მილიარდებს შემოიტანს. აი, პროექტი და საქმე, რომლის განხორციელებითაც უნდა იყოს დაკავებული მთავრობა.

ბატონ აკადემიკოსს ვკითხე: **ნუთუ არ გიცდიათ, დაგეინტერესებინათ თქვენი ამ უნიკალური პროექტით ინვესტორი? ან რატომ არ მიმართეთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მთავრობას, პარლამენტს, მეცნიერებათა აკადემიას ან, სულაც, პარტიებს? ამდენს რომ ყვირიან: ხალხის დასაქმება გვინდაო. თქვენი მიღწევა, იმის გარდა, რომ ბევრ სიკეთეს მოიტანს, სოფლის მეურნეობის კულტურებზე ხომ მოსპობს დეფიციტს, დაასაქმებს ხალხს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში?**

გულნატკენმა გაიღიმა და მითხრა: რომ მოვყვე, ვისთან ვიყავი ან ვის წერილი გავუგზავნე ან ტელეფონზე ველაპარაკე, გაგიჟდებით. დავრწმუნდი, რომ საქართველო არავის ყვარებია, მითუმეტეს — ქართველი ხალხი.

ხელისუფლების და პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის ჩივილი თითქოს ქვეყანაში კრეატიული პროექტების დიდი დეფიციტია, უაზრო თავის მართლებაა ხალხის წინაშე, დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გამო. ბატონი ე. უშვერიძის გარდა, ქვეყანაში ასობით მეცნიერ-გამომგონებელია, რომელთა კვლევის შედეგები და პროექტებად დაწერილი გამოგონებები ხშირად ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. რაც შეეხება ჩივილს, თითქოს ქვეყანა კრეატიული პროექტების სიმცირეს განიცდის. მათ მართლაც არაფერი სმენიათ ასეთი პროექტების შესახებ, რადგან ეს პროექტები ჩვენ, ავტორებმა, ვერ მივიტანეთ მათ კაბინეტებამდე. ვერ მივიტანეთ იმიტომ, რომ ყველა ხელისუფალი და თანამდებობის პირი, არჩევის და თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, საკუთარ ამომრჩეველსა და საკუთარ ხალხს ემიჯნება. მათ არ აქვთ მიღების დღე, არ უყურებენ ტელევიზორს და არ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, არ გადიან ხალხში და, თუ გადიან, მათ ისე დარაჯობენ, ვერც გაესაუბრები და ვერც წერილს გადასცემ, განცხადებით მიმართვას კი საერთოდ არ აქვს აზრი; წერილს და განცხადებას არც ერთი ხელმძღვანელი პირი არ კითხულობს. წერილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის „ავტოგრაფით“ ხვდება ქვემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ადმინისტრაციის უფროსთან, ის კი რომელიმე „მეისრესთან“ გადაამისამართებს. ამ უკანასკნელის ამოცანა ის კი არაა, შეგხვდეს, საქმეში გაერკვეს და მოახსენოს თავის ზემდგომს, რომელიც საქმიანი წინადადებით შევა თავის ზემდგომთან და პროექტს მსვლელობას მისცემს, არამედ როგორმე ჩამოიწეროს წერილი, ამ მიზნით კი ისეთ პასუხს მოგწერს, მის მაგიერ შენ იწვები სირცხვილით.

ბატონებო, როცა საუბრობთ და თანაც ტელევიზორის ეკრანიდან, რომ კრეატიული პროექტების სიმცირეზე, მართალია, ამით თქვენი უსაქმურობის გამართლებას ფიქრობთ, მაგრამ რატომ გავიწყდებათ, რომ ამით შეურაცხყოფას აყენებთ ხელისგულზე სატარებ ბევრ მეცნიერ-გამომგონებელს, რომლებიც ბედის ანაბარა გყავთ მიტოვებული, მეცნიერებს, რომლებიც ხშირად მშიერი კუჭით ჩაჰკირკიტებენ ნახაზებს და ქმნიან ახალს, თქვენ კი მათი მოსმენაც არ გინდათ.

**ჟორა ბაბრიჭიძე,**
**სტუ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სამეცნიერო კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-მუშაკი**

# საქართველო — ჯვარცმა ქრისტესთვის

**საქართველოს წარსულს სარწმუნოებრივი კუთხით თუ შევხედავთ, მისი ისტორია თვალწინ სხვაგვარად გადაგვეშლება. წმიდა ვახტანგ დიდის, გორგასლის ანდერძში საოცარი სიტყვებია: „ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესთვის“. წმიდა მეფემ არ უანდერძა თავის ერს — იყავით ქრისტეს ერთგულნი, არც ის, რომ თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეს ნუ დაიშურებთ მისთვის, მან მაქსიმუმი მოსთხოვა თანამემამულეებს — ქრისტესთვის სიკვდილის ძიება.**

ეს უმაგალითო ფრაზა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ხელისუფალთა შორის წმიდა ვახტანგ დიდს გამორჩეულ ადგილს განუკუთვნებს. ეს არამარტო ანდერძია ერისადმი, არამედ თავისებური წინასწარმეტყველება საქართველოს მომავალზე. მოხმობილი სიტყვები საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან დაახლოებით საუკუნე-ნახევრის შემდეგ წარმოითქვა — ჩვენი ერის ქრისტიანული ცხოვრების გზის დასაწყისში, გზისა, რომელიც გოლგოთად იქცა.

თითქმის 14 საუკუნის შემდეგ მეორე წმიდანმა, წმიდა ილია მართალმა ამგვარად შეაფასა ქართველი ერის განვლილი გზა: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის“. ეს იყო პასუხი წინაპრის ანდერძზე — ხაზგასმა საქართველოს მისიაზე.

ქართველ წმიდანთა შორის არიან კოლაელი ბავშვებიცა და 80 წელს გადაცილებული კონსტატი კახიც, ხვარაზმელთაგან მომწყდარი თბილისელი მოქალაქეები და დავით გარეჯში აღდგომის ღამეს საპასექო ტარიგივით შეწირული ბერები. ქრისტესთვის თავდადებულნი იყვნენ უბრალო ქართველი გლეხები და სამეფო ოჯახის წევრები... უფლისა და მოყვასისათვის თავს სწირავენ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ქართველები, აზნაურნი თუ უაზნონი, ქართველი კაცები და ქართველი ქალები... თავდადება და თავგანწირვა თითქოს ესტაფეტასავით გადაეცემოდა ერთი ქართველიდან მეორეს.

ქართველი ერის ცხოვრება თითქოს ჯვარს განასახიერებს. ჯვრის ვერტიკალური ხაზი ღვთის სიყვარულის სიმბოლოა, ჰორიზონტალური კი — მოყვასის სიყვარულის...

საქართველოს ისტორიაში ღვთისათვის თავდადება მოყვასისათვის თავდადებას ენაცვლება. ჩვენი ერის ისტორია მუდმივი გამოსახვაა ჯვრისა. ქრისტესთვის დაღვრილი სისხლი თითქოს ჯვრის ორივე ძელს ადუღაბებს. ეს არის ჯვარცმა და, ამავე დროს, მოწმობა ჯვარზე.

წმიდა მიქაელ-გობრონს არაბებმა, რომლებიც მას სჯულის შეცვლას სთხოვდნენ, ხმალი შესაშინებლად დაჰკრეს კისერზე. ჭრილობიდან გადმოღვრილი სისხლით მოწამემ შუბლზე ჯვარი გამოისახა.

წმიდა გობრონის მიერ სისხლით გამოსახული ჯვარი ქართველი ერის ქრისტესთვის თავგანწირვის სიმბოლოა. საქართველო სისხლს ღვრის მაცხოვრისთვის და თავისი ცხოვრებით ამოწმებს ქრისტიანობას, რომლის სიმბოლო ჯვარია. **ჩვენი ერის ცხოვრება, თითქოსდა, მუდმივი სისხლიანი ჯვრის გამოსახვაა.**

ქართველი ერის ცხოვრება, სახარების განმარტება, ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებაა. ქართული ეგზეტიკური და ჰომილეტიკური მწერლობა შედარებით ღარიბია. თითქოსდა, წმიდა წერილის საგანგებო ორიგინალური ქართული განმარტებები, მჭევრმეტყველური ქადაგებანი საჭირო აღარც არის. **ქართლის ცხოვრება ცოცხალი, მეტყველი ხატია ქრისტიანობისა.** ეს არის ეგზეგეზა და ჰომილია საქმით, ცხოვრებით, ანუ მოწმობა იესო ქრისტეზე — მოწამეობა.

ქართულ ენაში ქრისტესთვის თავგანწირულ ადამიანს მოწამე ეწოდება. მოწამის დაღვრილი სისხლი უსიტყვო არგუმენტია რწმენისა. ქრისტეს პირველი მოწამეები მოციქულები არიან. შემდგომი დროის მოწამენი აგრძელებენ მოციქულებრივ ღვაწლს. ეს ღვაწლი გაგრძელდება მეორედ მოსვლამდე: **„...და იხილე დედაკაცი იგი დამთვრალი სისხლითა წმიდითა და სისხლითა მით მოწამეთა იესოსთაითა...“** *(გამ. 17,6).* მაგრამ **გოლგოთასაც აქვს დასასრული, მას მოსდევს აღდგომა.**

... ქართველმა ერმა, როგორც სიდონიამ კვართი, ისე ჩაიკრა გულში ქრისტეს სარწმუნოება და, როგორც სიდონიას ვერანაირმა ძალამ ვერ გამოართვა ხელიდან უდიდესი სიწმიდე, ასევე ვერანაირმა განსაცდელმა ვერ განაშორა ქართველობა ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

**თუკი ქართველ ერს მეორედ მოსვლამდე მტკიცედ ექნება გულში კვართივით ჩაკრული ჭეშმარიტი სარწმუნოება (რაც უეჭველად გვწამს), ემახსოვრება სახარებისეული სიბრძნე: „რომელმან დაითმინოს სრულად, იგი ცხონდეს“ და გამხნევდება უფლის სიტყვებით: „მხნე იყავ... მე შენ თანა ვარ“, მაშინ ლაზარე — საქართველო მეორედ მოსვლის ჟამს მოისმენს უფლის სხვა სიტყვებსაც, სიტყვებს, რომელთაც, დიდი ხანია, ელის თითოეული ქართველი: „ლაზარე, გამოვედ გარე!“ და მაცხოვარიც, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველების თანახმად, აღადგენს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, როგორც აღადგინა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე.**

ჟამი ახლოა — **„განმკითხველი წინაშე კართა დგას“** *(იაკობი 5,9).*

**ზურაბ ცხოვრებაძე,**
**გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №14 (321), 2005 წ.**

## მამა დავითი:

# რაც უფრო მეტად დაუახლოვდება იმ «ფასეულობებს» ჩვენი ქვეყანა, რომლებიც ევროპიდან და ამერიკიდან მოდის, მით მეტად დაშორდება ქრისტეს

**მოყვასისა და უფლის სიძულვილს ქართველს ვერ დააბრალებ, მაგრამ ფაქტია, რომ შიში დავკარგეთ უფლისაც და მოყვასის წყენინებით გამოწვეული ცოდვის საფასურისაც. ყველაფერი ამაო გახდა და ცოდვასაც ისე შევეჩვიეთ, აღსარებაზე მისულები მოძღვარს საკუთარი ცოდვის კურთხევასაც ვთხოვთ. როდის დაიწყო ქართველთა რწმენამ რყევა? როდის მოხდა გარდატეხა? როდის დავკარგეთ შიში უფლისა და ცოდვისა? — ამ კითხვებით სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარს, დეკანოზს, მამა დავითს (ლასურაშვილს) მივმართეთ, რომელმაც ინტერვიუს ბოლოს ასე გვანუგეშა, რომ ქართველებს იმდენი განსაცდელი გვაქვს, აუცილებლად ვცხონდებითო.**

**— წმინდა ვახტანგ გორგასლის ანდერძში წერია: „ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესთვის“. საუკუნეების შემდეგ სიკვდილის ძებნას ვინღა ჩივის, უფლისადმი შიში და მოკრძალებაც კი თითქმის აღარ შეგვრჩა. როდიდან დაიწყო ჩვენი გადაგვარება? რამ იმოქმედა უარყოფითად ადამიანების რწმენაზე?**

— ადამიანების რწმენის რყევა XX ან XXI საუკუნეში არ დაწყებულა. ერი, რომელიც პირდაპირ თეოკრატიულ მდგომარეობაში ცხოვრობდა (ებრაელებზეა საუბარი), არაერთხელ ჩავარდნილა ამ მდგომარეობაში, მათ ღმერთზე უარი ბევრჯერ თქვეს; ღმერთზე, რომლის არსებობასაც ყოველდღე ხედავდნენ და გრძნობდნენ, ისევე, როგორც ჩვენ.

შეგახსენებთ, მოსესდროინდელ ბიბლიურ ტექსტს. როდესაც მოსე ათი მცნების მისაღებად სინას მთაზე ავიდა, ხალხის მართვა აარონსა და ორს ჩააბარა. მოსეს შეაგვიანდა, ის 40 დღე ესაუბრებოდა უფალს. ხალხმა იფიქრა, მოსე დაიღუპაო, და აარონს ოქროს კერპის გაკეთება მოსთხოვა, ისეთის, როგორიც ეგვიპტელებს ჰქონდათ. აარონი თავდაპირველად უარობდა, მაგრამ შემდეგ ხალხს მაინც ჩამოუსხა ოქროს ხბო. ხალხმა კერპს შესაწირი შესწირა და ღრეობა დაიწყო. ამ დროს მთიდან მოსე ქვის ფიქლებით ხელში ბრუნდება, ფიქლებით უფლის ხელით დაწერილი ათი მცნება მოჰქონდა, მოსეს ისუნამე მოჰყვებოდა. ისუნამემ უთხრა მოსეს: — ბანაკში ბრძოლის ხმა მესმისო. მოსემ კი უპასუხა — ეს არ არის ბრძოლის ხმა, ეს ღვინის ხმააო. ებრაელმა ერმა 40 დღეც ვერ შეინახა რწმენა. გულდამწვარმა მოსემ ფიქლები ერთმანეთს შეანარცხა და დალეწა, თუმცა შემდეგ უფალმა თავისი ხელით დააწერინა მოსეს ათი მცნება. იმავეს ვიზამდით ჩვენც. ეს რწმენის დეფიციტია.

საქართველოში პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს და მაშინვე დაარსდა პირველი ქრისტიანული ეკლესია. გავიდა სამი საუკუნე და საქართველოში წმინდა ნინოს მოსვლა გახდა საჭირო მოსახლეობის მოსაქცევად. ნინოს შემოსვლის დროს მეფე, დიდებულები და ხალხი არმაზის კერპის სათაყვანებლად მიდიოდნენ. ძალიან დამწუხრდა ამის დამნახავი წმინდა ნინო და უფალს შეევედრა: „მოხედე წყალობით ამათ ზედა ნათესავთაო“ და ზუსტად იმ დროს ამოვარდა ქარი და არმაზის ქანდაკება დაიმსხვრა.

რწმენის შესუსტებაზევე მეტყველებს ისიც, რომ წმინდა ნინოს შემოსვლის შემდეგ ჩვენს მიწაზე კვლავ გახდა საჭირო ასურელი მამების შემოსვლა. არც ერთი

მათგანი ტომით ქართველი არ იყო. ასურელი მამები მარგალიტებივით მოეფინნენ მთელ საქართველოს.

შემდეგ იყო დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელიც ტომით ქართველი არ იყო. ის გახლდათ სპარსი, სასანიდთა შტოს წარმომადგენელი. ვახტანგ მეფემ გარდაცვალების წინ მთელი სამეფო კარი და კათალიკოსი იხმო. დამსწრეთ უთხრა: „სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებთ“, ანუ ბერძნების სიყვარულზე უარი არასოდეს თქვათო, ერთმოწრუნე ერს ზურგი არ შეაქციოთო. ვახტანგ მეფემ იქვე დასძინა: „ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესთვის“. მეფე ვახტანგმა დაადგინა კათალიკოსობაც.

დავით და კონსტანტინე არგვეთის მთავრების ისტორია გავიხსენოთ. როდესაც ეს ორი წმინდანი მურვან ყრუს წარუდგინეს, მურვანმა დაცინვა დაუწყო, — თქვენმა სარწმუნოებამ ვერ დაგიცვათო. პასუხს დავითი სცემდა, კონსტანტინე პატარა იყო. დავითმა მურვან ყრუს უთხრა: **„არა ღირსებისა შენისათვის იქმნა ძლევაი შენი ჩვენზედა, არამედ ცოდვათა ჩვენთათვის, რამეთუ გარდავხდეთ მცნებათა ღმრთისათა და იქ ფლობაი თქვენი ჩვენზედა, რათა გვწვრთვნეს ხელითა თქვენითა უსჯულოთა და უღმერთოითა“**, ანუ თვლიდნენ, **რომ თავისი ცოდვების გამო ჩავარდნენ მტრის ხელში.**

დავით აღმაშენებლის ცხოვრების ეპიზოდს გეტყვით: „ერთ დროს ქრისტეს მოყვარე ერი უსჯულოებამ და ცოდვამ შეიპყრო. ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლით შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა, ყოვლისა მიმართ უკეთურობისა“, ამიტომაც მოხდა ის, რომ აღდგომა დღეს საშინელმა მიწისძვრამ დაანგრია ყველაფერი. ეს მოხდა დავით აღმაშენებლის მამის — გიორგი მეფის დროს, ამას დავითის ისტორიკოსი აღწერს. ზოგიერთ დღევანდელ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ ის მიწისძვრა ტექტონიკური მოვლენა იყო (ამ სიტყვების ავტორი ლევან ბერძენიშვილია, მას ბევრად უარესი რამ აქვს ნათქვამი).

მაშინ ვინმეს ტექტონიკური მოვლენა რომ არ ჰგონებოდა, ერთი წლის განმავლობაში მიწა სულ იძვროდა, უდიდესი მთები ქვიშად იქცა.

გავიხსენებ წმინდა გიორგი მთაწმინდელისა და დავით აღმაშენებლის ტექსტს, წარმოთქმულს რუის-ურბნისის კრებაზე, სადაც დავით აღმაშენებელი, „ვითარცა მონა“, ისე იჯდა. **„რა ჟამსა ჩვენ ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არასადა უარგვიყოფიეს, არღა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავნი ჩვენნი“**, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რწმენის შესუსტება ადამიანებში ყოველთვის ირგძნობა და რამდენიმე მაგალითი უკვე გავიხსენეთ.

საუკუნეების მანძილზე სარწმუნოებრივი საკითხი ჩვენი ერისთვის გადასახედი არ ყოფილა, არასოდეს გამხდარა ჩვენი სარწმუნოება მსჯელობის საგანი, თუმცა ეს ბევრ ერში მოხდა. საქართველოში ხშირად სარწმუნოებრივი სისუსტე გამოიხატებოდა, მაგრამ იყვნენ ძლიერი ადამიანებიც. ჩვენი ქვეყანა მორწმუნე და ურწმუნო ადამიანების დეფიციტს არასოდეს განიცდიდა. ადამიანს ღმერთმა ენა მისცა არა იმიტომ, რომ თავისი გამჩენი აგინოს, არამედ იმისათვის, რომ ადიდოს. და, თუ არსებობს ადამიანი, რომელსაც თავის სარწმუნოებაში ეჭვი ეპარება, ტრაგედიაა.

**— გამოდის, რომ თქვენ არ თვლით კატასტროფად იმას, რაც ჩვენ გარშემო ხდება...**

— დიახ, არ ვთვლი, რომ კატასტროფული მდგომარეობაა. ის მორწმუნე ადამიანები, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ და აქვთ საშუალება, უცხო ქვეყნების მართლმადიდებელი ეკლესიები მოინახულონ, ამბობენ, რომ საქართველოში ყველაზე კარგი მდგომარეობაა. ამით კმაყოფილი ვერ ვიქნებით, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში ცუდი მდგომარეობაა.

«ჩვენი ქვეყანა მორწმუნე და ურწმუნო ადამიანების დეფიციტს არასოდეს განიცდიდა. ადამიანს ღმერთმა ენა მისცა არა იმიტომ, რომ თავისი გამჩენი აგინოს, არამედ იმისათვის, რომ ადიდოს. და, თუ არსებობს ადამიანი, რომელსაც თავის სარწმუნოებაში ეჭვი ეპარება, ტრაგედიაა»

**ქვეყანაში, სადაც თავდაცვის მინისტრი ავღანეთში გასაგზავნი ქრისტიანი ჯარისკაცების მოლასთან მიყვანას დაგეგმავს და განახორციელებს, სადაც ქვეყნის პრემიერმინისტრი უცხო სარწმუნოების ატრიბუტებით შემოსილი გოდების კედელთან დაიარება, სადაც ყოფილი პრემიერმინისტრი ივანიშვილი ჟურნალისტებს მოუწოდებს, უფრო ხმამაღლა ისაუბრონ ეკლესიაში არსებულ, მისი აზრით, არასახარბიელო ფაქტებზე, ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი ხა-**

**ნუქას შანდალზე სანთელს ანთებს და ამით თავის სარწმუნოებას შეურაცხყოფს, მაშინ, როდესაც იქვე მდგარი მართლმადიდებლები ევედრებიან, რომ ეს არ გააკეთოს, ქვეყანაში, სადაც პარლამენტარები იღებენ ანტიდისკრიმინაციულ კანონს და ამით უკიდურეს სიბილწეს აკანონებენ, ღმერთის ნებას შეურაცხყოფენ, ქვეყანაში, სადაც კათოლიკოს პატრიარქს სიტყვით ეფერებიან, მაგრამ არც ერთ მის შეგონებას ყურად არ იღებენ, რა თქმა უნდა, ერის მდგომარეობა ცუდია და რწმენას განმტკიცება სჭირდება.** ერს რწმენაში გაძლიერება სჭირდება.

**— რატომ ხდება ასე და რა არის ამის მიზეზი?**

— ადამიანი ცოდვისკენ არის მიდრეკილი. თუ გონს არ მოეგება და ცოდვაში უფრო გაკერპდება, ღმერთს მეტად დაშორდება. საერო ლიტერატურიდან ერთ ფრაზას მოვიყვან: „რა ყვავი ვარ-დსა იშოვნის, თავი ბულბული გონია“. რაც ცხრაწლიან შავ-ბნელ პერიოდში გავიარეთ, ამ ერთი ფრაზით გამოითქმის.

არ ყოფილა ხელისუფლება, რომელიც ეკლესიას იმ პატივში ამყოფებდა, რაც წინაპრებმა გვიანდერძეს. ადამიანებმა, რომლებიც ქვეყანას მართავდნენ, ეკლესიას ბევრი შეურაცხყოფა მიაყენეს, გაანადგურეს ჩვენი ცნობიერება, ფესვებს მოგვაშორეს, მათი მუშაობა ამისკენ იყო მიმართული. ახალი ქართველების შექმნა გადაწყვიტეს.

ევროპაში წასვლა ცუდი არ არის, თუ იქ მეცნიერებას უნდა დაეუფლო, მაგრამ არის რაღაცები, რასაც, აქ თუ შემოვიტანთ, ქვეყანას დავღუპავთ. გავიხსენებ, გაბრიელ ქიქოძის სიტყვებს: **„ზოგიერთნი საცოდავნი და საბრალონი ჩვენი ყმაწვილნი კაცნი, როდესაც უცხო ქვეყნებში წავლენ, იმას კი არ უყურებენ, რაც იქ არის პატიოსანი და ღირსი ქებისა და ბაძვისა, არამედ გაისვრებიან იქაურსა ნეხვსა შინა და აქაც იმას მოგვიტანენ, გეგონება, ჩვენში ეს მასალა ნაკლებად იყოს“.** ჩვენ, სასულიერო პირებმა ბევრი ასეთი ფაქტი ვიცით.

**«სასულიერო პირის ძირითადი მისიაა, გამოირჩეოდეს მოკრძალებით, არა მგონია, რომ სწორი იყოს «ჯიპებზე» ყურადღების გამახვილება. ეს იმ ადამიანების დაკვეთაა, მე-5 კოლონას რომ უწოდებენ. მორწმუნე ადამიანი «ჯიპით» არ დაბრკოლდება»**

**— მამაო, აუცილებლად უნდა დაგისვათ ეს შეკითხვა: როგორ ახსნით იმას, რომ სასულიერო პირები ძვირადღირებული „ჯიპებით“ დადიან? ეს ხალხს აღიზიანებს. ივანიშვილიც, ალბათ, ამასაც გულისხმობდა, როდესაც ეკლესიაში არსებულ „უმსგავსობაზე“ საუბრობდა...**

— თქვენ „ჯიპებით“ სიარულს სარწმუნოების მინელების კონტექსტში განიხილავთ?

მეფეები რა ტრანსპორტით დაიარებოდნენ?

**— ცხენით.**

— იმ დროინდელი ეპისკოპოსი რა „ტრანსპორტით“ დადიოდა, თუ გახსოვთ?

**— ჯორით.**

წინა რეჟიმის დროს სახელმწიფომ ეპისკოპოსებს „ჯიპები“ საჩუქრად გადასცა, შემდეგ მთავრობის წევრებმაც და მთავრობის სატელიტებად მოაზრებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც ქილიკი დაუწყეს. „ჯიპებში“ სათვალთვალო კამერებიც კი ჩაუმონტაჟეს. ძალიან ცუდია, როდესაც მაღალ თუ დაბალ ეშელონებში პოლიტიკის კეთებას რელიგიური ნიშნის გამოყენებით ცდილობენ.

სასულირო პირების გადაადგილება რით მოხდება, ეს სარწმუნოებრივ საკითხებს არ უკავშირდება. მადლობა უფალს, რომ ერის გარკვეული ნაწილი და არც თუ ცოტა, საკუთარი შემოსავლიდან გაიღებს-ხოლმე საჭირო თანხას ტაძრის ასაშენებლად. „ჯიპი“ უფრო იაფი ღირს, ვიდრე ტაძრის აშენება, ეს შემოწირულობაა. რაც შეეხება იმას, აბრკოლებს თუ არა სასულიერო პირის ქონება წრმენას, გეტყვით — სასულიერო პირის ძირითადი მისიაა, გამოირჩეოდეს მოკრძალებით, არა მგონია, რომ სწორი იყოს „ჯიპებზე“ ყურადღების გამახვილება. ეს იმ ადამიანების დაკვეთაა, მე-5 კოლონას რომ უწოდებენ. მორწმუნე ადამიანი „ჯიპით“ არ დაბრკოლდება.

„სახიერო იესო ქრისტე, შენს ეკლესიაში არიან ადამიანები, რომლებიც არც შენს მოციქულობას სწევენ და არც ლოცვებს აღგივლენენ, მათ დაივიწყეს იერუსალიმი და შეიტკბეს ჟენევა, სადაც სჯულის ახალი ფიცრები შექმნეს, მაგრამ შენც ჟენევა, რომელიც ცამდე ამაღლდი, ჯოჯოხეთამდე შთახდები,“ — ეს სიტყვები ეკუთვნის იერუსალიმის პატრიარქ ტიმოთეს, რომელიც 1955 წელს გარდაიცვალა. **რაც უფრო მეტად დაუახლოვდება იმ „ფასეულობებს“ ჩვენი ქვეყანა, რომლებიც ევროპიდან და ამერიკიდან მოდის, მით მეტად დაშორდება ქრისტეს.**

ქართველებს იმდენი განსაცდელი გვაქვს, რომ აუცილებლად ვცხონდებით.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# XX საუკუნის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი — ბორის პაიჭაძე

**ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ბორის პაიჭაძეს, რომლის დაბადებიდან 3 თებერვალს 100 წელი შესრულდა, სამართლიანად უწოდეს „ქართული ფეხბურთის ბერმუხა". სწორედ ამ ადამიანის სახელს უკავშირდება გასული საუკუნის 30-იანი წლების შუაგულიდან თბილისის „დინამოს" აღორძინება; მისი დიდი დამსახურებაა, რომ ნებისმიერი რანგის ტურნირში კლუბი ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა. გამორჩეული და უნიჭიერესი ფეხბურთელის გენიალობასა და უნივერსალობას აღიარებენ ქართველი და არამხოლოდ ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრები. სწორედ ამიტომ ბორის პაიჭაძე XX საუკუნის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელადაა მიჩნეული, 1945 წელს რუმინულმა პრესამ კი საერთაშორისო ამხანაგური ტურნირის დასრულების შემდეგ მას „ფეხბურთის კარუზო" უწოდა.**

თბილისის „დინამოს" პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე 1915 წლის 3 თებერვალს ჩოხატაურის მაზრის სოფელ ონჭიქეთში დაიბადა. მომავალმა ფეხბურთელმა ბავშვობა და ყრმობა ქალაქ ფოთში გაატარა, სადაც მისი ოჯახი 1920 წელს გადასახლდა.

ბორისის მამა, სოლომონ პაიჭაძე, ფოთის პორტში მტვირთავების ბრიგადირად მუშაობდა და ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა; მეტიც, იგი სპორტის ამ სახეობას უსაქმურთა გასართობად თვლიდა და, როდესაც ბავშვები ეზოში ბურთის გორებისას მათკენ მიმავალ სოლომონს დაინახავდნენ, თამაშს თავს ანებებდნენ. ცხადია, იგი არც ფიქრობდა, რომ შვილი ფეხბურთელი გამხდარიყო და პატარა ბორისს სწავლისკენ უბიძგებდა, თუმცა იმხანად ფოთში დიდ-პატარა ბურთის თამაშით იყო გატაცებული და გამონაკლისი არც უმცროსი პაიჭაძე გახლდათ.

თურმე ერთხელ, როდესაც სოლომონი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, მისი ყურადღება ორკესტრის ხმამ და ხალხის ხმაურმა მიიქცია, რომელიც სტადიონიდან ისმოდა. როგორც გაირკვა, ფოთის გუნდი ხარკოვის „მეტალისტს" ეთამაშებოდა და სოლომონ პაიჭაძემ შვილის თამაში მაშინ პირველად ნახა. ბორისმა ხარკოველებს გადამწყვეტი გოლი გაუტანა და საკუთარ გუნდს 2:1 მოაგებინა. აღტაცებულმა ქომაგებმა ფოთელი ფეხბურთელები მოედნიდან ხელში ატაცებული გაიყვანეს. საკუთარი შვილის თამაშით გაოცებულმა სოლომონმა სახლში მისვლისას ცოლს განუცხადა, — ვერ გამიგია, ბორისმა ფეხბურთის თამაში ასე კარგად სად ისწავლაო. იქიდან მოყოლებული, უფროსი პაიჭაძე შვილის გატაცებას შეეგუა და მას ბურთის თამაშს აღარ უშლიდა.

ცხადია, ამან ბორისი ძალიან გაახარა და მალე ფოთის გუნდთან ერთად თბილისში ჩამოვიდა დედაქალაქის ნაკრებთან დასაპირისპირებლად. იმ ვიზიტს პაიჭაძე ასე იხსენებდა: „თავდაპირველად, ნკვდ-ს მე-8 პოლკის გუნდს ვეთამაშეთ და 8:0 გავიმარჯვეთ. 2 დღის შემდეგ თბილისის ნაკრებს შევხვდით, რომლის რიგებში იმ დროისთვის ცნობილი ფეხბურთელები — შოთა შავგულიძე, ალექსანდრე დოროხოვი, მიხეილ ასლამაზოვი, ბუკა ბერძენიშვილი და ჭიჭიკო ფაჩულია გამოდიოდნენ. მარჯვენა ინსაიდის პოზიციაზე ვთამაშობდი და დაპირისპირება ფაჩულიასთან მიწევდა, რომელიც ყველა დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი გახლდათ. როდესაც ჭიჭიკო ფოთში ჩამოდიოდა ხოლმე, მასზე ლამის ვლოცულობდი და მონუსხული ვუცქერდი, რათა ამ მოთამაშის ერთი მოძრაობაც არ გამომპარვოდა. მაშინ კი იმის პატივი მერგო, რომ ბატონ ჭიჭიკოს წინააღმდეგ მეთამაშა. მატჩისთვის ძალიან სერიოზულად მოვემზადე, თუმცა არაფერი გამომივიდა, რადგან ფაჩულიამ ფეხი არ გამანძრევინა. ხასიათი ისე გამიფუჭდა, რომ შესვენებაზე ავტირდი და ჩვენს კაპიტან მიტრო ასათიანს ვუთხარი, – არ შემიძლია მის წინააღმდეგ თამაში, შემცვალეთ-მეთქი. პირველი ტაიმის შემდეგ მოედანზე აღარ გავსულვარ და, მიუხედავად იმისა, რომ თამაშს 2:1 ვიგებდით, საბოლოოდ 2:3 დავმარცხდით".

მართალია, პაიჭაძეს ფეხბურთი უყვარდა, მაგრამ, ფოთელი ბიჭების უმრავლესობის მსგავსად, მეზღვაურობაზე ოცნებობდა. 8 კლასის დამთავრების შემდეგ, საზღვაო ტექნიკუმში ჩააბარა, სადაც მექანიკოსის დიპლომი მიიღო და მუშაობა ნავთობის გადამზიდავ გემ „ტენდრაზე“ დაიწყო, რომელიც რეისს ოდესიდან ბათუმამდე ასრულებდა. როგორც „დამკვრელ“ მშრომელს, მას მოგვიანებით საზღვარგარეთ ცურვის ნებაც დართეს. ტუაფსეში ყოფნისას, სადაც იგი ტანკერ „მეტალისტს“ ელოდა, რათა ინგლისში გაჰყოლოდა, მოულოდნელად პაიჭაძემ ფოთიდან დეპეშა მიიღო: „მამა კვდება, ჩამოდი!“.

ბორისი ფოთში შუაღამისას მატარებლით ჩავიდა და საკუთარ სახლს რომ მიუახლოვდა, ჩაბნელებული ფანჯრები დაინახა. ამის შემხედვარემ გაიფიქრა, რომ მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სახლში შუქი ენთებოდა. მართლაც, მამა ცოცხალი აღმოჩნდა და მეტიც, როდესაც დედამ დაიძახა — სოლომონ, შეხედე, ვინ ჩამოვიდაო, უფროსი პაიჭაძე ეზოში საცვლების ამარა გამოვარდა და შვილს კისერზე ჩამოეკიდა. როგორც გაირკვა, იგი სიკვდილს სულაც არ აპირებდა, მაგრამ სამაგიეროდ რთულ მდგომარეობაში ფოთის ნაკრები იმყოფებოდა, რომელსაც საქართველოს პირველობაზე თბილისში ბათუმელებთან განმეორებითი მატჩი უნდა ჩაეტარებინა. ფოთელებმა ამ მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ პაიჭაძე ქალაქში ასეთი ორიგინალური მეთოდით ჩამოიყვანეს. თავდაპირველად, ბორისი მოედანზე გასვლას უარობდა, რადგან ერთი წელი ბურთისთვის ფეხი არ დაეკარებინა, მაგრამ მამის თხოვნის წინააღმდეგ ვეღარ წავიდა. ფოთელებმა თამაში 2:1 მოიგეს და ორივე გოლი პაიჭაძემ გაიტანა. ამის შემდეგ უკვე ცხადი გახდა, რომ არჩევანი მას ფეხბურთის სასარგებლოდ უნდა გაეკეთებინა. არც შემცდარა.

თუმცა მას გასარკვევი ერთი ფრიად დელიკატური საკითხი ჰქონდა. კერძოდ, სურდა გაეგო, ვინ გაუგზავნა ასეთი შემაშფოთებელი შინაარსის დეპეშა. მიუხედავად მცდელობისა, სიმართლის გარკვევა ვერ შეძლო. მხოლოდ 50 წლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მისი ავტორი პაიჭაძის ყოფილი თანაგუნდელი კაკო იმნაძე ყოფილა.

ბათუმელების დამარცხების შემდეგ ფოთის ნაკრები უკრაინაში ტურნირში გაემგზავრა, სადაც 29 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ ერთი დაამთავრა ფრედ. დანარჩენი მატჩები ქართველმა ფეხბურთელებმა მოიგეს. მოგეხსენებათ, მაშინ გუნდებს რა პირობებიც ჰქონდათ და ხშირად მოთამაშეებს ღამეების გათენება სპორტულ დარბაზებში ან რაიმე დაწესებულების კორიდორში უხდებოდათ, სასტუმროზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

უკრაინაში მოგზაურობის შესახებ იმნაძე ბორისის თაობაზე ერთ სახალისო ისტორიას იხსენებდა: „მაკეევკაში სპორტულ დარბაზში ვცხოვრობდით და რინგის გვერდით გაშლილ ლეიბებზე გვეძინა. იქვე მოკრივის ხელთათმანები იდო. კრივის ილეთები მეტ-ნაკლებად ვიცოდი და ბორისს შერკინება ვთხოვე. გაოცებული დავრჩი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ იგი კრივში გათვითცნობიერებული იყო. მართალია, მასზე ფიზიკურად ძლიერი გახლდით, მაგრამ ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ ორთაბრძოლის შეწყვეტა თავად ვთხოვე. როგორც გაირკვა, ბორისი, თავის დროზე, ფოთის პორტის სპორტულ კლუბში კრივში ვარჯიშობდა. მართალია, არც თუ დიდი ხანი, მაგრამ როდესაც ადამიანი ნიჭიერია“...

ფოთელთა გუნდის კაპიტანი 42 წლის ეფრემ ლაითაძე იყო. როდესაც ერთ-ერთი ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ ქართველები მოედანზე გავიდნენ, ტრიბუნიდან გულშემატკივარმა ლაითაძეს დაუძახა — „მამიკო, შვილები ვის დაუტოვეო?“. ეფრემი არ დაბნეულა და უპასუხა, — „აგერ, ჩემთან ერთად არიან“-ო და თან ახალგაზრდა ბორის პაიჭაძესა და გრიგოლ გაგუაზე მიუთითა. მეორე მატჩის წინ, აფიშაზე შემდეგი წარწერა გაჩნდა: „ქართველების გუნდში მამა-შვილი ლაითაძეები თამაშობენო“. აღსანიშნავია, რომ ყოველი შეხვედრის დაწყებამდე ეფრემი ე. წ. შვილებს მხარზე ხელს გადახვევდა და საკმაო ხნის განმავლობაში ყურში რაღაცას ჩასჩურჩუ-

**სლავა მეტრეველი, დოდო აბაშიძე, ბორის პაიჭაძე და მიშა მესხი**

ლებდა. „მამაშვილობამ“ ქართულ გუნდს კარგი რეკლამა გაუწია და სტადიონზე მაყურებელი თამაშიდან თამაშამდე იმატებდა.

ამ ტურნეში ქართველებს კურიოზული ამბავიც გადახდათ. კერძოდ, მათ უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ თამაში თურქეთის ნაკრების დროშით მოუწიათ. იმ პერიოდში თურქეთის ეროვნული გუნდი საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა და, როგორც წინასწარ იყო ჩაფიქრებული, მოსკოვში ჩატარებული მატჩის შემდეგ ოდესას უკრაინის ნაკრებთან საპაექროდ უნდა სწვეოდა, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, თურქებმა ჩამოსვლა ვერ შეძლეს. არადა, აფიშები მთელ ქალაქში უკვე გაკრული იყო და, ადგილობრივი ქომაგები რომ არ გაეწბილებინათ, შეხვედრის ორგანიზატორებმა თურქების სახელით თამაში ქართველებს სთხოვეს, რომლებიც იმხანად სევასტოპოლში იყვნენ. ფოთელები დათანხმდნენ, მაგრამ ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ სტადიონზე ბევრი ფოთელი მოვიდოდა — მეზღვაურები, ვაჭრები და ა. შ. ცხადია, მათ მშობლიური ქალაქის გუნდის მოთამაშეები სხვებში არ შეეშლებოდათ და თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ტრიბუნებიდან შეძახილები გაისმა: „ეი, ეფრემ ფოთში შვილები და ცოლი ვის დაუტოვე? თუ შენც თურქად ჩაეწერე?“, „ეი, ლადო, ჩემი 20 მანეთი გმართებს, რით გადამიხდით — მანეთებით თუ ლირებით?“

**„პუბლიკა მაშინვე მიხვდა, საქმე რაშიც იყო და გვეგონა, რომ გაგვლახავდნენ. შესაძლოა, სხვა ქალაქში მართლაც ასე მოქცეულიყვნენ, მაგრამ არა ოდესაში, რომლის მცხოვრებნიც იუმორით ცნობილი არიან. ტრიბუნებზე მოსულ გულშემატკივრებს სიცილი აუტყდათ და ერთხმად მხარს გვიჭერდნენ. საბოლოოდ, თამაში 2:3 დავთმეთ“,** — იხსენებდა ბორის პაიჭაძე.

უკრაინიდან ერთი კვირის დაბრუნებულები იყვნენ, რომ ფოთელთა 11 ფეხბურთელს თბილისში გადასვლა და სწავლის ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ტექნიკუმში გაგრძელება შესთავაზეს. ამ სასწავლების დირექტორი, ივანე ვაშაყმაძე, ფეხბურთზე ფანატიკურად იყო შეყვარებული. სწორედ მან გამოაგზავნა ფოთში ფეხბურთელი კაკო ყალიჩავა, რომელმაც ადგილობრივ მოთამაშეებს რექტორის დანაბარები გადასცა. სტუდენტებად გახდომის შემდეგ ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა 1935 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების პირველობა მოიგო — ფინალში მანამდე დაუმარცხებელ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს სძლია. ყოველი მატჩის შემდეგ ქართველებთან გასახდელში სერგო ორჯონიკიძე შედიოდა, რომელმაც ჩემპიონებს საჩუქრად ველოსიპედები გადასცა.

1936 წელს, საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის დაწყებამდე ბორის პაიჭაძე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გახდა. ამან ვაშაყმაძე ისე აღაშფოთა, რომ სა-

კუთარ სტუდენტს უყვიროდა – „როგორ გააკეთე ასეთი რამ! რამდენი გადაგიხადეს?“. რექტორმა არ იცოდა, რომ პაიჭაძის „დინამოში“ გადასვლა ლავრენტი ბერიას ინიციატივა იყო, რომელიც ფეხბურთელს პირადად ესაუბრა. ბორისის გარდა, თბილისურ კლუბს კიდევ რამდენიმე ფოთელმა ფეხბურთელმა მიაშურა, რომელთაც საქართველოს „ნკვდ“-ს უფროსი გოგლიძე ელაპარაკა. პაიჭაძეს იმედი ჰქონდა, რომ ამ ნაბიჯით მამის გათავისუფლებას შეუწყობდა ხელს, რომელიც იმხანად დაპატიმრებული იყო. მითუმეტეს, ფეხბურთელს დაჰპირდნენ, რომ ამ საკითხის მოგვარებაში დაეხმარებოდნენ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ „დინამოს“ სწორედ „ჩეკისტები“ კურირებდნენ, თუმცა საბოლოოდ ეს არ მოხერხდა.

„1941 წელს, ომის დაწყებამდე მამა კინაღამ გაათავისუფლეს. კოტლასიდან დეპეშა მოგვივიდა, რომელშიც იგი უკან დასაბრუნებლად გზის ფულის გამოგზავნას გვთხოვდა. მართალია, ფული გავაგზავნეთ, მაგრამ ომი დაიწყო და მამა აღარ გამოუშვეს. საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ 1936 წელს, როდესაც ბერიამ დამიბარა, ვერ გავბედე, მას მამის თაობაზე დავლაპარაკებოდი. 1942 წელს, მოსკოვში ყოფნისას, ბერიას ადმინისტრაციაში დავრეკე და, როდესაც მას ყურმილი გადასცეს, შეხვედრა ვთხოვე. მან მიმიღო და მამის თაობაზე დავეკითხე. ამბის გასარკვევად იგი ცოტა ხნით კაბინეტიდან გავიდა და უკან შემოსულმა მითხრა — ძალიან საწყენია, მაგრამ მამაშენი გარდაიცვალა. სად იყავი აქამდე ბორის?“ — იხსენებდა ბატონი ბორისი.

30-იანი წლების „დინამოს“ ისტორიაში, ქრესტომათიულ მატჩად მოსკოვის ცდკა-სთან შეხვედრა ითვლება, რომელიც 1939 წელს შედგა. მაშინ, მოსკოველთა რიგებში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი გამოდიოდა, რომელთა შორის გამორჩეული გრიგორი ფედოტოვი გახლდათ.

სწორედ ამ ადამიანმა გაიტანა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში პირველმა 100 გოლი და ამიტომ ეწოდა ბომბარდირთა კლუბს მისი სახელი. თბილისის „დინამოს“ იმ დროს სათავეში მიხაილ ბუტუსოვი ჩაუდგა, რომელიც წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი და ჭკვიანი ტაქტიკოსი იყო. რაც შეეხება პაიჭაძეს, იგი თბილისელთა გამოკვეთილი ლიდერი იყო. **აღსანიშნავია, რომ ბორისი მწვრთნელების მიერ დადგენილ სათამაშო სქემებს არ ემორჩილებოდა და თამაშის საკუთარი სტილი ჰქონდა შემუშავებული. ის მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთზე შეიძლება გამოჩენილიყო და „დინამოს“ შეტევას გაძლოლოდა. ამისთვის პაიჭაძეს მეტსახელად „მოხეტიალე ფორვარდი“ შეარქვეს.** მისმა სათამაშო მანერამ ისეთი ავტორიტეტული სპეციალისტის კრიტიკაც კი გამოიწვია, როგორიც ბორის არკადიევი გახლდათ. თუმცა, ბუტუსოვმა ბორის უთხრა, — ყურადღება არ მიაქციო, შენი თამაში ითამაშეო.

ცდკა-სთან მატჩი მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში „დინამო“ ჩემპიონატში მეორე ადგილს და შესაბამისად, ვერცხლის მედლებს მოიპოვებდა. თუმცა თბილისელებისთვის პირველი ტაიმი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, რადგან მათ იგი 1:4 დათმეს. ეს ერთადერთი ბურთი პაიჭაძემ გაიტანა. მეორე ტაიმში „დინამოელებმა“ შეხვედრაში გარდატეხა შეიტანეს, რაც, პირველ რიგში, პაიჭაძის დამსახურება იყო და მასპინძლებმა 5:4 მოიგეს.

**კარიერის განმავლობაში ბატონი ბორისი მოედანზე მუდამ კორექტული იყო და, ფაქტობრივად, არასოდეს პასუხობდა მის წინააღმდეგ უხეშად მოთამაშე მეტოქეებს, ამიტომ ეძახდნენ მას ფეხბურთის „რაინდს“.** თუმცა, იყო ერთი მცველი, რომელიც ქართველ თავდამსხმელთან შეხვედრის დროს მუდამ ცდილობდა, პაიჭაძე მწყობრიდან გამოეყვანა. „დინამოელებმა“ მას არაერთხელ სთხოვეს, რომ მსგავს რამეებს შეშვებოდა, რამაც ნაყოფი არ გამოიღო. მაშინ თანაგუნდელებმა ბორისს უთხრეს, რომ ამ ფეხბურთელისთვის საკადრისი პასუხი გაეცა. მართლაც, პაიჭაძე ასეც მოიქცა და ერთ-ერთი მატჩის დროს მეტოქემ მოედანი კოჭლობით დატოვა. მსაჯმა კი მომხდარზე თვალი დახუჭა, რადგან პაიჭაძის ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო.

ბატონი ბორისი დიდი ფეხბურთიდან 1951 წელს წავიდა, მაგრამ იგი არავის გაუცილებია და არც საბენეფისო მატჩი მოუწყვიათ. მსგავსი რამ საბჭოთა კავშირში უცხო ხილი იყო, მითუმეტეს იმ პერიოდში. ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელს არც ახსოვდა, თუ რომელ გუნდთან ითამაშა ბოლო შეხვედრა.

ამ ხნის განმავლობაში — 1939, 1940 და 1951 წლებში მისი დახმარებით გუნდმა ქვეყნის პირველობაზე ვერცხლის მედლები მოიგო; 1936, 1946, 1947 და 1950 წლებში — მესამე ადგილი დაიკავა. პაიჭაძე საბჭოთა კავშირის თასის სამგზის ფინალისტია — 1936, 1937 და 1950 წლებში. მან თასის გათამაშებაში 40 შეხვედრა ითამაშა და თავი 25-ჯერ გამოიჩინა. 1937-1946 წლების ჩათვლით, გუნდის მიერ ჩატარებულ 7 საერთაშორისო შეხვედრაში ითამაშა და პირად ანგარიშზე 5 გოლი მიითვალა.

**1938 წელს საბჭოთა კავშირის უძლიერეს ფეხბურთელთა შორის დაასახელეს** და გრიგორი ფედოტოვის სახელობის ბომბარდირთა კლუბის წევრი გახდა. საყვარელ გუნდს სათავეში 1940 წლიდან ჩაუდგა: „დინამოს“ შემადგენლობაში ყოფნისას (1936-1951 წლებში) 181 მატჩიდან 98 გოლი გაიტანა. თასზე კი 40 მატჩიდან — 25, ხოლო 7 საერთაშორისო შეხვედრიდან — 5 გოლი. მრავალჯერ ყოფილა საბჭოთა კავშირის მეორე და მესამე პრიზიორი, უთამაშია თასის გათამაშების ფინალში. 1971 წელს მიენიჭა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება, ცოტა ადრე კი სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიიღო.

მართალია, მას მწვრთნელობა არ სურდა, მაგრამ დაარწმუნეს, რომ გუნდში მისი დარჩენა საჭირო იყო. პაიჭაძემ „დინამოში“ ცოტა ხანი იმუშავა და შემდეგ გუნდის უფროსი გახდა. მწვრთნელობის თაობაზე მას საკუთარი მოსაზრება ჰქონდა: „კარგი ფეხბურთელი და კარგი მწვრთნელი – ორი სრულიად განსხვავებული რამაა. ფეოლა ფეხბურთს საერთოდ არ თამაშობდა, მაგრამ გამოჩენილი მწვრთნელი გახლდათ. მახსოვს, როდესაც 1966 წელს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატიდან გავრილ კაჩალინთან ერთად ვბრუნდებოდი, ლონდონის აეროპორტში ფეოლა ვნახეთ. როგორც გაირკვა, იგი მშობლიურ რიო დე ჟანეიროში კი არ მიფრინავდა, არამედ იტალიაში. თურმე მას ბრაზილიის ნაკრების წარუმატებელი გამოსვლა ვერ აპატიეს და სამხრეთამერიკელი გულშემატკივრები სამშობლოში არ უშვებდნენ. არადა, მანამდე ფეოლას თავკაცობით გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ მოიგო. ასეთია მწვრთნელის ბედი“.

მოგვიანებით ეროვნული სტადიონის დირექტორად დაინიშნა, სადაც 23 წელი მუშაობდა. **ბორის პაიჭაძე ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერია.**

ლეგენდარული ფორვარდი 1990 წელს გარდაიცვალა, ხოლო 1991 წელს მისი სახელი ეროვნულ სტადიონს მიენიჭა, ამჟამად კი ჩვენი ქვეყნის უმთავრეს სტადიონს ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა ეწოდება. 1995 წელს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ლეგენდარული ფეხბურთელის ბიუსტი გაიხსნა, ხოლო საუკუნის მიწურულს ჩატარებული გამოკითხვით, როგორც ფეხბურთის პოპულარიზატორმა ჩვენს ქვეყანაში, საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო მოიპოვა.

სამწუხაროა, რომ თბილისის „დინამოს“ პირველი თაობის ოსტატ ფეხბურთელთა თამაშის ვიდეოფირები, ფაქტობრივად, არ არსებობს. ბორის პაიჭაძეზე მხოლოდ ერთადერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმია შემონახული, რომელიც ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო. ეს ფილმი მცირეოდენ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენს საფეხბურთო წარსულზე, გვაჩვენებს, თუ რისი გაკეთება შეგვეძლო მინდორზე გასული საუკუნის 30-40-იან წლებში. ალექსანდრე დოროხოვი, შოთა შავგულიძე, გრიგოლ გაგუა, მიხეილ ბერძენიშვილი, მიხეილ ჯოჯუა, ავთანდილ ღოღობერიძე, გაიოზ ჯეჯელავა... მათი სახელები ლამის საუკუნის შემდეგაც ისევე ახსოვთ, როგორც მაშინ, როცა ირანელებსა თუ ყირგიზელებს, რუსებსა თუ რუმინელებს, ბასკებსა (ესპანელებს) თუ ბოლოს და ბოლოს, ქართველებს აკვირვებდნენ...

**„ჩვენს დროში იგი არანაკლებ დიდებას მოიმკიდა, ვიდრე დი სტეფანო ან პელე“,** — ასე ახასიათებდა ბორის პაიჭაძეს ქართული ფეხბურთის პატრიარქად შერაცხული ანდრო ჟორდანია. სახელოვანი რუსი ჟურნალისტის მ. მერჟანოვის თქმით კი, **„პაიჭაძე ბუნების ისეთივე იშვიათობა გახლდათ, როგორც თვითნაბადი ოქრო“.**

***

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზაში“ საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის — ბორის პაიჭაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი, რომლის სახელწოდებაა „ბორის პაიჭაძე“, ცნობილმა ჟურნალისტებმა ოთარ გაგუამ და დემიკო ლოლაძემ მოამზადეს, ხოლო მის გამოცემაში წვლილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიტანა. წიგნი 200 გვერდზე მეტია და გარდა იმისა, რომ წასაკითხადაა საინტერესო, უნიკალური ფოტომასალითაა გაჯერებული.

# ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა

**საკითხს, რომელზეც გერონტი ქიქოძის თვალსაზრისს წარმოგიდგენთ, ძლიერ დიდი, თითქმის შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალური თეორიისა და პრაქტიკისათვის, არამედ საზოგადო მსოფლმხედველობისათვისაც: არსებობს თუ არა პიროვნების გარეშე და მასზე მაღლა სოციალური ერთეული, კერძოდ, ეროვნება, როგორც შემომქმედი ფსიქიკური რეალობა და ეთიკური ღირებულება? თუ როგორც პირველი, ისე მეორე მხოლოდ და სავსებით პიროვნებას უნდა მივაკუთვნოთ?**

## რა არი ეროვნება თანამედროვე მსოფლმხედველობის თვალსაზრისით?

„ერი არი სული, ფსიქიური ერთეული“...

როგორც მონა თავის მონობის მთელ საშინელებას, თავისი გარეგანი ნებისყოფის შებორკვის აუტანლობას მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა სულიერად უკვე განთავისუფლებულია, როცა მან უკვე ისწავლა თავისი ინდივიდუალობის დაფასება და ცდილობს მას გარეგნული მოქმედებაც შეუსაბამოს, ისე ეროვნებაც მხოლოდ მაშინ განიცდის მთელ ტრაგიზმს პოლიტიკური მონობისას, როცა იგი უკვე ასულია ეროვნული თვითშეგნების სიმაღლეზე, როცა აშკარად ხედავს წინააღმდეგობას თავის შინაგან მისწრაფებათა და გარეგან პოლიტიკურ მდგომარეობათა შორის. ეს ტრაგიკული და სახიფათო მდგომარეობაა...

სულიერად თავისუფალ ეროვნებას შეუძლია ბევრი მშვენიერი და დიადი რამ შექმნას თვით პოლიტიკურ მონობაშიაც კი. სულიერად დამონებული და დამახინჯებული კი მონად დარჩება თვით უთავისუფლეს სახელმწიფოში.

შემცდარია ის აზრი მონტესკიესი და დემესტრისა, რომლის მიხედვითაც ეროვნებად მხოლოდ სუვერენი და არისტოკრატია უნდა ჩაითვალოს, როგოც შემცდარია ის შეხედულება საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის რადიკალური ბურჟუაზიისა, რომელიც ოლარმა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: ეროვნება — ეს შეძლებული და განათლებული საფრანგეთიაო. ეროვნება ყოველივე ამაზე უფრო მაღლა დგას, ამიტომ არის, **ყველა საზოგადოებრივი ძალა ერთნაირადაა დაინტერესებული, რომ ის ეროვნება, რომელსაც იგი ეკუთვნის, დიადი და კულტურული გახდეს.** ეს იმიტომ, რომ პიროვნება, რომელ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ორგანულადაა შეერთებული ეროვნულ ფსიქიურ ერთეულთან, მთელ მის არსებობასთან, ზრდასთან და განვითარებასთან.

დამოკიდებულება და ერთიერთობა ეროვნებასა და პიროვნებას შორის შეუდარებლად უფრო მჭიდრო და ორგანულია, ვიდრე ეს სოციალ-ატომისტურ თეორიას ეგონა. რასაკვირველია, ეს დამოკიდებულება არ არი ცალმხრივი: **პიროვნება არა მარტო ექვემდებარება ეროვნული ერთეულის გავლენას, არამედ თვითონაც აქტიურად მოქმედებს მასზე და მით უმეტეს, რაც უფრო მდიდარი და ძლიერია თვითონ ის.**

ერთი თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსი სრულიად სამართლიანად ამბობს: „ადამიანი საჭიროებს საზოგადოებას არა მარტო როგორც თავის მატარებელს, არამედ როგორც ობიექტსაც, რომელშიც შეაქვს ის, რაც მასში ცხოვრობს, და რამდენადაც უფრო ავტონომიური და ინდივიდუალური ხდება თვით პიროვნება, იმდენად უფრო გაბედულად და ფართოდ ავლებს ის თავის გარშემო იმ წრეს, რომელმაც მასზე უნდა იქონიოს გავლენა და რომელზედაც, აგრეთვე, მას სურს იმოქმედოს“.

თუ თანამედროვე მატერიალური კულტურა და სოციალ-პოლიტიკური წეს-წყობილება, მართლაც, საერთაშორისო შემოქმედების ნაყოფს შეადგენს, თუ მასში საკაცობრიო სხვადასხვა ეროვნების გამაერთიანებელი ტენდენციები უფრო აშკარად იხატება, ვიდრე გამაცალკევებელი, ცხადია, რომ სპეციფიურად ეროვნული უნდა ვეძიოთ სხვაგან, სახელდობრ, სულიერი კულტურის სფეროში. აქ ვპოვებთ, უწინარეს ყოვლისა, იმას, რაც ყველაზე ნათლად ხატავს ეროვნების განუმეორებლობას და დამოუკიდებლობას, რაც შეურყევლად მოწმობს მის სხვასთან შეუდარებელ ნიჭს და გენიოსობას. **ეს ეროვნული სული და გენიოსობა ისე რეალურად, ისე ხელშესახებად არსად გამოსჭვივის, როგორც ენაში და იმ ფსიქიური შემოქმედების სფე-**

**როში, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ენის შემწეობით: ზნე-ჩვეულებაში, ესთეტიკურ და ეთიკურ კულტურაში, საზოგადო და ფილოსოფიურ მხედველობაში, მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენაში.**

თეოლოგიური აზროვნებისთვის ენა სასწაულებრივი მოვლენაა, განგების მიერ ადამიანთა დასასჯელად ან დასაჯილდოვებლად მოგზავნილი; რაციონალიზმისათვის კი, პირიქით, იგი ბუნებრივი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული მზა იარაღია პიროვნების მიერ თავისი აზრებისა და შინაგანი გამოცდილების გამოსახატავად მოგონილი. არსებითად, თუმც გარეგნულად შეცვლილი ფორმით, ეს უკანასკნელი ინდივიდუალისტური თეორია ჯერ კიდევ ცოცხლობს ეგრეთწოდებულ „გამოგონების“ და „წაბაძულობის“ თეორის სახელით.

თუ ენა დამოუკიდებელ პიროვნებათა მიერ მოგონილი იარაღია, ბუნებრივად იბადება საკითხი, როგორ მოხდა, რომ შემდეგ ეს ინდივიდუალური იარაღი სოციალურად გარდაიქცა, თავისი წარმოშობის სხვადასხვაობა ერთიმეორეს შეუფარდა და ჩაჩრდილა და მთელი სოციალური ერთეულის გაერთიანებულ გამოხატულებად გარდაიქცა. ყოვლისშემძლე წაბაძულობის შემწეობითაო, უპასუხებს ეს თეორია. ეს წაბაძულობა რაღაც უცნაური მისტიკური, გამათანასწორებელი ძალაა, რომელიც ჯადოსნური შესაძლებლობით ინდივიდუალურისგან ჰქმნის სოციალურს. კიდევ მეტი: საზოგადოება წაბაძულობაა, წაბაძულობა კი ერთგვარი სომნამბულიზმიაო, ამბობს ამ მიმართულების ცნობილი თეორეტიკოსი, ფრანგი სოციოლოგი გაბრიელ ტარდი თავის თხზულებაში „კანონები წაბაძულობისა“.

ნიჭიერი და არაჩვეულებრივი პიროვნება, ერთადერთი წყარო ყოველგვარი შემოქმედებისა, სრულიად დამოუკიდებლად იგონებს ახალს, უცნობს, გენიოსურს; წაბაძულობის წყალობით ეს ახალი ჯერ იმ ვიწრო წრეში ვრცელდება, რომელიც გამომგონებელს გარს არტყია, შემდეგ კი შეუმჩნეველი ზვავით უფრო ფართო და ფართო წრეებს ედება, სანამ ბოლოს არ დაკარგავს თავის ძალას და ერთ საზღვარზე არ შეჩერდება: ესაა საზღვარი გარკვეული სოციალური ერთეულისა. გენიოსი გიპნოტიზიორი, სოციალური სხეული კი — პასიური მედიუმი, რომელიც მას აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს. ამით აიხსნება, რომ ენა, რომელიც თავდაპირველად ინდივიდუალური იარაღია, ჩქარა მთელი განსაზღვრული საზოგადოებისათვის განგებ, სულიერი შინაგანობის გამომხატველ საშუალებად ხდება. ნიჭიერი პიროვნება ჰქმნის ენას ან წინასწარი მოსაზრებით, შეგნებულად (ინტელექტუალისტური შეხედულება), ან სრულიად უნებლიეთ, რეფლექტურად, შეუგნებლად (ფიზიოლოგიური თეორია): ფსიქიური აღელვების დროს, ძლიერი გრძნობით, ვნებით ან გულისთქმით გამსჭვალული იგი ცდილობს, მოძრაობით, ყვირილით და ხმის მოცემით გამოსავალი მისცეს დაგუბებულ ფსიქიურ ენერგიას; ეს ხმა თავის მხრივ პოულობს გამოხმაურებას ახლო-მახლო წრეებში: თვითეული პიროვნება ცდილობს, მდგომარეობა და ხმა ასოციაციურად ერთიმეორეს დაუკავშიროს და შემდეგ ანალოგიურ მდგომარეობაში თვითონაც მსგავსი ხმა გამოსცეს. ამგვარად იბადება ენა, წაბაძულობის ნაყოფი.

ამ თეორიის დასახასიათებლად, საკმაოა, გავიხსენოთ, როგორ ხსნის იგი ეგრეთ წოდებულ „ხმის ცვლილებათა“ ფაქტს. მაგალითად, ცნობილია, რომ ლათინურ სიტყვას „ცეზარს“ სხვადასხვა ეროვნება სხვადასხვანაირად სცვლის: გერმანელი ამბობს „კაიზერს“, რუსი „ცარს“, ქართველი „კეისარ“-ს ან „ყაისარ“-ს. ამ თეორიის მიხედვით, ეს იმით აიხსნება, რომ ერთს რომელსამე უსახელო პიროვნებას ლათინური სიტყვა შეცდომით წარმოუთქვამს, მისთვის წაუბაძავთ სხვებს და ამგვარად ბოლოს დამახინჯებული გამოთქმა საერთო ეროვნულ კუთვნილებად გამხდარა.

აქედან ნათლად ჩანს ამ ხელოვნური სოციოლოგიური კონსტრუქციის სისუსტე და ნაკლოვანება: წაბაძულობის თეორიას, ჩვენის აზრით, სრულიად არ შეუძლია ეროვნულ ენათა სხვადასხვაობის ახსნა. როგორ მოხდა, რომ პიროვნებათა იმ ჯგუფმა, რომელიც შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა ცხოვრობს, რომელსაც შემდეგ ქართველი ერი ეწოდება, გამოუკლებლივ სწორედ „კეისარის“ გამომთქმელს მიბაძა. რა ჯადოსნობამ მისცა სწორედ „კაიზერს“ ასეთი აბსოლუტური ბატონობის ძალა ნემანისა და ჩრდილოეთ ზღვას შუა ან „ცარს“ აღმოსავლეთ ევროპაში? რატომ ყველამ ლათინურ „ცეზარს“ არ მიბაძა? ამ სიტყვას ხომ მთელი ეროვნება ხმარობდა, სანამ იგი გერმანულ, რუსულ და ქართულ ენაში შევიდოდა? ცხადია, რომ წაბაძულობა თავისთავად გასაგები მოვლენა არ არის. ცხადია, რომ იგი მეორეხარისხოვანი სოციალური ფაქტორია: **თუ ქართველი ერი ერთნაირად სცვლის უცხო სიტყვათა გამოთქმას, ამას სჩადის არა წაბაძულობის შემწეობით, არამედ თანახმად თავისი ეროვნული ფსიქიური ბუნებისა;** თუ მისი გამოთქმა განსხვავდება გერმანული ან რუსული გამოთქმისაგან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სულიერი ბუნება, რომელიც საძირკვლად უდევს ენის შემოქმედებას, განსხვავდება გერმანული ერის სულიერი ბუნებისაგან.

**...რა არი პიროვნება თავისი ნიჭით, აზროვნებით და მეტყველებით ეროვნების გარეშე? რა არი თვით უმდიდრესი ენა რობინზონისთვის, რომელიც მოწყვეტილია თავის ეროვნებას?** — ასოებად დაწყობილ ხმათა სისტემა, მოკლებული ყოველ რეალურ აზრსა და შინაარსს, ან ამაო მოწოდება და ძახილი ძლიერი გრძნობით აღელვებული სულისა, ან აზრით და გულისნადებით აღსავსე წინადადება, რომელიც ვე-

რავითარ გამოხმაურებას ვერ იპოვის და დაჩცება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

პირიქით, რა განუზომელს, ყოველი მხრით შეუდარებელ კულტურულ ძალას წარმოადგენს ენა, იგი არქიტექტონული სისტემა ხმებისა, იმ პიროვნებისათვის, რომელიც ცოცხალი ეროვნული ერთეულის წევრია, შეკავშირებული მის აზრებთან, გრძნობებთან და ნების ლტოლვასთან... **რამდენ ახალ თვისებას იძენს ენა სოციალური თვალსაზრისით, სულიერ შინაგანობის წარმოდგენათა და გრძნობათა გამომხატველი უძლიერესი და უგავლენიანესი საშუალება, სოციალური გამოცდილების დამგროვებელი და შემნახველი იარაღი, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია კულტურული წინსვლა, სოციალური ნასკვი, რომელიც უფრო მჭიდროდ და საიმედოდ აკავშირებს საზოგადოებას, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ან სარწმუნოებრივი დაწესებულება, ფსიქიური პროცესი, ურომლისოდაც შეუძლებელია აბსტრაქტულ ცნებათა შედგენა და, მაშასადამე, აზროვნების განვითარება: და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ენა გარეგნულად გამოხატულებაა იმ სოციალ-ფსიქიური ჰარმონიისა, რომელსაც ეროვნება ეწოდება და არა ჰეტეროგენულ, ერთიმეორისაგან დამოკიდებულ პიროვნებათა მიერ გამოგონილი იარაღი.**

ვუნდტმა აღნიშნა ვილჰელმ ჰუმბოლდტის ღვაწლი, რომელიც ამ მეცნიერს მიუძღვის ენის ფილოსოფიის წინაშე (ვ. ვუნდტი: „ენა და ეროვნება“, ნარკვევები, გამოც. 2, გვ. 27); პირველად ჰუმბოლტმა დაინახა ნათლად ძველი ფილოლოგიის სისუსტე და ნაკლოვანება და დაამტკიცა, რომ **ენა არი არა მარტო შედეგი აზროვნების, არამედ მისი მიზეზიც, „რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, არი არა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იარაღი, რომელიც მზად არი ყოველმხირივ მოსახმარად, არამედ თვით იმ სულიერ მოქმედებაში მდგომარეობს, რომელიც მას შეუწყვეტლად ჰქმნის“.**

...ენა, ისევე, როგორც აზროვნება, აპერცეფციული მოვლენაა და არა ასოციაციური — აი, მოკლედ ის დასკვნა, რომელზედაც მივიდა თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ საღი, ჭეშმარიტი აზროვნების დროს ადამიანი პასიურად კი არ ეძლევა წარმოდგენათა ასოციაციას, არამედ განუწყვეტელი შეგნებული ნებისყოფის შემწეობით ცდილობს, აზრთა მიმდინარეობა იმ კალაპოტში ჩააყენოს, რომელიც მიზანთან ყველაზე ადრე მიიყვანს; ცდილობს ცნებათა და იდეათა სისტემა არქიტექტონულად დედააზრს დაუქვემდებაროს და უსარგებლო ბილიკებზე სვლას ააცილოს. ენაც ამ შინაგანი აპერცეფციული პროცესის გარეგნული გამოხატულებაა: ნებისყოფა, რომელიც დალაგებულ აზროვნებას ჰქმნის, იმავე დროს მას მის გარეგან მხარეს — ენას უსაბამებს.

**დედაენა არი არა შემთხვევითი დამატება ადამიანისა, არამედ თვით იმის აზროვნებასთან ორგანულად შეზრდილი პროცესი, რომლის გამოცვლა თვით იმ აზროვნების ნაჩვევი მიმდინარეობის გამოცვლას მოასწავებს. ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენათა შორის გამოთქმის, სიტყვათა სიმდიდრის, მოდულაციის, ხმის აწევის, ხმის ცვლილების, წინადადების დაწყობის და აშენების მხრივ, წარმოდგება არა რაიმე გარეგნულ უბრალო შემთხვევისაგან, არამედ თვით აზროვნების სხვადასხვაობისაგან.** მაგ., ეჭვს გარეშეა, რომ წინადადებას თვითეული ეროვნება ისე აშენებს, როგორც იგი აზროვნებს და სიტყვათა თანდათანობა შეესაბამება ცნებათა თანდათანობას; ამიტომ, ვისაც შეუმჩნევია ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენას შორის ამ მხრივ, წარმოიდ-

**ენის იგივეობა გულისხმობს ნებისყოფის და, მაშასადამე, შემოქმედი სულის და ნიჭის იგივეობას, ენის სხვადასხვაობა — პირიქით, ნებისყოფის და მასთან ერთად ნიჭისა და სულის სხვადასხვაობასაც. აქედან ცხადად ჩანს მთელი ტრაგიზმი და საშინელება იმ ეროვნების მდგომარეობისა, რომელსაც აძალებენ, მისი ფსიქიური ბუნებისათვის სრულიად უცხო და შეუსაბამელი ენის ტერმინებში იაზროვნოს; ტრაგიზმი ნორჩი თაობისა, რომელიც იძულებულია, თავისი ახალი ფრთაგაშლილი აზროვნება სხვის მიერ შექმნილს კალაპოტში ჩასვას. ესაა მუდმივი დისჰარმონია ადამიანის სულიერ შინაგრძნობასა და მის გარეგნულ გამოხატულებას შორის. მუდმივი ბრძოლა ფორმისა შინაარსთან, სურვილისა ასრულებასთან, — უსიტყვო, აუჩქარებელი, ფარული დრამა, რომელიც აუცილებლად პიროვნების დამახინჯებით თავდება.**

**კაცობრიობის განვითარება არის შეუჩერებელი ზრდა ამ სულიერი ერთობისა. ეროვნებანი ჰქრებიან და თან მიაქვთ თავიანთი მატერიალური კულტურა: ის კი, რაც მათს ნიჭსა და თავისებურებას შეუქმნია დიადი და გენიოსური, სულიერი კულტურის სფეროში, ხელუხლებელ საუნჯედ რჩება მსოფლიო გონებრივ სალაროში; ამ ნაყოფიერების საშუალებით მათი ორიგინალური სული სამუდამოდ რჩება კაცობრიობის განვითარების ფაქტორად.**

გენს დაახლოებით მაინც, რა დიდი უნდა იყოს განსხვავება მის შემქნილ ეროვნულ ფსიქიკათა შორის.

ენის იგივეობა გულისხმობს ნებისყოფის და, მაშასადამე, შემოქმედი სულის და ნიჭის იგივეობას, ენის სხვადასხვაობა — პირიქით, ნებისყოფის და მასთან ერთად ნიჭისა და სულის სხვადასხვაობასაც. აქედან ცხადად ჩანს მთელი ტრაგიზმი და საშინელება იმ ეროვნების მდგომარეობისა, რომელსაც აძალებენ, მისი ფსიქიური ბუნებისათვის სრულიად უცხო და შეუსაბამელი ენის ტერმინებში იაზროვნოს; ტრაგიზმი ნორჩი თაობისა, რომელიც იძულებულია, თავისი ახალი ფრთაგაშლილი აზროვნება სხვის მიერ შექმნილს კალაპოტში ჩასვას. ესაა მუდმივი დისჰარმონია ადამიანის სულიერ შინაგრძნობასა და მის გარეგნულ გამოხატულებას შორის. მუდმივი ბრძოლა ფორმისა შინაარსთან, სურვილისა ასრულებასთან, — უსიტყვო, აუჩქარებელი, ფარული დრამა, რომელიც აუცილებლად პიროვნების დამახინჯებით თავდება.

არსებობს სულიერი ურთიერთობა კულტურული კაცობრიობისა, სულ სხვა პრინციპებზე აშენებული, ვიდრე მატერიალური ურთიერთობა, თუმცა მასზე უფრო მჭიდრო და გავლენიანი; მატერიალური ინტერესები მხოლოდ სივრცის და დროის ვიწროდ შემოფარგლულ წრის საზღვრებში აკავშირებენ, სულიერი ინტერესები კი ჰქმნიან სივრცისა და დროის შემთხვევითი საზღვრებისაგან დამოუკიდებელ სულიერ ერთობას. იქ ბრძოლა და წინააღმდეგობაა, აქ — განსხვავებულ ეროვნულ ძალთა სრული ჰარმონია. **კაცობრიობის განვითარება არის შეუჩერებელი ზრდა ამ სულიერი ერთობისა. ეროვნებანი ჰქრებიან და თან მიაქვთ თავიანთი მატერიალური კულტურა: ის კი, რაც მათს ნიჭსა და თავისებურებას შეუქმნია დიადი და გენიოსური, სულიერი კულტურის სფეროში, ხელუხლებელ საუნჯედ რჩება მსოფლიო გონებრივ სალაროში; ამ ნაყოფიერების საშუალებით მათი ორიგინალური სული სამუდამოდ რჩება კაცობრიობის განვითარების ფაქტორად.**

ამ მხრივ ეროვნება უკვადავია. ძველი საბერძნეთის მატერიალური კულტურა დიდი ხანია დაიღუპა, გაწყდა ეკონომიურ ინტერესთა ნასკვი, რომელსაც შეეძლო დაეკავშირებინა კლასიკური ქვეყანა შემდეგ თაობებთან, მაგრამ ელინური სული მაინც ცხოვრობს კლასიკური მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის და მითოლოგიის სახით, როგორც უდიდესი კულტურული ძალა ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისაკენ მამოძრავებელი. თვით ჩვენი სამშობლოს წარსული მატერიალური მდგომარეობა მოქმედებს ჩვენს დღევანდელ ნაციონალურ არსებობაზე არა პირდაპირ, არა უშუამავლოდ, არამედ სოციალ-ფსიქიური გამოცდილების შემწეობით, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობამდე იზრდება და მრავალფეროვნდება. მატერიალური კულტურა წინ მიდის და მისი განვითარების ერთი საფეხური უარყოფს მეორეს, ეროვნება კი, მიუხედავად ამისა, ირჩენს იგივეობას და ნათესაობას თავის წარსულთან სულიერი შემოქმედების საშუალებით.

რა გვაერთებს მაგ., ჩვენ ჩვენი აღორძინების ხანასთან, გარდა იმ ორიგინალური სულიერი კულტურისა, რომელმაც უმშვენიერესი და უმაღლესი (მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ერთადერთი) გამოხატულება ჰპოვა მაშინდელ ლიტერატურულ შემოქმედებაში. ეკონომიურ ინტერესთა მთლიანობა, რასაკვირველია, დარღვეულია, სავსებით უარყოფილია ის საფეხური მატერიალური განვითარებისა, რომელზედაც ჩვენი შორეული წინაპარნი იდგნენ, მაგრამ ათასი ხილული და უხილავი ძაფი აკავშირებს მთელ ჩვენს ფსიქიურ არსებობას წარსულ თაობათა არსებობასთან შეგნებულადაც, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად მალულად, შეუგნებლად. ჭეშმარიტების ძიებაში, ეთიკურსა და ესთეტიკურ დაფასებაში, უდიადეს სიკეთეთა და მშვენიერებათა აღიარებაში, გრძნობაში, აზროვნებაში, რწმენაში და სასოებაში, ყველა ამ მხარეში აღმოჩნდება თანდათანობა და თავისებურება, საჭიროა მხოლოდ მისი ისტორიის და მრავალმხრივობის შეგნებულად შესწავლა და გათვალისწინება. ეს შესწავლა გვაპოვნინებს სავსებით ჩვენს თავს, ჩვენს ეროვნულ „მეს“ და შეგვაძლებინებს ორიგინალურსა და განათლებული კაცობრიობისათვის შესაფერ შემოქმედებას, უნიჭო და საცოდავი წაბაძულობის მაგივრად.

**ეროვნული სულის დამოკიდებულება და რეალობა თითქმის არსად არ იხატება ენის გარეშე ისე აშკარად და თვალსაჩინოდ, როგორც ესთეტიკურ სფეროში, არსად არ ჰქმნის თვითეული ეროვნება ისე დამოუკიდებლად თავისი საკუთარი არსების სიღრმიდან, როგორც აქ, მიუხედავად**

**იმისა, რომ ესთეტიკური ნიჭი და მშვენიერებისადმი ლტოლვა ისეთივე საყოველთაო საკაცობრიო ფსიქიურ მომენტს წარმოადგენს, როგორც ლტოლვა ჭეშმარიტებისა ან უმაღლესი სიკეთისადმი.** კიდევ მეტი: იგი ელემენტარულია და უძლეველი და ბუნებრივი პირველყოფილობით მოქმედებს თვით თავის უდიდეს გამოხატულებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რა უზარმაზარი განსხვავება არსებობს სწორედ ესთეტიკური კულტურის მხრივ სხვადასხვა ეროვნებას შორის...

მეცნიერება ობიექტური ჭეშმარიტების თვალსაზრისით მუშაობს; არსებობს თუ არა ასეთი ჭეშმარიტება. ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში ყოველი დარგი მეცნიერებისა აუცილებლად გულისხმობს მის არსებობას. ხელოვნება, პირიქით, ჰქმნის სუბიექტური ღირებულების მიხედვით და მისი სინამდვილე სრულიად შეუდარებელია ჩვეულებრივ სინამდვილესთან. თავისი მიზნის მისაღწევად მეცნიერება მუშაობს ობიექტურ წარმოდგენათა და ცნებათა სისტემით, ხელოვნება კი, პირიქით, ფანტაზიის ფორმებში განსხვავებული სუბიექტური გრძნობების სურათებით. მეცნიერი ცდილობს, სინამდვილე ისე შეიგნოს, როგორც ის არსებობს თავისთავად, სუბიექტური მხედველობის და შეთვისების დამოუკიდებლად; ესთეტიკოსი, პირიქით, ცდილობს, დაგვანახოს იგივე სინამდვილე, როგორც იგი მას ეჩვენება, გაატაროს ის ადამიანურ გრძნობათა პრიზმაში და იმის შემადგენელ ელემენტებიდან მხოლოდ ის მხარეები აირჩიოს, რომელიც შემომქმედი ფანტაზიისთავის გამოსადეგია ესთეტიკური სამეფოს ასაშენებლად.

მეცნიერების მიერ მიღწეული საყოველთაოდ სავალდებულო რეზულტატები მოწმობენ ადამიანის აზროვნების ძირითადი კანონებისა და პრინციპების იგივეობას, ხელოვნების მიერ შექმნილი ნაწარმოებნი კი გრძნობათა და ფანტაზიის მოქმედების განუზომელ სიმდიდრეს და მრავალმხრივობას. მთელ თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებას, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებას და მათემატიკას, საძირკვლად რამდენიმე მარტივ დებულებათა სისტემა უძევს, რომელთა ჭეშმარიტება საყოველთაოდ აღიარებულია. მთელი თანამედროვე ესთეტიკური კულტურა, პირიქით, დაფუძნებულია ეროვნულ შეხედულებათა და გემოვნებათა დაუშრეტელ სიმდიდრეზე, რომლის აუცილებლობა და საჭიროებაც არა ნაკლებ საყოველთაოდ მიჩნეულია.

**ყოველი ესთეტიკური კულტურა ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არც ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას.** ამ აზრის დამამტკიცებელი მაგალითი ბევრი იცის ხელოვნების ისტორიამ, ჩვენთვის კი საკმაო იქნება ეგრეთწოდებულ ცრუკლასიკურ მიმართულებაზე მივუთითოთ მხატვრობაში, ქანდაკებაში და პოეზიაში. სანამ ახალი ეროვნული ესთეტიკური აზროვნება არ განთავისუფლდა იმ წინასწარ ყალბი რწმენისაგან, რომ მშვენიერების აბსოლუტური იდეალი უკვე სავსებით მიღწეულია ბერძნების მიერ, რომ ამ მხრივ წინ ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია, რომ სხვა ეროვნებებს მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ წაბაძონ ფიდიასის და ლიზიპოსის, ესქილეს და სოფოკლეს, ჰორაციუსის და ვირგილიუსის მიერ შექმნილს ნიმუშებს, საეჭვოდ გახდა არა მარტო ზრდა და წინსვლა, არამედ თვით არსებობაც კი ხელოვნებისა.

აბსტრაქტული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ცნება მშვენიერების გაქრობას უქადდა ფერთა და ფორმათა სიმდიდრეს, გრძნობათა და განცდათა მრავალმხრივობას, მოულოდნელობას უჩვევ ესთეტიკურ მოვლენათა შექმნაში, ელემენტარობას და პირდაპირობას კონკრეტულ გამოხატულებაში, ყველა იმ დიად თვისებას, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ყოველი ნამდვილი ხელოვნება. **ესთეტიკური კულტურის წინსვლა და დღევანდელი მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოქმედმა პიროვნებამ ხელოვნებაში შეიგნო ნაციონალური მომენტის მნიშვნელობა და დაეწაფა ხალხური გენიოსობის დაუშრეტელ წყაროს, რომელიც ხშირად შეუგნებლად, მაგრამ თავისებურად შობს დიადსა და ორიგინალურს.**

რადგა ესთეტიკურ შემოქმედებას საძირკვლად ფანტაზიის და გრძნობის მოძრაობა უძევს, ესენი კი, ფსიქიური ცხოვრების ყველაზე მეტად დამახასიათებელი მხარეები არიან, ამიტომ **ეროვნული სულის ინდივიდუალობა არსად არ იხატება ისე ნათლად, როგორც ხელოვნებაში.** ამ მხრივ ეროვნება მართლაც სავსებით განუმეორებელია. იტალიელ ერს — მშვენიერი სხეულის თაყვანისმცემელს, მის ნიჭს მწყობრი, ჰარმონიული ფორმის შექმნაში, მის სიძულვილს განყენებული, უსისხლხორცო იდეისადმი, მის ნაკლებად ფილოსოფიურ და უფრო მხატვრულ, ნაკლებად ასკეტურ და ტრანსცენდენტურ, უფრო ამქვეყნიურ და იმანენტურ ლტოლვას და გენიოსობას არაფერი ახასიათებს ისე კარგად, როგორც ის არსებითად წარმართი ხელოვნება, რომელბშიაც მიქელ ანჯელომ, რაფაელმა, ლეონარდომ და სხვებმა გამოხატეს თავიანთი განცვიფრება და აღტაცება ჯანსაღი, ტიტველი ტანის წინაშე.

პიროვნება იბადება და კვდება, ერთი თაობა მეორე თაობას სცვლის, ეროვნება კი იჩენს თანდათანობას და იგივეობას ამ ცვალებადობაში; თავის სულიერ შემოქმედებაში კი ის ხშირად სტოვებს სფინქსივით უცნაურ ძეგლს, ან უკვდავების უზრუნველმყოფელ პირამიდას იდგამს... დღეს შემოქმედმა პიროვნებამ, დროის ამ ახალსა და რთულ ვითარებაში რწმენისა და იმედის სულ სხვა წყაროს აღმოჩენა უნდა შესძლოს.

**1909 წ. გაზ. „დროება“.**

# ეკლესიათა მოამაგენი

**მამა-შვილს — გურამ და ლექსო მღებრიშვილებს არაერთი ეკლესია და მონასტერი აქვთ მოხატული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ესენია: ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურისა და ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთის წმინდა გიორგის ეკლესიები; სოფელ უდეში — წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი; სამეგრელოში, წაჩხურუს ტყეში — მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია; ჭყონდიდის გარეუბანში — ნაფოსტარის წმინდა გიორგის ტაძარი; სობისი — გორის რაიონში; სურამში — მამათა მონასტერი და სხვ.**

წაჩხურუში და სურამში მათთან ერთად მუშაობდა **მამა იოსებ ჯინ-ჭარაძე**, რომელსაც ბატონი გურამი მადლიერების გრძნობით იხსენიებს. მისგან ბევრი რამე ვისწავლე, რადგან ფრესკული მხატვრობის დიდი გამოცდილება ჰქონდაო.

ლექსო იხსენებს: „ძალიან რომანტიული იყო წაჩხურუს ტყეში, მთავარანგელოზის მე-10 საუკუნის ეკლესიაში მუშაობის პერიოდი. ეს იყო სამეგრელოს უკიდურესი სოფელი, რომლის იქითაც უკვე სვანეთის მთები მოჩანდა. ტყის განაპირას, ორმოცდაათ–ას მეტრში მოჰქუხდა ჩანჩქერის კასკადები. ხშირად ცხრა–ათი დღე გადაუღებლად თოვდა ან წვიმდა. წვიმას ჩოხადამპალას ეძახდნენ. მოდიოდა ჩოხადამპალა, კოკით და თქეშით, ჩვენ კი, ამ სიცივეში, ეკლესიაში ხატებს ვწერდით. ღამის თორმეტ-პირველ საათამდე ლამპებითა თუ სანთლებით ვმუშაობდით. გარეთ მონადირეებს დათვების სარეკი ჰქონდათ მოწყობილი. ერთხელ ღამით გვიან დავბრუნდით სახლში და მეორე დღეს, ახალ დაფიფქულზე, ჩვენს კვალს ადევნებული მგლის ნაკვალევი შევნიშნეთ. ეტყობა, მარტო რომ იყო, იმიტომ ვერ გაბედა თავდასხმა“.

## მეფეთა მხატვარი

ბატონ გურამს მეფეთა პორტრეტებისა და მეფე წმინდანთა ხატების მთელი სერია აქვს შექმნილი. დახატული აქვს ასევე დედოფლები: ნანა, თამარი, ქეთევანი, შუშანიკი, რუსუდანი. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ქალაქ რუსთავის ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტებმა ლერი ბარათელმა და თემურ კობახიძემ კალენდრისათვის გაერთიანებული საქართველოს მეფეთა პორტრეტები შეუკვეთეს. ამ დროს შექმნილი მეფეთა პორტრეტები გამოირჩეოდა მკვეთრი ინდივიდუალური ხასიათით. ყველა მეფეს ჰქონდა ორიგინალური, ვაჟკაცური და ამასთან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხიბლი. როდესაც ეს სურათები იხილა ქველმოქმედმა ზურაბ ლილუაშვილმა, გადაწყვიტა მისთვის ეთხოვა, დაე-

წერა მეფეთა პორტრეტები წიგნისთვის „ბრძოლებში სახელგანთქმული ბაგრატიონთა გვირგვინოსნები“. ამ ამოცანასაც ბატონმა გურამმა თავი წარმატებით გაართვა. მან შექმნა, აგრეთვე, არაერთი მეფე წმინდანის ხატი: კონსტანტინე და ელენე, ბიბლიური დავითი და სოლომონი. ქართველი წმინდა მეფეები.

„მეფეთა პორტრეტებზე მუშაობა რთულია. რადგან ჩვენი ჟამთააღმწერლები ძალიან ზოგადები არიან მეფეთა გარეგნული პორტრეტების აღწერაში, იძულებული ხარ, შექმნა საკუთარი ვერსია. ზუსტი და დეტალური აღწერილობა მეფეთა გარეგნობისა ხომ ხშირ შემთხვევაში არ არის შემონახული. ამიტომაც ყოველი პორტრეტის შექმნის წინ ჯერ თეორიულად ვემზადები. ვცდილობ, მათ ბიოგრაფიას ჩავუღრმავდე. წმინდა მეფეთა ხატების წერის დროს მუდამ ვაკეთებ იდეალიზაციას. მკვეთრი ინდივიდუალიზმი უკანა პლანზეა. ვცდილობ, მლოცველს მივაწოდო ისეთი სახეები, რომ მას ამაღლებული განწყობილება შეექმნას“.

მხატვარი და ხატმწერი ხშირად ამ კუთხით ადამიანთა სახეებსაც აკვირდება. სამეგრელოში, წაჩხურუს მთავარანგელოზთა ტაძრის მოხატვის დროს გაიცნო გიგლა, — 82 წლის ულამაზესი მოხუცი. იგი მდინარე ტეხურას ხიდზე გადადიოდა და ასე ჩადიოდა ქყონში, ბაზრობაზე. „გაივლიდა იქით-აქეთ ცხრამეტ-ოც კილომეტრს და საღამოს კიდევ თხებს დასდევდა მთებსა და ტყეებში. გიგლა უთუოდ გამოდგებოდა რომელიმე მეფის პროტოტიპად“, — ფიქრობს ის.

ბატონი გურამისთვის, ისევე, როგორც, ალბათ, უმეტესი ხატმწერისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის თემა. თავის მიერ შექმნილი დავითის ხატებთან დაკავშირებით, მიუხედავად სხვათა მოწონებისა, დღემდე უკმაყოფილოა. სამაგიეროდ, თვლის, რომ ჭიათურის ხარების ეკლესიის კედელზე აღბეჭდილი დავითის ფრესკაზე დავითი მართლაც დავითსა ჰგავს. მეფე წმინდანთა ხატების სერიაში აღსანიშნავია თამარის ხატი. ავტორის აზრით, აქ კარგად ჩანს თამარის შინაგანი სიმტკიცე, განსხვავებით, ვთქვათ, ქეთევან მაღალაშვილის თამარის პორტრეტისაგან, რომელიც სინაზით გამოირჩევა.

## მართლმადიდებლური და კათოლიკური ხატწერა

ხატწერული ტექნიკის სრულყოფის მიზნით ბატონი გურამი ხშირად ცდილობს, ჩაუღრმავდეს სხვადასხვა სახელოვნებო თეორიებს. საინტერესოა მისი მსჯელობა მართლმადიდებლური და კათოლიკური ხატწერის თაობაზე:

„მართლმადიდებლური ხელოვნება ყველა დარგში ზოგადია, განსხვავებით კათოლიკური ხელოვნებისგან, რომელიც ზენატურალიზმამდეა დასული. მართლმადიდებლობაში მთლიანობის განცდაა. ყველაზე ამაღლებული სისტემები, ეგვიპტური, შუამდინარული, განზოგადოებაზეა დამყარებული. ცალკე მთაა ერთი. ცალკე მეორე. ცალკე მესამე. მართლმადიდებლური კანონიკა არ უნდა დაირღვეს, თორემ ისე სხვა ხელოვნებიდანაც შეიძლება შეითვისო ისეთი რამ, რაც გამოადგება მართლმადიდებლობას. ხატწერის სტილისტიკა და კანონიკა პირდაპირ კავშირშია სიბრტყეზე ასახვის ხელოვნებასთან, განსხვავებით დასავლური კულტურისაგან, სადაც არის მცდელობა სიბრტყეზე სივრცის ილუზიის შექმნისა. ხატწერის მართლმადიდებლური სკოლა უფრო გულწრფელი, ჭეშმარიტი და ფუნქციონალურია. სიბრტყეზე სიბრტყით უნდა იაზროვნო და სივრცეზე სივრცით.

მართლმადიდებლური კულტურა ცალკე უზარმაზარი ოქროს ზოდია მსოფლიო კულტურის საგანძურში. და ამ ოქროს ზოდს აქვს თავისი განსაკუთრებული კანონები და დოგმატიკა. ეს არის ის ჩარჩოები, რომლებიდანაც ხატმწერი არ უნდა გამოვიდეს. ეს არის კეთილი ზღუდეები ხატმწერისათვის“.

## ყველაზე მნიშვნელოვანი ღვაწლი

გარდა მხატვრობისა და ხატწერისა, ბატონი გურამი ჭედურ ხელოვნებაშიც მუშაობს, ხეზე კვეთაზეც. საკუთარი ხელით იგონებს და ამზადებს ათასგვარ ხელსაწყო-იარაღებს. მის სახლში საყოფაცხოვრებო ავეჯიც, თავისი ორიგინალური დიზაინით მის მიერაა დამზადებული.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ყველაზე მნიშვნელოვან ღვაწლად ათონის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის პერანგის მოჭედილობას თვლის. ხატი ათონის მთაზე დაიწერა და პატრიარქის კურთხევით მისი მოჭედილობა ბატონმა გურამმა შეასრულა. ათი წელი გაგრძელდა მასზე მუშაობა. ხატის საბოლოო ადგილსამყოფელი მახათას მონასტერი იქნება. ამჟამად კი, დროებით, სიონშია დაბრძანებული.

მეფეთა მხატვრის ოცნებაა, საქართველოს ისევ მიჰმადლოს უფალმა დიდ მეფეთა მსგავსი მმართველი, რომელსაც ყველა გულმხურვალე მამულიშვილთან ერთად ჩვენც ვუერთდებით. ღმერთმა მოგვმადლოს. ამინ!!!

**ნინო ტარყაშვილი**
**Georoyal.ge**

ანზორ თოთაძე

# რას ფიქრობენ ახალგაზრდები

**უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადში მნიშვნელოვნად შეიცვალა ახალგაზრდების შეხედულებები საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე. ბევრი, მარადიულად მიჩნეული ფასეულობა, რომელიც დაკავშირებული იყო კომუნისტურ წყობასთან, ახალგაზრდებს აღარ აინტერესებთ, მოხდა მათი გადაფასება. ამავე დროს ძირითადი ფასეულობები კვლავ რჩება ახალგაზრდების ცხოვრების არსის საფუძვლად.**

## ყველაზე ფასეული

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისათვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია **პროფესიული ზრდის პერსპექტივა.** ასე თვლის გამოკითხული სტუდენტების ნახევარზე მეტი — 58,4 პროცენტი (ვაჟები — 36,3 პროცენტი, ქალები 67,5 პროცენტი). 2003 წლის გამოკითხვის დროს ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო — 33,1 პროცენტი (ვაჟები — 2,7 პროცენტი, ქალები — 38,9 პროცენტი) და 10 წელიწადში იგი 25,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ეს გასაგებია, რადგან სოციალისტური წარმოების წესის დროს არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ ნაკლებად პროფესიონალები დასაქმებულიყვნენ თანამდებობებზე. ამის შესაძლებლობა კერძო საკუთრების პირობებში სულ უფრო მეტად იზღუდება.

**ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში დიდ კრიზისს განიცდის, ქართველი სტუდენტებისათვის ცხოვრებაში თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანია** — ასე მიაჩნიათ გამოკითხული სტუდენტების 56,7 პროცენტს, მათ შორის რესპონდენტი ვაჟების 62,2 და ქალების 54,4 პროცენტს.

**სტუდენტებს შორის მაღალი რეიტინგით სარგებლობს ადამიანის ისეთი თვისებები, როგორიცაა პატიოსნება და კეთილსინდისიერება.** გამოკითხული სტუდენტების 55,5 პროცენტისთვის ეს თვისებები ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია. აღნიშნული მაჩვენებელი 2003 წელს 48,5 პროცენტს უდრიდა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სამსახური ვაჟებს, ქალებთან შედარებით, როგორც 2013, ისე 2003 წელს, გამოკვლევის მონაცემებით, ორჯერ უფრო მეტად მიაჩნიათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად. კერძოდ, 2014 წელს ვაჟების 36,7 და ქალების 18,0 პროცენტი თვლის, რომ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის სამსახური. 2003 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 32,2 და 16,8 პროცენტს უდრიდა.

თანამედროვე პირობებში ბიზნესის წარმოებისათვის მთავარი პირობაა გარკვეული რაოდენობით ფულადი სახსრების მობილიზება. მიუხედავად ამისა, **ქართველი ახალგაზრდებისათვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის რაც შეიძლება მეტი ფულის გაკეთება.** მართალია, 2003 წელთან შედარებით პროცენტულად სტუდენტთა მეტ რაოდენობას სურს მეტი ფულის გაკეთება, მაგრამ გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ ყოველ მეხუთეს (21,8 პროცენტი, მათ შორის ვაჟი — 29,6 პროცენტი, ქალი — 18,4 პროცენტი) მიაჩნია ფულის კეთება ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად, რომელმაც ფასეულობათა რეიტინგში ბოლო ადგილი დაიკავა. **ფულის კეთებაზე მეტ მნიშვნელობას ახალგაზრდები ანიჭებენ ოჯახზე ზრუნვას, პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებას, პროფესიული ზრდის პერსპექტივას, მოყვასისადმი დახმარებასა და ქველმოქმედებას და სხვა ადამიანურ ფასეულობებს.**

სტუდენტთა ძირითად მასას ეკონომიკურად არც მაინცდამაინც უჭირს — ასე მიაჩნია სტუდენტთა 58,6 პროცენტს (ვაჟები — 61,2 პროცენტი, ქალები 57,5 პროცენტი), არ უჭირს 24,8 პროცენტს, ხოლო უჭირს 16,5 პროცენტს. აღნიშნული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ გაჭირვებული ოჯახების შვილების დიდი რაოდენობა ვერ ღებულობს უმაღლეს განათლებას, რადგან ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობის წილი ბევრად მეტია მთელ მოსახლეობაში, ვიდრე გაჭირვებული სტუდენტებისა სტუდენტთა საერთო რაოდენობაში. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ბევრ ახალგაზრდის ნიჭი და ეროვნული ენერგია, იმის გამო, რომ სწავლის საფასურის გადახდა არ შეუძლია, იკარგება და უაზროდ იფლანგება.

**სტუდენტთა დიდი ნაწილი მომავალი ცხოვრებისადმი ოპტიმისტურადაა განწყობილი.** მათ დიდ უმრავლესობას 57,4 პროცენტს (ვაჟი — 61,2 პროცენტი, ქალი 55,7 პროცენტი) მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში შეძლებს საკუთარი კეთილდღეობის მიღწევას, 41,7 პროცენტის აზრით — ნაწილობრივ შეძლებს, ხოლო 3 სტუდენტს (0.9 პროცენტი) კეთილდღეობის გაუმჯობესების იმედი არ აქვს. 2013 წელს, 2003 წლის მონაცემებთან შედარებით, სტუდენტი ქალე-

ბი უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

## ემიგრაციული და იმიგრაციული სიკვდილი

ისტორიულად ქართველი კაცი იშვიათად ტოვებდა თავის ქვეყანას. ისტორიული საბუთებით ცნობილია, რომ, როდესაც მეტი გამოსავალი აღარ იყო, ქართველი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აიყრებოდა და სხვა ქვეყანაში გადასახლდებოდა საცხოვრებლად, მაგრამ თავის ქვეყანაზე ფიქრი და მისი მონატრება არასოდეს ასვენებდა უცხოეთში გადაკარგულს. დავით გურამიშვილი ცხოვრების მიწურულს, მარტოსულის მწარე ხვედრით დამძიმებული, შორს, მირგოროდის მახლობლად, სოფელ ზუბოვკაში, ხოროლისპრა ქოხში წერს სამშობლოს უდიდესი სიყვარულით გამთბარ საოცარ სტრიქონებს: „სახით სიტყვა შვენიერო, სხიო მზეთა — მზის სახეო, ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო, გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო“. ასეთივე ვედრებით მიმართა დიდმა აკაკიმ თავის სათაყვანებელ მშობელ ქვეყანას: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“. მართლაც, მხოლოდ ბედუკუღმართობა თუ მოსწყვეტდა ქართველს თავის ქვეყანას, მაგრამ უცხო მიწა-წყალზე იგი ვერასოდეს ხარობდა და მისი უკანასკნელი სურვილი იყო, საუკუნო განსასვენებელი მშობლიურ მიწაში ეპოვნა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ქართველი კაცი ვერ ცვლის თავის ქვეყანას „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. როგორც დემოგრაფიული მონაცემები ცხადყოფს. იშვიათად რომელიმე ერს ეცხოვროს ისე მთლიანად და თავმოყრილად თავის სამშობლოში, როგორც ქართველებს.

ყოველივე ეს, უპირველესად, იმ უცილობელი ფაქტითაა განპირობებული, რომ უხსოვარი დროიდან ქართველ ხალხს მიწათმოქმედების მაღალი კულტურა ჰქონდა და „ადგილის დედის“ სიყვარული ძვალსა და რბილში გაუჯდა. ისიც უცილობლად მნიშვნელოვანია, რომ მთელი თაობები სისხლის ფასად იცავდა და ინარჩუნებდა თავის მიწა-წყალს. ქართველმა ხალხმა თავის მიწაზე უდიდესი შრომითა და გარჯით შექმნა დიდი მატერიალური და სულიერი ფასეულობები, რამაც კიდევ უფრო მიაჯაჭვა იგი მშობლიურ მიწა-წყალს და თუ ქართველებს მაინც უხდებოდათ ცხოვრება სამშობლოს გარეთ, ეს უკვე ჩვენი ერის მძიმე ხვედრით იყო გამოწვეული.

ჩვენი უძველესი ლიტერატურული ძეგლები, ხალხური ზეპირსიტყვიერება სამშობლოს სიყვარულის არნახული გამოვლინებით არის სავსე. ძნელად თუ მოიპოვება სადმე პარალელი იმ დიდი შინაგანი განცდისა, რომელსაც გრძნობს VIII საუკუნის მოღვაწე იოანე საბანისძე თავისი ქვეყნის, თავისი ერის უმძიმესი მდგომარეობის გამო. კერძოდ, VIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში არაბებისა და სპარსელების მოზღვავებაა. დიდი მამულიშვილი იოანე საბანისძე ხედავდა, რომ აღარ „იყო ზრუნვა სულიერი“ და უცხო ტომისა და ხალხის მოძალების ჟამი იდგა, ქართველ ხალხს აშკარად გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა. ამ საფრთხესა და გადაგვარების გზაზე დამდგარ ელემენტებს იოანე საბანისძემ „ღონეი სიტყვისაი“ დაუპირისპირა: „აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესაგან... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა“. მან გამოაფხიზლა ქართველი ხალხი და საკუთარი სახის დაკარგვის მოსალოდნელი საშიშროება დაანახა. მრავალი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება ჩვენი წარსული ცხოვრებიდან.

ადამიანებს ყოველთვის ამოძრავებდათ საკუთარი კუთხის, სამშობლოს მიწა-წყლის სიყვარული. მის დასაცავად სიცოცხლესაც არ იშურებდნენ. ცნობილია, რომ დიდი პოლონელი კომპოზიტორის, შოპენის ანდერძის თანახმად, პარიზიდან მისი გული ვარშავაში გადაასვენეს.

სამშობლოს სიყვარულმა დიდი და პატარა ქვეყნები არ იცის. სამშობლოს სიყვარულის განზოგადებული მაგალითი მოჰყავს გამოჩენილ დაღესტნელ პოეტს, რასულ გამზათოვს, თავის შესანიშნავ წიგნში: „ჩემი დაღესტანი“:

„დე მაპატიონ ინდოეთის პაგოდებმა, ეგვიპტის პირამიდებმა და იტალიის ბაზილიკებმა, მაპატიონ ამერიკის ავტოსტრადებმა, პარიზის ბულვარებმა, ინგლისის პარკებმა და შვეიცარიის მთებმა, მაპატიონ პოლონელმა, იაპონელმა და რომაელმა ქალებმა — თუმცა, ვტკბებოდი თქვენით, გული მაინც მშვიდად ცემდა; ხანდახან ოდნავ თუ ამიჩქროლდებოდა, ისე კი არა, რომ ყელი გამშრობოდა და თავბრუ დამხვეოდა.

ახლა კი, კლდეების ფეხთით შეყუჟული სამოცდაათი ქოხი დავლანდე, რატომ შემიქანდა გული ისე ძალუმად, რომ ნეკნებში გამიარა მწველმა ტკივილმა, თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამეხვა, თითქოს მთვრალი ვიყო ან ავადმყოფი.

ნუთუ დაღესტნს პატარა აული ვენეციაზე, ქაიროსა და კალკუტაზე უფრო მშვენიერია? ნუთუ ბილიკზე მიმავალი ზურგზე ფიჩხკმოკიდებული ხუნძი ქალი უფრო მშვენიერია, ვიდრე მაღალ-მაღალი, ოქროსფერთმიანი სკანდინავიელი?

ცადა, დავეხეტები შენს მინდვრებში და დილის ცივი ცვარი მისუსხავს დამაშვრალ ფეხებს. მთის ნაკადულები რაა, წყაროს წყალს ვისხურებ პირზე... შენ წყარო ხარ, ცადა, მუხლებზე გიჩოქებ და მხურვალე ბაგეებით გეწაფები“.

აი, ეს არის ის, რასაც ადგილის დედის, შენი სამშობლოს და ერის სიყვარული ჰქვია და, თუ კაცი, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, ან ჭკუანაკლები არ არის, ან რომელიმე პარტიის პროგრამით ხელფეხშებორკილი, არ შეიძლება ამ სიყვარულს რაიმე შეუტოლოს, იგი უსაზღვრო და უნაპირო.

ახლა საკითხავია, VIII და უფრო ადრინდელი საუკუნეებიდან დაწყებული, XXI საუკუნემდე რა შეიცვალა სამშობლოს სიყვარულში; — არაფერი. მხოლოდ 2004 წლიდან 2013 წლამდე „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება თავისი ინსტიტუტებით თავგამოდებით ცდილობდა ამ გრძნობის ჩაკვლას, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებში. ჩნდება კითხვა: რატომ ჩავუკალით ჩვენს ახალგაზრდობას ქვეყნის მომავალზე ზრუნვისთვის ფიქრი? რატომ ვთავაზობდით მათ ასე მონდომებით ქუჩის კონცერტებს, სამარცხვინო, ადამიანური ღირსების, ქართული სულიერებისაგან დაცლილ შოუებს?

**რატომ უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების წესის განმსაზღვრელი, ცალ ყურზე საყურედაკიდებული ვიღაც შოუმენი?** რატომ გვიდგენენ, გამონაკლისის გარდა, ჩვენი ცხოვრების წესს თეძოებით მოაზროვნე მოდელები და ჰოლივუდის უწიგნური მსახიობები? და კიდევ რამდენი „რატომ" შეიძლება ითქვას. ყველაფერი ეს ხელისუფლებას სჭირდებოდა, რათა ახალგაზრდობა დაეყვანა პრიმიტიულ აზროვნებამდე, როცა ინგრევა და მახინჯდება ახალგაზრდობის ფსიქიკა, როცა მას აღარ აინტერესებს სამშობლოს ბედ-იღბალი, ეროვნული ფასეულობები, ოჯახი და ხდება ზნეობრივად გაღარიბებულ სამყაროში მცხოვრები პიროვნება, რომლის მართვაც ადვილია.

**ეროვნულობა, უპირველეს ყოვლისა, სულიერი კულტურის სფეროში უნდა ვეძებოთ. აქ იჩენს იგი ყველაზე მეტად თავს თავისი წარსულით, აწმყოთი და, თუ გნებავთ, მომავლით. ეროვნული სულიერება განუმეორებელი და დამოუკიდებელი ფენომენია, რომელშიც ასახულია ერის მთელი წარსულის ცხოვრება თავისებურებებითა და სიდიადით.**

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში, როდესაც გლობალიზაციამ, წარსული საუკუნეებისგან განსხვავებით, მართლაც გლობალური მასშტაბები მიიღო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უცერემონიოდ შეიჭრა, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ქვეყნებს თავსატეხი გაუჩინა. გლობალიზაციის პროცესი ერთიანობაში მოიცავს პოლიტიკასაც, ეკონომიკასაც და კულტურასაც.

პოლიტიკის გლობალიზაცია მაინც უდიდესი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით ფორმირდება. მსოფლიო პოლიტიკას ისინი წარმართავენ და ჩვენ თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ რაიმე, თუნდაც მცირეოდენი, წვლილის შეტანა შეგვეძლოს მსოფლიო პოლიტიკაში.

ძველ ბერძენ ისტორიკოსს, პლუტარქეს, აქვს გამონათქვამი: გასაქცევი არის, მაგრამ გააჩნია — ვისთანო. ჩვენ უნდა შევძლოთ გონების დაფილტვრა და ერთი ამოჩემებულად არ უნდა ვაქოთ და მეორე კი დუჟმორეულმა ვაძაგოთ — უნდა დავაბალანსოთ ურთიერთობები ამერიკასა და რუსეთთან.

პოლიტიკური გლობალიზაციის ინტერესებს ვერც ეკონომიკის გლობალიზაციისას გამოვრიცხავთ და ძნელია, ვირწმუნოთ, რომ იგი ყველასთვის ერთნაირად სიკეთის მომტანი იქნება. ეკონომიკური გლობალიზაციის დროსაც პირველი ვიოლინო დიდი და ძლიერი სახელმწიფოების ხელშია, რომელიც თავისი ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტს უქვემდებარებს სხვა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.

პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაცია უდიდეს გავლენას ახდენს კულტურული გლობალიზაციის ფორმირების პროცესზე. ამასთან, თუ ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესები დროში ძირითადად თანხვდება ერთმანეთს, კულტურული გლობალიზაციის ფორმირება მათ დროში აუცილებლად ჩამორჩება, უფრო გვიან მოხდება;

მას გაცილებით მეტი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევს, რადგან საუკუნეობით ადამიანის ცხოვრებაში გამჯდარი ეთნიკური, კულტურული თავისებურებანი გაცილებით ძნელად ექვემდებარება საერთო გლობალურ პროცესს და ეს არც არის საჭირო.

კულტურული გლობალიზაცია თავისთავად უკვე ეროვნულობის გაქრობას, ეროვნულობის ყოველგვარი ნიშანწყლის მოსპობასაც ნიშნავს. შეგვიძლია ამის უამრავი მაგალითიც მოვიყვანოთ ჩვენი ცხოვრებიდან, ხშირად ჩვენივე ბედოვლათობით გამოწვეული. საქართველოს ერთ-ერთ ტელეარხზე რამდენიმე თვე მიდიოდა გადაცემა „საქართველოს ვარსკვლავი". კონკურსანტებს თავი არ დაუზოგავთ უცხოური, ძირითადად, ამერიკული რეპერტუარიდან შერჩეული სიმღერების შესრულებით, სამაგიეროდ, არც ერთი ქართული სიმღერა არ მოუსმენია მაყურებელს. კონკურსანტები, როგორც იტყვიან, შუაზე გაიფხრიწნენ, მათ პირველყოფილი ადამიანის მანჭვაგრეხით აიკლეს სცენა, მაგრამ სამაგიეროდ, გულმოწყალე ჟიურის წევრების ქებათა-ქება დაიმსახურეს. ანდა ავიღოთ კინოფილმები. ადრე ტელეარხები რუსულ, იტალიურ, ფრანგულ, პოლონურ, ინდურ ფილმებსაც კი აჩვენებდნენ, ახლა კი მხოლოდ უაღრესად მარტივი და არაფრისმთქმელი შინაარსის მქონე ამერიკულმა ფილმებმა წალეკეს ტელეარხები.

პოლიტიკურ და განსაკუთრებით ეკონომიკურ გლობალიზაციას, რაოდენ ერთფეროვანი სქემებით უნდა განხორციელდეს იგი, მაინც მეტი მზაობით მიიღებენ ადამიანები და ცივილიზაციები, თუკი ის საყოველთაო სიკეთეს მოიტანს. მართალია, კულტურული გლობალიზაციის დროს ხდება სხვადასხვა ცივილიზაციის ურთიერთშეღწევა და ურთიერთგავლენა, მაგრამ საეჭვოა, ეს პროცესი ბუნებრივად წარიმართოს და გაბატონებულ ცივილიზაციათა კარნახით საერთო გლობალიზაციის პროცესს რაღაც დოზით მაინც არ ემსხვერპლოს ცალკეული ეთნოსისთვის სასიცოცხლო ფასეულობები.

არსებობს კულტურათა გაერთფეროვნების არცთუ უსაფუძვლო საშიშროება. და, თუ მაგალითად, კეთილდღეობის მომტანი ეკონომიკური გლობალიზაცია, როგორი სტანდარტული და ერთფეროვანიც უნდა იყოს იგი, ადამიანებისთვის მისაღებია, მაგრამ კულტურული გლობალიზაცია, მის გამოვლინებათა დიდ უმრავლესობაში, არათუ მისაღები, არამედ გარკვეულად საშიში ხდება კაცობრიობისთვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, 1909 წელს აღნიშნავდა გერონტი ქიქოძე: „კაპიტალისტური საზოგადოების ტექნიკა არსებითად განსაცვირებელი ერთფეროვნებით მეორდება სხვადასხვა ერის წარმოებაში, იაპონიიდან დაწყებული ინგლისამდე". ამ გაგებით ეკონომიკური გლობალიზაცია, ეკონომიკური ერთფეროვნება არა თუ მისაღები, არამედ საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი პირობაა, მაგრამ კულტურული გლობალიზაცია, კულტურული ერთფეროვნება დამღუპველია არა მარტო ეროვნულობის, არამედ საერთოდ ნებისმიერი საზოგადოებისთვის. ღმერთმა „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა" და ჩვენი ცხოვრების აზრიც ამაში ჩააქსოვა. აკაკი წერეთელი ღმერთის ამ სა-

ჩუქარს „ფერადოვან კაცობრიობას“, „ფერადოვან მსოფლიოს“ უწოდებდა. თითქოს დღეს იყოს ნათქვამი მისი სიტყვები: „ფერადოვანი კაცობრიობა, სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელ-ფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა! თვითეულ კაცს, თავის ნაციასთან თანშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლია იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ“.

სამშობლო მიწის გარეშე არ არსებობს, ქართული მიწა იგივე სამშობლოა. და როდესაც მიწას ყიდი, მაშინ სამშობლოსაც ყიდი, ამიტომ არის, რომ მთელი კაცობრიობის ისტორია მიწისთვის ბრძოლის, მისი შენარჩუნებისთვის თავდადების ისტორიაცაა. ასეულ მილიონობით ადამიანმა დაღვარა სისხლი თავისი მიწის დაცვისთვის. მრავალი ხალხური სიბრძნეც მიწას დედად მიიჩნევს. ილია ჭავჭავაძეც ბრძანებდა: „ტყუილად კი არ ეძახიან მიწას დედას, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღედა-ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის“.

აკაკი წერეთელი კი მწარედ მოთქვამდა იმის გამო, რომ მტერსა და ორგულს გაატანეს მამაპაპური მიწა-წყალი, „ზოგი გაყიდვით, ზოგი წართმევით, ზოგიც უფლების ჩამორთმევითა და ყველამ კლიტე დაადგა ენას საუკუღმართო აღმაკმევითა“.

პოეტის სამართლიანი მოთხოვნით, არ შეიძლება ქართულ მიწა-წყალთან ხუმრობა (“ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარამარად”), რადგან ერთ გოჯსაც ვერსად ნახავთ რომ ის არ იყოს სისხლით მორწყული და იმის სიღრმეში ჩამარხული ჩვენი წინაპრების სული და გული. იმ პერიოდში მიწის გაყიდვა დიდ ეროვნულ ტრაგედიად მიაჩნდათ და მას უშუალოდ ქართველების არსებობის პრობლემას უკავშირებდნენ. ისევ აკაკი წერეთელს მივმართოთ: „ის ადგილ-მამული, მიწა-წყალი, რომლის გულისთვისაც ჩვენი ძველები თავს იწირავდნენ, დღეს ხელიდან გვეცლება ჩვენისავე დაუდევრობითა და ბედოვლათობით. დღევანდელი საუკუნის ერთი უმთავრესი მოთხოვნილებათაგანი ის არის, რომ ჩვენ ჩენს საკუთრებას ყური ვუგდოთ, ვიშრომოთ, ვიღვაწოთ თავდაუზოგავად, და გარეშეს ხელში არ ჩავაგდოთ-რა“.

ვითარება ამ მხრივ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, მართლაც, რთული იყო. ეს ნათლად ჩანს 1902 წელს ბერლინში ფილოსოფიის დოქტორის ბ. იშხანიანის გერმანულ ენაზე გამოცემულ წიგნში „კავკასიის ხალხები“, რომლის რუსული თარგმანი 1916 წელს პეტროგრადში დაისტამბა. ბ. იშხანიანი კმაყოფილებით აღნიშნავს: „მთელი ქართველი მოსახლეობის 5,26 პროცენტი შედგება შთამომავლობითი თავადაზნაურობისაგან, რომელიც, თავის მხრივ, კავკასიაში მთელი თავადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტს შეადგენს. ვერსად შევხვდებით სხვა მსგავს მაგალითს, რომ შუა საუკუნეების ფეოდალური გადმონაშთი რომელიმე ხალხის ახალ საზოგადოებრივ წყობაში ასეთი დიდი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი. დიდი ნაწილი ამ დაძაბუნებული წოდებისა უკვე პროლეტარიზებულია და გლეხობის, ხელოსნებისა და მუშების რიგებში გადავიდა... ამ წოდების უმაღლესი ფენა, რომელიც მდიდარი ქართველი მიწათმფლობელი თავადებისგან შედგება, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, თანდათან ქვეითდება და ფულადი მეურნეობის ზეგავლენით იძულებულია თავისი ადგილ-მამული გამარჯვებულ, მსხვილი კაპიტალის მფლობელ მაგნატებს მიჰყიდოს“.

სომეხი და უცხოელი კაპიტალისტები იძენენ დიდძალ მიწის ნაკვეთებს გაკოტრებული თავადაზნაურობისაგან.

ამ პერიოდში აფხაზეთსა და აჭარაში ქართველებს აკრძალული ჰქონდათ მიწის ყიდვა და იქ მიწებს ათასი სხვადასხვა რჯულის ხალხი იძენდა. უცხოელები ჩალის ფასად ეპატრონებოდნენ არა მარტო ქართულ მიწებს, არამედ ბინებს და სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ თბილისში სასახლის ქუჩასა და გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) მხოლოდ ორად ორი სახლი ეკუთვნოდათ ქართველებს. ოქტომბრის რევოლუციამ ამ მხრივ, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო.

**ამ ამბებიდან ერთი საუკუნის შემდეგ არნახული მასშტაბით დაიწყო ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა. მიწის დიდ მასივებს ყიდულობენ უკვე ინდოელები, პაკისტანელები, ჩინელები, საქართველოში საცხოვრებლად მოისწრაფვიან აფრო-ამერიკელი ხალხები და სხვ. ვინც ასეთ ანტიეროვნულ საქმეში ხელს უწყობს უცხოელებს და ქართული მიწის გასხვისებაში საშიშს ვერაფერს ხედავენ (არადა, უნდა დაინახონ), მათ ქართველებად ვერ მივიჩნევთ“.**

თუ ყველაფერს გავყიდით, „ნაციონალებმა“ კი ყველაფერი გაყიდეს, რისი გაყიდვაც მოასწრეს, ვინ იქნება პასუხისმგებელი 20 ან თუნდაც 10 წლის შემდეგ მოსალოდნელ შედეგებზე, გვაქვს კი რაიმე დამცავი მექანიზმი შემუშავებული? რა თქმა უნდა, კარგად ცხოვრების დაპირებები ევას ვაშლივით მაცდურია, მაგრამ თუ ყველაფერი ილუზია გამოდგა, მაშინ ხომ საშვილიშვილოდ დავიღუპებით! ბანის მთქმელები ყოველთვის მოიძებნებიან, მაგრამ ვაითუ ყველა — ჩემიები არიან, თავის ცეცხლს უკიდებენ და მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნავენ. მოკლედ, ხალხს ეშინია, იყო და არა იყო რა არ გამოგვივიდეს და პირში ჩალაგამოვლებულები არ დავრჩეთ. ეს მით უფრო დასაფიქრებელია, რომ „ნაციონალების“ მიერ არაერთი ეროვნული ნიშნით მონათლული ღონისძიების განხორციელების შედეგად მხოლოდ ნაქურჩალი დაგვრჩა და თავში საცემად გაგვიხდა საქმე. ან ისე ხომ არ დაგვემართება, როგორც კომუნისტების პერიოდში საქართველოში გავრცელებულ ერთ ხალხურ სასიმღერო ლექსშია: „დიმტი-ტარო, დამტი-ტარო, თავმჯდომარეს დიდი ტარო, ღარიბსა და გაჭირვებულს პატარა და კვიჟი ტარო”?!

უკანასკნელ წლებში პრესისა და ტელეგადაცემათა მეშვეობით საკმაოდ ფართოდ გაშუქდა ქართულ სოფლებში საუკეთესო მიწების უცხოელებზე გაყიდვის შემთხვევები. ხშირად მიწები იყიდებოდა ისე, რომ გლეხებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. მიწები შეიძინეს გადამთიელებმა: ინდოელებმა, ჩინე-

ლებმა, პაკისტანელებმა, ბურებმა, არაბებმა და სხვ. ცხადია, ინდოეთიდან და პაკისტანიდან არც 1 და არც 10 ჰექტარი მიწის საყიდლად არავინ ჩამოვა — მათ საკმაოდ დიდი ფართობები შეიძინეს ამ მცირემიწიან ქვეყანაში. სოფლებს აღარ დარჩათ საძოვრები, მოსახლეობის გამრავლების შემთხვევაში სამარაგო მიწები. ქართველი გლეხი უმიწაწყლოდ დარჩა. დღეს, როდესაც ქვეყანაში უმწვავესი დემოგრაფიული ვითარებაა, იმის მაგივრად, რომ მოსახლეობის ადგილზე დამაგრების მიზნით, გლეხებისათვის უფასოდ გადაგვეცა სოფლის მიწები, რომლებიც, ფაქტობრივად, თავის დროზე მათ წინაპრებს, სოფლის თემს ეკუთვნოდა, და ტექნიკითაც დავხმარებოდით მათ, გლეხები სოფლიდან გამოვაძევეთ. ამით გადავჭერით მოსახლეობის გამრავლების მთავარი ძარღვი.

ფაქტობრივად, ქართული სოფელი კვდება და, მაშასადამე, ის ურთიერთობებიც საგრძნობლად ღარიბდება, რომლებიც ქართველ ხალხს ერთმანეთში აქვთ. ასევე ღარიბდება ქართული ენა, თითქმის აღარ მოხდება ერის შევსება ინტელექტუალური ძალებით.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში იმიგრაციული პროცესი ანუ გარედან მიგრაცია უაღრესად ინტენსიური გახდა. თუ ასე გაგრძელდა და ამ პრცოესის შემაყოვნებელი საშუალებები არ გამოვნახეთ და პრცოესი დინებაზე მივუშვით, ეს გამოიწვევს ტიტულოვანი ერისა და მისი კულტურის გაქრობას. ამასვე გამოიწვევს ასევე საკმაოდ ინტენსიური ემიგრაციული პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება მოსახლეობის ქვეყნიდან გარეთ მიგრაცია. საგანგაშოა, რომ ჩვენი გამოკვლევის თანახმად სტუდენტების 67,2 პროცენტი აპირებს წასვლას საზღვარგარეთ, რაც მნიშვნელოვნად გააუარესებს დემოგრაფიულ მაჩვენებლებს და შეამცირებს დემოგრაფიულ პოტენციალს. შესაბამისი კვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ შრომითი მიგრანტების თითქმის ნახევარი, ახალგაზრდობაა, რაც ზრდის დემოგრაფიულ დანაკარგებს. ამრიგად, სტუდენტთა ემიგრაციული განწყობა ძალიან მაღალია. გამოკითხულ სტუდენტთა ზუსტად ნახევარი სწავლის დამთავრების შემდეგ აპირებს სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ, 11,7 პროცენტი აპირებს დროებით სამუშაოდ წასვლას, ხოლო 5,5 პროცენტი აპირებს მუდმივ საცხოვრებლად წასვლას საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში. ამასთან, თუ საზღვარგარეთ სწავლის გამგრძელებელთა შორის ქალები ჭარბობენ, სამაგიეროდ, საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ წასვლასა და განსაკუთრებით მუდმივ საცხოვრებლად გადასვლაზე, ქალებთან შედარებით, ვაჟების გაცილებით მეტი რაოდენობა გამოთქვამს სურვილს.

## ძალადობა ახალგაზრდების ცნობიერებაზე

**მასმედია და განსაკუთრებით ტელევიზია, რეკლამის და, რა თქმა უნდა, არა მარტო რეკლამის საშუალებით ძალადობს პიროვნებაზე, სურს, ჩაკლას მასში პიროვნული თვისებები, რათა გარკვეულმა ჯგუფმა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად მართოს ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა.** სწორედ ამ ასაკში ხომ სიტყვიერი ზიზილ-პიპილები აბრმავებს ადამიანს. გასაგებია, რომ რეკლამიდან შემოსავალი საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს, მაგრამ რეკლამის შემკვეთიც და გამშვებიც, იქნება ცოტა დაფიქრდნენ და ერის მომავალზე, მის ინტელექტზეც მეტად იზრუნონ. რეკლამები, რომლებიც ტელევიზიის, გაზეთებისა და სხვა საშუალებებით მიეწოდება ჩვენს ახალგაზრდობას, უაღრესად დაბალი ხარისხისაა. არ შეიძლება ასეთი მდარე ხარისხის და მოძალადე რეკლამების გაშვება. ისინი დაბლა სწევენ ახალგაზრდების განათლების დონეს, გემოვნებას. ეს მით უფრო საშიშია, როდესაც ერთსა და იმავე მდარე ხარისხის რეკლამას ყოველდღიურად მრავალჯერ უჩვენებენ და ამით ცდილობენ რაღაც უაზრო ტექსტი თავში ჩაუჭედონ მაყურებელს.

რეკლამების უმრავლესობა გათვლილია დაბალი განათლების მაყურებელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, ციდან ჩამოვარდნილი უალკოჰოლო სასმელი „ფანტას“ ერთი წვეთი, რომელიც ვაჟს შუბლზე ეცემა, გოგონამ რატომ უნდა აულოკოს და სიხარულით ორივე გაგიჟდეს და ერთი ხორხოცი შექმნან. მას შემდეგ რაც ტელევიზიის დახმარებით „ამერიკის სულს ჩავწვდით“, შემდეგ მორჩილების ახალი ულტიმატუმი წამოგვიყენეს — „დავემორჩილოთ წყურვილის გრძნობას“, ვთქვათ და დავემორჩილეთ, რა ვქნათ მერე, — ვსვათ მხოლოდ „კოკა-კოლა“, „სპრაიტი“ და „ფანტა“ — იქნებ ხანდახან წყაროს და დაჩაგრული „ლაღიძის წყალიც“ დაგველია?

იქნებ ჯობდეს, არ დავემორჩილოთ წყურვილის გრძნობას და უფრო მეტად დიდი მხედართმთავრის — ალექსანდრე მაკედონელის მაგალითს მივბაძოთ, რომლის შესახებ პლუტარქე მოგვითხრობს: დამარცხებული სპარსეთის მეფის დარიოსის დევნაში მოქანცული ალექსანდრე მაკედონელის მხედრობა უწყლობამ შეაწუხა. ამ გაჭირვების დროს ალექსანდრეს გზად შემოეყარა რამდენიმე მაკედონელი. როცა მათ შუადღის პაპანაქება სიცხეში წყურვილისაგან დატანჯული ალექსანდრე დაინახეს, მყისვე გაავსეს მუზარადი წყლით და მიართვეს. ალექსანდრემ მუზარადი ხელში აიღო, ირგვლივ მიმოიხედა და როცა მის გარშემო მყოფი მხედრობა დაინახა, რომლებიც სასმელს ხარბად შესცქეროდნენ, წყალი არ დალია, უკან დააბრუნა, მომწოდებელს მადლობა გადაუხადა და უთხრა: „მე რომ მარტო დავლიო, ესენი სულით დაეცემიან“. ასე დაჯაბნა წყურვილის გრძნობა დიდმა მხედართმთავარმა.

რეკლამის ტექსტები ასევე მეტად დაბალი დონისაა ან ისინი უცხოური ტექსტების უხეირო თარგმანს წარმოადგენს. უაზრობაა, როდესაც საღეჭ რეზინს ან სიგარეტს ასეთი ტექსტებით „ვამკობთ“: „დიდი გემო პატარა შეკვრაში“, ან „განუმეორებელი რბილი გემო“ სრული ნონსენსია „დიდი გემო“ და „რბილი გემო“. არადა ასეთ ტექს-

ტებს რამდენიმე წელიწადი ატრიალებდნენ ცისფერ ეკრანზე, ისე, როგორც უმაღლესი ხარისხის თეთრეულის დასახასიათებლად „უმწიკვლო“ უბიწოს, შეურყვნეს, პატიოსანს ნიშნავს და უმწიკვლო შეიძლება ქალიშვილი არსებობდეს, რომელიც დღეს უკვე იშვიათობაა, თეთრეული კი შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, ძალიან თეთრი, კრიალა, რომელსაც ქათქათა თეთრეულსაც უწოდებენ.

**ტელევიზია უშინაარსო და დამაჩლუნგებელი რეკლამებით თავისებურ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.** კარგი და თანამედროვეა ის ახალგაზრდა, რომელიც „კოკა კოლას“ ან „სპრაიტს“ სვამს, ვინც ემორჩილება წყურვილის გრძნობას, ვინც ალკოჰოლური სასმელის დანახვაზე გიჟივით ცეკვავს და სულელურ გამომეტყველებას იღებს, ვინც „მაკდონალდს“ ესტუმრება, ვინც საღეჭი რეზინის დანახვაზე ჭკუას კარგავს, ენას უყოფს ტელემაყურებელს, ან უკეთეს შემთხვევაში, ენით ტუჩებს ილოკავს. რომელიმე ერთი ჩამოვთვალოთ. როგორც ჩვენთან მცხოვრები ერთი უცხოელი ქალბატონი აღნიშნავდა, ეს თავსმოხვეული, მოძალადე რეკლამები, საძიებელს აღარ უტოვებენ ახალგაზრდებს. მათ „თავიანთი პიროვნება თითქოს, უკვე ნაპოვნი აქვთ, რომელიც ასე დაღეჭილი მისცეს“. ამიტომ ვისაც ახალგაზრდობის მომავალი თაობის ბედი აწუხებს, უნდა დაფიქრდეს რეკლამების ავკარგიანობაზე.

## ცხოვრების წესი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და დემოგრაფია

ცხოვრების წესი ფართო და მრავალმხრივი მოვლენაა. იგი მოიცავს ადამიანისა და საზოგადოების ყველა არსებით მხარეს — შრომას, ყოფაცხოვრებას, ქცევას, წეს-ჩვეულებებს, შეხედულებებს, გარე სამყაროსთან დამოკიდებულებას, თავისუფალ დროს მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს, ერთი სიტყვით, ღირებულებით ორიენტაციათა მთელ ერთობლიობას, რომელიც თავის გამოხატულებას ცხოვრების წესის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებში პოულობს.

დიდი რომაელი ფილოსოფოსი სენეკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამბობდა: „სიცოცხლის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალებაა არ შევამოკლოთ იგი“. როგორც ვხედავთ, შორეულ წარსულშიც კარგად იცოდნენ, რომ ადამიანის ჯანმრთელობა და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ძირითადად მისივე ცხოვრების წესზეა დამოკიდებული. მართლაც, ადამიანთა უმრავლესობისათვის არა ფიზიოლოგიური, არამედ პათოლოგიური დაბერებაა ნიშანდობლივი. ტვინი და გული შეიძლება ადამიანს 150 და მეტ წელსაც ემსახუროს. მიუხედავად ამისა, ადამიანთა ნაწილი არა მოხუცებულობისა, დაჩაჩანაკების გამო იღუპება, არამედ ავადმყოფობით, რაც არასწორი ცხოვრების წესის შედეგია. ე.ი. ბევრი რამ თვით ჩვენზეა დამოკიდებული. ამდენად, **საზოგადოების ცნობიერებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, სამედიცინო და დემოგრაფიული ცოდნის ამაღლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ როგორც კომპლექსური სოციალურ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორთა 50 პროცენტზე მეტი ცხოვრების წესზე მოდის, დაახლოებით ოც-ოცი პროცენტი — გარემოსია და გენეტიკური ფაქტორებზე, ხოლო საკუთრივ ჯანმრთელობის დაცვის წილი მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს.**

მოზარდების ჯანმრთელობაზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახური მდგომარეობა, შიდა ოჯახური ურთიერთობები და კონფლიქტები. მაგალითად, სამ წლამდე ასაკის ბავშვები 2-ჯერ უფრო მეტად ავადდებიან უმამო, ხოლო 2,5-ჯერ მეტად უდედო ოჯახებში, ვიდრე სრულ ოჯახებში. ოჯახში დაძაბული, კონფლიქტური სიტუაციები არა მარტო ბევრი დაავადების მიზეზი ხდება, არამედ მათ გართულებებსაც იწვევს. ასეთ ოჯახებში 2,5-ჯერ ხშირად ავადდება ბავშვები კუჭის წყლულით.

**ოჯახში კონფლიქტური ურთიერთობები გავლენას ახდენს ბავშვთა ჯანმრთელობაზე სიცოცხლის პირველი თვეებიდანვე და მუცლად ყოფნის დროსაც.** არც ისე იშვიათად ადგილი აქვს ნაადრევ მშობიარობას, განუვითარებელი, სუსტი ბავშვის დაბადებას. მათი მოკვდაობის მაჩვენებელი კი მაღალია პერინატალურ პერიოდში. ამასთან, განსაკუთრებით სიცოცხლის პირველ წელს, ისინი ხშირად ავადმყოფობენ და, არც ისე იშვიათად, ფიზიკური განვითარებითაც ჩამორჩებიან თავიანთ თანატოლებს. როგორც გამოკვლევები ადასტურებს, ნაადრევი მშობიარობა 2-ჯერ უფრო ხშირია იმ ოჯახებში, სადაც გამწვავებული ურთიერთობებია ცოლქმარს შორის, 2,5-ჯერ ხშირი — სადაც კონფლიქტია ნათესავებთან და 4-ჯერ ხშირი იმ ქალებს შორის, რომლებიც ქორწინების გარეშე აჩენენ შვილებს. ამასთან, ნაადრევი მშობიარობა მარტოოდენ ოჯახურ სიმშვიდეზე როდია დამოკიდებული. მთელი რიგი გამოკვლევებით ირკვევა, რომ ნაადრევი მშობიარობა ან მცირე წონის ბავშვის დაბადება ხშირად გვხვდება იმ ქალებში, რომლებიც შესაბამის დაწესებულებებს დაგვიანებით აკითხავენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ქალები პირველ კონსულტაციას დროულად იღებენ და რეგულარულად აკონტროლებენ ორსულობის მიმდინარეობას ბავშვთა პერინეატალური მოკვდაობა მინიმალურია. საპირისპირო ვითარებაში პერინატალური მოკვდაობა 5-ჯერ იზრდება და ათას დაბადებულზე 51,6 ბავშვს შეადგენს.

ამდენად, **ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოგრაფიულ პროცესებს.** შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა ქვეყანაში რთული დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების ერთ-ერთი უმთავრესი პი-

რობაა. ეს მით უფრო არსებითია, რომ ჩვეულებრივ ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა დიდ დამატებით სახსრებს თითქმის არ მოითხოვს, ეფექტი კი ძალზედ დიდია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მოსახლეობამ უნდა ისწავლოს საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, მან პროფილაქტიკის მიზნით დროულად უნდა მიმართოს ექიმს, ახალგაზრდობა არ უნდა დაქორწინდეს ადრეულ ასაკში, ორსულმა ქალებმა თავის დროზე უნდა მიიღონ კონსულტაციები, მშობიარობებს შორის უნდა დაიცვან გარკვეული ინტერვალი, უარი უნდა თქვან ბავშვის აკვანში აღზრდის ტრადიციულ წესზე, მავნე წეს-ჩვეულებებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სანიტარიულ-ჰიგიენური განათლების დონის ამაღლებას და სხვ.

სამედიცინო-დემოგრაფიული მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალის დაქორწინებას სპეციალისტთა მიერ რეკომენდირებულ ასაკში. ასეთი ასაკის დასაწყისად 18 წელია მიჩნეული. უფრო ადრეულ ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყება და ნაადრევი მშობიარობა საზიანოა არა მარტო ქალისათვის, არამედ შთამომავლობისათვისაც, ქალი ბერდება დროზე ადრე და სხვ.

როგორც ნაადრევ (18 წლამდე), ისე დაგვიანებულ (35 წელს ზევით) პირველ ორსულობას და მშობიარობას, აგრეთვე ხშირ მშობიარობებს (2-2,5 წელზე ნაკლები ინტერვალით) ხშირად თან ახლავს სხვადასხვა სახის გართულებები ახლადდაბადებულებში. გაზრდილი პათოლოგიური მშობიარობისა და დაბადებულთა პათოლოგიური შემთხვევები. ერთ წელზე ნაკლები ინტერვალით დაბადებული ბავშვების მოკვდაობის მაჩვენებელი ორჯერ აღემატება ორი და მეტი წლის ინტერვალით დაბადებული ბავშვების შესაბამის მონაცემს. 40 და მეტი წლის ასაკის ქალებში დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი 5-ჯერ აღემატება 20-28 წლის ასაკის ქალების შესაბამის მონაცემს, ხოლო ზემოაღნიშნული ასაკის ქალების პირველად მშობიარობისას — 15-ჯერ. არანაკლებ საგულისხმოა ისიც, რომ ქალების 25 წლამდე ასაკში ფეხმძიმობა ხელს უწყობს ონკოლოგიური დაავადებების თავიდან აცილებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დამტკიცებულია პირდაპირი კავშირი 19 წლამდე ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყებისა, განსაკუთრებით ბევრ პარტნიორთან, და საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების რისკის ზრდას შორის. დადგენილია, აგრეთვე ისიც, რომ ქალები, რომლებიც ნაადრევად წყვეტენ ან საერთოდ უარს ამბობენ ბავშვის ძუძუთი კვებაზე, უფრო ხშირად ავადდებიან სარძევე ჯირკვლის კიბოთი ან იმყოფებიან ამ დაავადების მომეტებული რისკის ქვეშ. რაც მთავარია, ერთ წელზე ნაკლები ინტერვალით დაბადებული ბავშვებს მოკვდაობის მაჩვენებელი ორჯერ აღემატება ორი და მეტი წლის ინტერვალით დაბადებული ბავშვების შესაბამის მონაცემებს. ნაადრევი ქორწინება შესამჩნევად ამცირებს ქალთა ნაყოფიერებას და მაშასადამე, შობადობას.

ადრეულ ასაკში ქალის ორგანიზმი არ არის მზად ბავშვის დაბადებისათვის, რაც ხშირად მეტად მძიმე შედეგებით მთავრდება. არც ისე იშვიათად მშობიარობისას საფრთხე ექმნება ახალგაზრდა ქალის სიცოცხლეს, იზრდება უნაყოფობის შემთხვევები და ბავშვთა მოკვდაობა. ნაადრევი ქორწინების (18 წლამდე) აკრძალვამ არა მარტო უაღრესად შეამცირა ბავშვთა მოკვდაობა, არამედ შეუნარჩუნა ქალს დიდი ხნის მანძილზე მშობიარობის უნარი და ამდენად, მთლიანობაში ხელი შეუწყო შობადობის გაზრდას. 20 წლამდე ასაკის ქალებში ხშირია უდღეური და წონანაკლული ბავშვების დაბადების შემთხვევები. ასეთ ბავშვებში მოკვდაობა 20-ჯერ მაღალია სიცოცხლის პირველ კვირაში, თანდაყოლილი გულის მანკის განვითარების შესაძლებლობა კი 3-ჯერ, ხოლო ერთ წლამდე სიცოცხლის ალბათობა 5-ჯერ დაბალია, ვიდრე დროულად დაბადებულ და ნორმალური წონის ბავშვებში. დღენაკლული ბავშვების მესამედზე მეტი პირველ კვირაში იღუპება. ამასთან, წონანაკლული ბავშვის დაბადების დროს იზრდება ეპილეფსიის, ცერებრალური დამბლის შემთხვევები, ფერხდება და ირღვევა ბავშვის გონებრივი და ნერვულ-ფსიქიკური განვითარება, რაც თავს იჩენს მოგვიანო პერიოდში. ამავე დროს, ცნობილია, რომ დღენაკლული და წონანაკლული ბავშვები უფრო ხშირად ვითარდებიან მაშინ, როდესაც დაბადებათა შორის ძალიან ხანმროკლე ან ძალიან დიდია ინტერვალი. ნაადრევი ქორწინებისას შობადობის პერიოდში ინტერვალი კი, უმეტესად მცირეა. ცნობილია ისიც, რომ წონანაკლული ბავშვებს რაოდენობის ერთი პროცენტით გადიდება სიცოცხლის პირველ კვირაში იწვევს ბავშვთა მოკვდავობის 10 პროცენტით გაზრდას. ნაადრევ ასაკში ორსულობა და მშობიარობა ხშირად იწვევს მძიმე გართულებებს, რის გამოც ქალს ერთ ბავშვზე მეტი აღარ უჩნდება.

ნაადრევი ქორწინების გამო ხშირად ინგრევა ახალგაზრდა ოჯახები. თუ არაფერს ვიტყვით ახალგაზრდა მეუღლეთა და მათი შვილების ცხოვრებისეულ ტრაგედიაზე, განქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე და, უპირველეს ყოვლისა, შობადობაზე.

ამდენად, ნაადრევი ქორწინება მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობას. ასეთი ქორწინება ზოგჯერ ქალის უნაყოფობის, შთამომავლობის წარმოშობის უუნარობის მიზეზიც ხდება, რაც ოჯახისათვის უდიდესი ტრაგედიაა. ამასთან, შობადობის შემცირება მოსახლეობის შემცირებასაც იწვევს, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გადიდდა ახალგაზრდა დედების რიცხვი. თუ 1989 წელს 16 წლამდე ასაკის 47 ქალმა გააჩინა ბავშვი, 1994 წელს უკვე ამ ასაკში 528 ქალს შეეძინა შვილი. 16 წლის ასაკის ქალებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 520-სა და 1281-ს უდრიდა. 2005 წელს მხოლოდ 16 წლის ასაკში პირველი შვილი გააჩინა 437 ქალმა, მეორე შვილი — 54 ქალმა, მესამე შვილი — 15 ქალმა და მეოთხე შვილი — 4 ქალმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაადრევი ქორ-

წინების შედეგად მცირდება შობადობა, იზრდება ქალის უნაყოფობა, დედათა მოკვდავობა, პათოლოგიური მშობიარობა, დაბადებულთა პათოლოგიური შემთხვევები და სხვ., უდავოა, ნაადრევ ასაკში დაქორწინება და შვილის გაჩენა აუარესებს ისედაც მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას საქართველოში.

ამრიგად, ნაადრევი ქორწინება ამცირებს ქალთა ნაყოფიერებას და, საშასადამე, შობადობას. ეს მოვლენა საყოველთაოდ ცნობილია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში თბილისში გამოცემული შესაბამის ლიტერატურაში აღნიშნავდნენ იმის შესახებ, რომ ნაადრევი ქორწინება იწვევდა შობადობის შემცირებას.

შობადობის საკითხებზე მომუშავე ცნობილი მკვლევარი რ. სიფმანი სამართლიანად აღნიშნავდა: „ქალები, რომლებიც ძალიან ადრე (17 წლამდე) ქორწინდებიან დაბალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან, რაც არაერთხელ იქნა დადგენილი“.

ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ჰიგიენის დაცვას, რომლის გარეშე შეუძლებელია შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა საზოგადოებრივი ჰიგიენის დონის პირობებშიც კი. ეს საკითხი უფრო არსებითი ხდება იმის გამოც, რომ ერთი ადამიანის მიერ პირადი ჰიგიენის დაუცველობა სხვა ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესების წყარო ხდება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მასობრივად გავრცელდეს გრიპი, დიზენტერია, ტუბერკულოზი და სხვა დაავადებები. ამრიგად, პირადი ჰიგიენის წესების დაცვა სოციალურ მნიშვნელობას იძენს.

ფიზიკურად, მორალურად და ფსიქიკურად ჯანსაცი თაობის აღზრდაში, მისი ინტელექტის ფორმირებასა და ეროვნული ნიშანთვისებების მატარებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაში ოჯახსა და სკოლასთან ერთად უდიდესი როლი აკისრია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, უპირველეს ყოვლისა კი — ტელევიზიას.

უმოკლესი დროის განმავლობაში ეკონომიკური და სოციალური სისტემებისა და დამკვიდრებული შეხედულებების რადიკალური შეცვლა, დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან მჭიდრო ინტეგრაცია, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ფართოდ განვითარება უდიდეს სიკეთესთან ერთად ნოყიერ ნიადაგს ქმნის თვითმყოფადი ეროვნული კულტურის შევიწროების ხარჯზე ფსევდოკულტურების ადვილად გავრცელებისათვის, რაც უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიის საშუალებით ხორციელდება. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ექცევა ჭეშმარიტი ხელოვნებისაგან დაცლილი, მასობრივი, კონტეინური კულტურის გავლენის ქვეშ. ეს პირველ რიგში ითქმის ახალგაზრდობაზე, რომლის შეგნებაში მეტასტაზებივით აღწევს ეს კულტურა, მთლიანად იპყრობს მის ცნობიერებას და განსაზღვრავს მისი ქმედების ხასიათს, იწვევს ადამიანურ ურთიერთობათა დეფორმირებას, ზნეობრივი კრიტერიუმების გადაფასებას. გარკვეულწილად ამის გამოხატულებაა ის მკვლელობები, ძარცვა-ყაჩაღობა, ნარკომანია და მასობრივი კულტურის სხვა ატრიბუტები, რაც ასე გახშირდა ჩვენს ქვეყანაში. ყველაფერი ეს დამღუპველ გავლენას ახდენს ერის ხასიათზე, ნიშან-თვისებებზე, ერის გენოფონდზე, და, რაც მთავარია, ერის გამრავლებაზე.

ცალკეული სატელევიზიო კომპანიები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად ხელიდან შემთხვევას არ უშვებენ სკანდალური ფაქტების, კლინიკური გიჟების ქმედებების, პათოლოგიური შემთხვევების, ცხოვრების უარყოფითი მოვლენების გაშუქებით უკიდურესად დაძაბონ ურთიერთობა საზოგადოებაში. ისინი ეძებენ სენსაციებს და აშკარა იგრძნობა მათი აღფრთოვანება ნეგატიური მოვლენების გადმოცემისას. ამიტომ არც ისე იშვიათად ფაქტებსა და მოვლენებს ტენდენციურად განიხილავენ და მათ დაუფარავი ცინიზმით, უკბილო კომენტარებით წარმოაჩენენ. ასეთი მასალების მიწოდებით ეკონომიკური სიდუხჭირითა და სოციალური სტრესების შედეგად ფსიქიკურად ურთულეს მდგომარეობაში მყოფ ხალხში მასობრივი ნიჰილიზმი და უიმედობა ისადგურებს, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

დღეს ჩვენი ტელეარხები ხშირად მხატვრულ და შემეცნებით ღირებულებას მოკლებულ ფილმებს უთმობს თავისი გადაცემების ძირითად დროს. ამ ფილმებში წინა პლანზეა წამოწეული აღვირახსნილი და გაუკუღმართებული სექსი, მკვლელობები, ღალატი, ძალადობა, გაუტანლობა და სხვა საშინელებანი. თითქოს ყველა ფილმი გადაღებულია უმარტივეს სიუჟეტზე და ისინი ტყუპისცალივით გვანან ერთმანეთს. ასეთმა ფილმებმა, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება ახალგაზრდობა მიიყვანოს სიცარიელემდე, პრიმიტიულ აზროვნებამდე იმ მდგომარეობამდე, როცა მას აღარ აინტერესებს ეროვნული ღირებულებები, ოჯახი, რწმენა და ხდება რაღაც გაურკვეველი სულიერების მატარებელი, ზნეობრივად გაღარიბებულ სამყაროში მცხოვრები, ყოველგვარი ადამიანური ფასეულობებისაგან დაცლილი კოსმოპოლიტი პიროვნება.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა რადიოსა და ტელევიზიაში შეიქმნას ისეთივე ეროვნული საბჭო, როგორიც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს. უნდა მოხდეს სატელევიზიო გადაცემების კვოტირება — მათი დიდი ნაწილი ადგილობრივ პროდუქციას უნდა წარმოადგენდეს. უნდა აღიკვეთოს ძალადობის პროპაგანდა, პორნოგრაფიული პროდუქციის ჩვენება, კონტროლი უნდა დაწესდეს რეკლამაზე. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დემოგრაფიული პრობლემების სწორად გაშუქებას, დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების შესახებ მოსახლეობის სისტემატურ ინფორმირებას, მათ შესახებ ჯანსაღი აზრის შემუშავებას, აგრეთვე, მოსახლეობის დემოგრაფიული განათლების ამაღლებას.**

იტრიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
მიძინების დედათა მონასტერი

ISSN 1987-5908